ლიტერატურული გაზეთი

№85 2 - 15 ნოემბერი 2012 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

გიგი სულაკაური

პოჯიკის ძიებაში

დღეს ჩემმა ვერაგმა მეხსიერებამ მაგიდაზე „პოჯიკი“ დამახვედრა...

საოცარი რამაა მეხსიერება! რა დროს, რა ვითარებაში, რას და როგორ ფეშქაშს აგიგდებს, ვერაფრით მიხვდები. მოულოდნელობის ეფექტიც მაგარ საქმეს აკეთებს: — საჩუქარი ყოველთვის იდუმალებით უნდა იყოს შეფუთული, ისე რა აზრი აქვს, წინ-წინ გამხელილი საჩუქარი განახევრებული სიხარულია!..

პოჯიკი: — თვითნაკეთი იარაღი, ქვემეხი, ზარბაზანი, საბრძოლო ტექნიკის ჭეშმარიტი შედევრი და სამუზეუმო ექსპონატი; პირმშო უმიზეზოდ გაუჩინარებული „მაქსიმკასი“, მაუზერისა და ნაგან-უებლისა... ის აღარ არსებობს, — ყავლი გაუვიდა და ჭირიც მოგვჭამა, ჩაბარდა წარსულს და ისტორიის საიდუმლოებით მოცულ ნაპირებზე ჰპოვა სამუდამო ნავსაყუდელი. ახლა ვერც ერთი სერიოზული მეცნიერი თუ მკვლევარი, თვით მოყვარული დილეტანტიც კი ვერ იტყვის: — იყო კი პოჯიკი? იქნებ პოჯიკი საერთოდ არა ყოფილა?! პოჯიკის ძიებაში ამაოდ დაშვრებიან და იმეცადინებენ, ამაოდ იმუშაკებენ და თეთრად გასტეხენ უგრძეს ღამეებს, ჭრაქის შუქზე ამაოდ ამოიღამებენ თვალებსაც და ფიქრითაც ამაოდ დაუსკდებათ ჭკვიანი თავები; რადგან დილით, სიგარეტების საყიდლად გასულები მაინც ხელს ჩაიქნევენ...

პოჯიკი მათთვის ამოუცნობ საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა...

II-III



ტარიელ ჭანტურია

სადღეგრძელო

ის, რაც ნამდვილ აფხაზს და
ის, რაც ნამდვილ ოსს ნებავს,
იგივეა, რაც ჩვენი —
ქართველების — ოცნება:
ვიყოთ ერთი ცის ქვეშ და
გვქონდეს ერთი მამული,
ვსვათ ლიხნი და ციცქა და
ზედ ვაყოლოთ ხრამული!
აფხაზებო! ოსებო! —
მცირე ერთა ასებო!
ჩვენ ერთმანეთისთვის და
ერთმანეთით ვარსებობთ!
რად გვინდა ეს თოფები
და ტყვიების მჭიდები! —
ჩვენ — ერთმანეთი გვინდა,
ჩვენ — ერთმანეთს ვჭირდებით!

IV-V

ზაალ სამადაშვილი

ოცდამესამე

ჩვენ ასე ვიცოდით — ოცდამესამე ყველაზე მაგარი სკოლა იყო; ყველაზე მაგარი მარტო პლეხანოვზე კი არა, მთელ თბილისში. ის ჯობდა მთაწმინდელების — პირველს, ვერელების — ორმოცდამეცამეტეს, ავლაბრელების — კობახიძის სკოლას და ვაკელების — ორმოცდამეთხუთმეტეს.

ჯერ მარტო შენობა რად ღირდა — ძველისძველი, სამსართულინი, თანამედროვე ხუთსართულიანი სახლის სიმაღლე, დიდფანჯრებიანი, მოჩუქურთმებული კედლებით, მარმარილოს კიბეებითა და მრავალსანთლიანი ჭაღებით დახუნძლული სააქტო დარბაზით. ასეთ დარბაზებში ძველ დროს ბალმასკარადები იმართებოდა.

VI

ვახტანგ ჯავახაძე

მარიამი მოვიდა!

მონატრებულმა შვილიშვილმა დამირეკა და დამპირდა — ხვალ მოვალო, მაგრამ არ მოვიდა.

ორი დღის შემდეგ ისევ დამირეკა და ისევ დამპირდა — ხვალ მოვალო და ისევ არ მოვიდა.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ დამირეკა და კვლავ დამპირდა და კვლავ არ მოვიდა.

გუშინ მეოთხედ დამირეკა. დავასწარი და ვუთხარი: ერთი სათხოვარი მაქვს და ძალიან გთხოვ, უარი არ მითხრა-მეთქი.

რაო, — დაინტერესდა.

ძალიან გთხოვ, ხვალ არ მოხვიდე-მეთქი.

გაეცინა და მეორე დღესვე მოვიდა.

VIII-IX

პოჯიკის ძიებაში

გიგი სულაკაური



დიახ, ამაოდ, მეც ამაოდ დავეძებდი პოჯიკს და ვიტანჯებოდი... ტყე-ღრესა და ფლატეებში, მწვერვალებზე და ზღვების ფსკერზე, გაუვალ ტროპიკულ ჭაობებსა თუ უდაბნოს ქვიშის ნისლში ვეძებდი და ვერ ვპოულობდი, არ მიმართლებდა... სახლკარი და მეგობრები და სამშობლო გადამავიწყდა; დამშეული, უთვისტომო და მიუსაფარი და მარტორქასავით ეული ვიდოდი ცხოვრების გაუვალ უღრანებში... პოჯიკის ძებნით გაწვალებული, ხან სად მივდებდი მწარე ფიქრით გადაღლილ თავს და ხანაც — სად...

ერთ დილას სეკვოიას კენწეროზე გამეღვიძა, ზღვის დონიდან 480 ფუტის სიმაღლეზე. იქიდან ჩემი მშობლიური სახლი მოჩანდა და მაშინ მივხვდი, — ძებნა უნდა შემეწყვიტა. სახლის ხილვამ წარმოუდგენელი ტკივილით ამხადა თავის ქალა, ამომგლიჯა ჯიგარი და იარაც სევდით გადამიხვია. შინ დაბრუნება მტკიცედ და უყოყმანოდ გადავწყვიტე: — Home, sweet home, — მიკვნესოდა დაფლეთილი გული...

ხიდან დიდხანს, გაჭირვებით ვეშვებოდი. დილით დაძრული, მხოლოდ გვიან ღამით დავეშვი მიწაზე. ქვევით კი მოულოდნელ ხიფათს გადავეყარე: — ფეხში ხანჯალივით ორლესული ეკალი შემესო. ეს იყო — ეკალუს ტროპიკუსი (Ekalus-Tropikus-Basri) ბასრი, შხამიანი, ერთ-ერთი ყველაზე ტოქსიკური იარაღი. მისი ჩხვლეტიდან ზუსტად ერთ წამში იწყებს შხამი მოქმედებას: — ადამიანს კიდურები ჯერ ეყინება და მერე ნაკვერჩხალივით უხურს, გული მძიმედ, ოღონდ მონაცვლეობით უფეთქავს საფეთქლებში და ხერხემალში და სახსრების კრუნჩხვა-ჭრიალი ეწყება. უქვეითდება მხედველობა და ყნოსვა და, რატომღაც, უმძაფრდება სმენა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერი ჩქამი და ფაჩუნი ცის ქუხილად მოეჩვენოს... მერე ბედკრულ ადამიანს გაცვივდება თმა, წარბ-წამწამ-წვერი და ნებისმიერი ბალანი და გაუსივდება თავი და ინტოქსიკაციის ბოლო სტადიაც არ დაახანებს, — ჰალუცინაციები მოეახლება...

გაჭირვებით, ალესილი მაჩეტეს დახმარებით მივჩეხავდი გზას შინისაკენ: — გაუვალ ეკალ-ბარდების ჯაჭვებსა და წნულებსა და მავთულხლართებში. ტროპიკული, ნესტიანი მხურვალება მეღვრებოდა ფილტვებში და შიგადაშიგ გონება მებინდებოდა. თანაც თმა-წარბ-წამწამ-წვერიც მცვიოდა, მაგრამ არ ვეპუებოდი,გამალებით ვკაფავდი ჯაგებს და წინ მივიწევდი. სინამდვილეში წრეზე ვტრიალებდი და საბოლოოდ ვეებერთელა, სტადიონისხელა ადგილი გავასუფთავე სარეველებისაგან (ახლა იქ მადლიერ ადგილობრივ მოსახლეობას სიმინდის ყანები და ბანანის პლანტაციები აქვთ გაშენებული). გონი როდის დავკარგე, არ მახსოვს. მერე ტროპიკულმა თქეშმა დაუშვა და ამქვეყნად დამაბრუნა... თვალის გახელა მოვახერხე, ოღონდ ვერაფრით გავიხსენე, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. ლაფის ჩურჩხელასავით თავდაყირა ვეკიდე სტადიონის ცენტრში ჩამოშვებულ ლიანას და იქვე მდგარი ტაპირი სახეში ტროპიკულად მასუნთქებდა. მის ზურგზე ტუკანი დახტოდა და საყვირის ხმებს გამოსცემდა.

— ვაჰ, გადარჩა, აი! — შესძახა ტაპირმა.

— ჰო, გადარჩა, გადარჩა! — დაიჩხავლა ტუკანმაც.

— არსებობს! გაიგე, ბიჭო, არსებობს! — ტაპირი ცხვირში დამაჯერებლად დუდღუნებდა.

— რა? — გაჭირვებით ამოვიხავლე, — რა არსებობს?..

— პოჯიკი! პოჯიკი არსებობს!

— პოჯიკი არსებობს! ის მაინც ბრუნავს! რწმენა! პოჯიკი! პოჯიკი! ის არსებობს და მაინც ბრუნავს! — ტუკანმა წარმოუდგენელი ჩხავილი ატეხა.

— გესმის?! არსებობს, ოღონდ რწმენა არ დაკარგო და აუცილებლად იპოვი... ამ გზით იარე, — ტაპირმა ცხვირი ბილიკისკენ გაიშვირა, — ეს გზა რუსთავში მიგიყვანს, პოჯიკიც იქ უნდა მოიძიო... აბა, შენ იცი, ვინც ეძებს, ის პოულობს კიდეც! კარგად იარე!.. — მერე ჩემი მაჩეტეთი გადაჭრა ლიანა, გამათავისუფლა და გზაც დამილოცა...

ძლივს ავითრიე მოწყვეტილი წელი და ნაჩვენებ ბილიკს დავადექი. კოკისპირულად წვიმდა და სასტიკად ბნელოდა. ციცაბო ბილიკზე ფეხი მისრიალებდა, მუხლამდე ტალახში ვეფლობოდი და მაინც მივდიოდი და დიდხანს, დიდხანს ჩამესმოდა და მამხნევებდა ტუკანის საყვირი:

— ის მაინც ბრუნავს!.. პოჯიკი!.. ჯორდანო ბრუნო!.. რწმენა!.. გალილეი და იან ჰუსი!.. რუსთავი!.. ის მაინც ბრუნავს!..

„რა თქმა უნდა, რუსთავში უნდა ვეძებო“, — ვფიქრობდი გზაში, — „აბა, რა ჩემი ფეხები უნდა პოჯიკს ამერიკაში, ვინჩესტერი ხომ არ არი...“

ასეთი უმძიმესი ფიქრებით დამძიმებულმა მივაღწიე რომელიღაც დასახლებულ პუნქტამდე. ოთახი ვიქირავე, უკუვაგდე არასაჭირო ფიქრები და გადავწყვიტე, ბედი ახალი გზით, ანუ საჭირო ფიქრებით წარმემართა.

„რუსთავი არსად გამექცევა, მე მგონი, ჯერ თავად სიტყვის არსს უნდა ჩავწვდე“. — გუმანი მეუბნებოდა, რომ სწორ გზას ვადექი. „პოჯიკი“, — ვიმეორებდი გუნებაში, — „ნეტავ რა იდუმალ ჯანდაბას უნდა მალავდეს ეს სიტყვა?..“ ბოლოს საკუთარ თავთან ჭიდილის, კამათის, დავის და სჯა-ბაასისა და კინკლაობის შედეგად გონება გამინათდა: — ამ სიტყვის ეტიმოლოგია რუსული ï î äåå÷ü, ï î äæèãàòü-იდან უნდა მოდიოდეს. პოჯიკი-ï î äåå÷ü-ï î äæèãàòü, ასეა, სრული სიმართალეა, ამას წყალი არ გაუვა-მეთქი...

„სპასატელი“ ნავები და წყლის ჟანგიანი ველოსიპედები... ჩვენები „ახალში“ ცხოვრობდნენ და იმ 5 წლის მანძილზე ძლივს ავითვისე გზა და სახლი, ბინა და ეზო, — იქაური კორპუსები, ეზოები, — ყველაფერი, — თვით ჭადრის ხეებიც „გაჭრილი ტყუპებივით“ გავდნენ ერთმანეთს. ტერმინი ძია ვალიკოს, შინაურობაში შავვალიკოს, რუსთაველ ყოფილ შავს და პრაშლიაკს ეკუთვნოდა, რომელიც თავად გახლდათ ტყუპების „შემქმნელი“. შავტუხა ტყუპებს ტარიელი და ავთანდილი ერქვათ, წარმოშობით გურჯაანიდან იყვნენ და მე და ჩემს ბიძაშვილს ძალიან გვხიბლავდა მათი კახური კილო. მახსოვს, ვბაძავდით კიდეც, ჩვენც ვერთობოდით და ტყუპებიც დიდ დროს ატარებდნენ. ვალიკოები კარის მეზობლები იყვნენ და ბალღები ხშირად ერთად ვსაუზმობდით ან ვსადილობდით ხოლმე. ერთხელაც საუზმეზე მიგვიწვიეს და ძალიან გამიკვირდა, როცა მაგიდაზე კლასიკური საჩაიე ატრიბუტიკის ნაცვლად ვეებერთელა მათლაფები დაგვხვდა. ცოტა არ იყოს შევშინდი, — ამ უთენია, სუპი არ მაჭამონ-მეთქი. სუფრას ვალიკო ემსახურებოდა: ჯერ ხმელი დედას პური დატეხა და ღუკმებად ჩაგვიყარა მათლაფებში, თანაც გამახსენდა, რომ რუსთავი ყოველთვის ისეთი ხელმარჯვე ოსტატებით იყო დასახლებული, — პოჯიკს კი არა, რო რამე, კოსმოსურ რაკეტასაც ააგებდნენ.

„როგორ ვერ მივხვდი, ამის დედა ვატირე, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, ეს ოხერი!..“ — ჩემ თავზე ვბრაზობდი. მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი: რუსთავში წასვლა და საქმის დაგვირგვინებაღა მაკლდა, მეტი — არაფერი. ტაპირისაც უსაზღვროდ მადლიერი ვიყავი, — გეზი ხომ მიჩვენა — დამაკვალიანა, ლიანასგანაც დამიხსნა და პლანეტაზე ხეტიალსაც გადამარჩინა...

რუსთავს, ასე თუ ისე, ვიცნობდი. ჩემ ბალღობაში ბიძაჩემი ცხოვრობდა ამ ქალაქში და სტუმრად ჩავდიოდი ხოლმე. მიყვარდა მათთან სტუმრობა, — ჩემს ბიძაშვილს უამრავი მოვლილ-მოწესრიგებული სათამაშო ჰქონდა. თვით ყველაზე ძველი, „სუ პირველი“ სათამაშოც კი იდეალურ მდგომარეობაში ანუ ხოდზე ეყენა. ყოველთვის ვფიქრობდი, ასე როგორ უვლის, როგორ ინახავს, ალბათ არ თამაშობს-მეთქი. ჩემი ტექნიკა რატომღაც ერთ წამში, ეჭვი მაქვს, ვიღაცის ჯადოს წყალობით ფუჭდებოდა, სათამაშოდ აღარ გამოდგებოდა...

მაშინდელი რუსთავი: შავი, ბნელი და პირქუში. თავის უბნებით — „ხიმიკები“, „ინტერნატები“, „ახალი რუსთავი...“ მეტს ვერ ვიხსენებ... რუსთავის ტბა, ზედაც მერე იქვე მდგარი ემალის ვედროდან დიდი ჩამჩით შავი ღვინოც ჩამოგვისხა. „ესეც ბოღლიწო!“ — დააყოლა მრავლისმთქმელი ღიმილით, — „პა, პა, პა, პა, პა, მირონია! სუ ჯანში მიდის, მა სროკზე ხო არ წავა, მეც გაუშვებ, რო?!..“ — ვალიკომ გადაიხარხარა და პირდაპირ ჩამჩიდან მოხვრიპა ღვინო...

ღმერთო, მაპატიე ჩემი სისუსტე! მაპატიონ სრულიად საქართველოს ბოღლიწოს-მოყვარულებმაც, — დღემდე ვერ ვიტან ღვინოში ჩაბუჟბუჟებულ პურს...

იმ საუზმიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა ერთ-ერთმა მეზობელმა ვალიკოს დელიკატურად თხოვა, თუ ძმა ხარ, ბურვაკი დამაკვლევინეო. ზაფხული იწურებოდა, გენიალური საღამო იდგა და მთელი ეზო გარეთ იყო გამოფენილი. მათ შორის იყო ბურვაკიც, რომელიც სახლის ჩრდილში ნებივრობდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, მუხთალი ბედი რა საჩუქარსაც უმზადებდა. ვალიკოს განუყრელი სეტკამაიკა ეცვა, ნარდს აგორებდა და კმაყოფილი ჩანდა. როგორც ყოველთვის, იგებდა, — მის კართან ჩარჩოზე, გადაკეცილ მანეთიანებს კენჭი ედო. მეზობლის თხოვნაზე მძიმედ, ხვნეშით წამოიზლაზნა, რატომღაც თავის აივანს ახედა და ასევე მძიმედ, დინჯად აუყვა საფეხურებს. ამასობაში სადარბაზოსთან ხალხი შეიყარა, ერთი სჯა-ბაასი და ყაყანი ატყდა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, — ვალიკოს ბურვაკი უნდა დაეკლა. აღარ მახსოვს, მაგრამ მგონი, სანაძლეოებიც დაიდო, ვალიკო პირველივე დარტყმით განგმირავდა ბურვაკს თუ არა, — ზედმეტად დიდი და ნასუქი ჩანდა, — ღორი უფრო ეთქმოდა. საბრალო პირუტყვს ბორია ერქვა და ხელზე ნაჩვევი, „რუჩნოი“ იყო, — კაციშვილს არ უფრთხოდა. ეგ კი არა, როცა მონებივრე, ნირვანაში მყოფ ბორიას ღიპზე მოფხანდი, მისი ნეტარი ღრუტუნი ბელაქანშიც კი ისმოდა ხოლმე...

უკან მობრუნებულ ვალიკოს პირზე ბოროტი, ძალიან ცუდი ღიმილი დასთამაშებდა. ხელში დაჭრელებულტარიანი და უშველებელი კაუჭა ბებუთი ეჭირა და მთელიარსებით საქმის ზედმიწევნით კარგ, იდეალურ ცოდნასაც ასხივებდა.

„ეგ ბებუთი ციხეში გაკეთებულსა ჰგავს!“ — გაისმა ბრბოდან.

„ბიჭო, ვალიკო, ერთხელ მაინც თუ დაგიკლავს ღორი, მაგას თავის მუღამი აქვს, კაცო, ყომარის გაგორება კი არ არი?!.“ — ეს დაეჭვებული ამოძახილიც ბრბოს ეკუთვნოდა.

ამ მეორე რეპლიკამ რატომღაც დამთრგუნველად იმოქმედა ხალხზე, — ყაყანი და მიეთ-მოეთი შეწყდა და ავისმომასწავებელი დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ ჩვენი ბორია ნებივრობდა, — მშვიდი, უშფოთველი, აუღელვებლი... გული ცუდს არაფერს ეუბნებოდა და რა გადარევდა?! ცისფერი, ციცქნა ღილი-თვალები სიყვარულით შეავლო გალავანივით შემორტყმულ ხალხს და გვერდი იცვალა — კმაყოფილი ღრუტუნით, მთელი სილამაზით და თანაც ყოვლად ურცხვად წარმოაჩინა ვარდისფერი, გაფითქინებული მუცელი. ალბათ ფიქრობდა, იქნებ ვინმეს გაუწყრეს მაღალი ღმერთი და ნაპატივები ღიპი მომფხანოსო.

ღორის დაკვლის ამაღელვებელ პროცესზე ბევრი მსმენია, მოთხრობებშიც წამიკითხავს და ფერწერული ტილოებიც მინახავს. მერე თვითონაც რამდენჯერმე შევესწარი: გურიაში, კახეთში, იმერეთში... სამაჩაბლოში... ღორის ყოველ დაკვლას, მწვადზე და ღვინოზე რომ არაფერი ვთქვა, ყოველთვის საზეიმო განწყობა, საერთო-გამამხნევებელი აჟიოტაჟი და მხიარული ჟრიამული ახლდა... მაგრამ ტრაგედია, რომელიც ბალღობაში ჩემ თვალწინ დატრიალდა რუსთავში, დღემდე არ მასვენებს, სულს მიფორიაქებს და ძილსაც მიფრთხობს და ძარღვებში სისხლსაც მიჩერებს...

ხალხი ორრიგად, ნახევარწრედ ადგა ბორიას და მდუმარედ და, როგორც მაშინ მომეჩვენა, სიბრალულით დასცქეროდა. ვაჰმე, რა მწარედ ვცდებოდი! გარინდებული სამყარო თურმე მოუთმენლად ელოდა ფინალურ აკორდებს! მოღებულ იქნა: დაბალი, გაურანდავი ფიცრის მაგიდა, ბოცებით და ვეება ქვაბებით წყალი, ვედროებით — მდუღარე, ტაშტები და დანები და ტილოები, ორიც — „ფარსუნკა“. ვიღაცამ ბრძნული აზრიც კი წამოაყენა, — ეგ ღორს არ დაანახოთო, თითქოს ჩვენი ბორია მომენტალურად ისქესებდა, ფარსუნკას მეშვეობით რასაც უპირებდა ვერაგი კაცობრიობა. ქალები მოშორებით იდგნენ და ისე ვნებიანად ჩურჩულებდნენ, იფიქრებდი, სისხლი წყურიათო...

ვალიკო პირველ რიგში, ზუსტად მძინარე ბორიას მუცელთან იდგა. მარჯვენა ხელი ზურგსუკან ეჭირა და ჭრელტარიან ბებუთს კოტიტა თითებში პროფესიონალურად, შავურად აწვალებდა და ათამაშებდა, — ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ბალღები უკან ვიდექით და მე ვერ დავინახე ვალიკოს სახის გამომეტყველება. უკნიდან კი მისი იერი სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა.

„გულში უმარჯვე, შავვალიკო, ადგილზევე მოკვდება, აღარ იწვალებს!“ — დაარიგა უხუცესმა მეტალურგმა მიშამ. ძია მიშა მოშორებით იჯდა, განმარტოებით, მაგრამ ეტყობოდა, რომ სული და გული აქეთ ჰქონდა.

„ჰო, გულში და მერე ყელიც გამოსჭერ, ეგრეა წესი!..“

„ხალხო,“ — ბრაზით შეუყვირა ვალიკომ მეზობლებს, — „არ დამანებებთ ჭკუის სწავლებას?! რა წესი, რის წესი, ეე, ესენი ვინა ყოფილან, კაცო?!.“ — მერე ბორიას მიუტრიალდა და მოულოდნელად და გაფრთხილების გარეშე მთელი ძალით მოქნეული ბებუთი ფერდში „უმარჯვა“...

ხალხს გმინვა აღმოხდა.

ბურვაკმა თვალები დააჭყიტა და სუსტად, კვნესის ხმით ამოიღრუტუნა. საბრალომ ალბათ იფიქრა, — მეხი დამეცაო. თუმ-

ცა, რაც დაეცა, ის მეხზე ბევრად უარესი იყო!

ბორიამ მეტი ვერაფრის გაფიქრება მოასწრო, ვალიკომ სეტყვასავით დააყარა, დახანჯლა და დააბებუთა ბურვაკი: მეორე ღრმა ჭრილობა ბაძაყში მიაყენა, მესამე — ღვიძლში, მეოთხე — ყელში და წავიდა და წავიდა... ელვასავით ხან სად გაიელვებდა და გაიკლაკნებოდა ვალიკოს ბებუთი, ხანაც — სად... ერთიც არ აუცილებია, ერთხელაც არ ათრთოლებია ხელი და არც სიბრალულის ნაპერწკალი მოხვედრია მის ქვადქცეულ, გაყინულ გულს. გამძვინვარებულ ვალიკოს ვადამდე შეჰყავდა მახვილი ხორცში და ყოველ ახალ ჭრილობას კლასიკურ „უხ, შენი პატრონისაცო!“ დააყოლებდა ხოლმე...

როგორც იტყვიან, ირგვლივ სამარისებური დუმილი იწვა. დუმილს მხოლოდ ვალიკოს „უხ, შენი“ არღვევდა, ჭრილობები მრავლდებოდა, სისხლი-ცუნამი ხალხს წალეკვით ემუქრებოდა და რომელიღაც ბინიდან გულამომჯდარი ბალღის შორეული ტირილიც გაისმოდა...

ბრბომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. მეზობლებიდან ვერავინ გაბედა ვალიკოს შეჩერება, რომელსაც სეტკა-მაიკა სისხლით და ოფლით გაჟღენთოდა და უმძიმესი დავალება ფატალური დასასრულისკენ მიჰყავდა...

„გულში, შავვალიკო, შიგ გულში ჩამეცი ეგ ოხერი დანა, დამასვენე მტარვალო, და, გავათავოთ საქმე!..“ — ბორიამ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ვალიკოს გულმკერდი მიუშვირა და სამუდამოდ დახუჭა თვალი.

როგორც მერე გაირკვა, ბურვაკ ბორიას 18 უმძიმესი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. ძია მიშას თქმით, — ყველა სასიკვდილო...

და ვიდრე ეზოში სისხლი იღვრებოდა, ჩვენების დიდი ოთახის კუთხეში პაშა მუხლმოდრეკილი ლოცულობდა:

„Ï î ì èëóé, Ãî ñì î äè... Äóñÿ ø åï ÷åà.. î é, áåäà áóäåà.. Ãî ñì î äè, âî çüì è ì î þ äóø ó... äà ï î ì èëóé...“

ყველა წესის და რიგის მიხედვით, პაშა ბიცოლაჩემს სახლის დალაგება-მოწესრიგებაში უნდა დახმარებოდა — დაქირავებული ქალი ერქვა. ჩვენი და საკუთარი თავის დაპურებაც მის მოვალეობაში შედიოდა. მაგრამ შუახანს მიტანებული, გაუთხოვარი რუსი დედაკაცი, რომელიღაც სექტის ყმა-ქალიშვილი გახლდათ და შესაბამისად, ჩვენთვის გამოყოფილ დროსაც თავის სასარგებლოდ ანუ მთავარი საქმისთვის იყენებდა. პაშას „მთავარი საქმეც“ ეგ იყო — ლოცვა. და ისიც ლოცულობდა: ბუტბუტით, ჩიფჩიფით, მდუმარედ, ფეხზე მდგარიცა და მძინარე მდგომარეობაშიც...

პაშა გარეუბანში, თუ არ ვცდები, ხიმიკების მახლობლად ცხოვრობდა. მრავალბინიანი სახლი-ვაგონი იყო მისი რეზიდენცია. ბაბა-პაშა, ასე მოიხსენიებდა ნებისმიერი გამვლელ-გამომვლელი. თუმცა ბაბა-პაშას მეზობელ ვაგონებში მასზე ბევრად უფროსი დედაკაცებიც ცხოვრობდნენ. ვიცი, მინახავს, ერთხელ მე და ჩემი ბიძაშვილი შინ წაგვიყვანა და კარტოფილისა და კომბოსტოს „პერაშკებით“ და შინნახადი „კვასით“ გაგვიმასპინძლდა. ვაგონის წინ გამართულ სკამზე შავითმოსილი, თავსაფრიანი და ცვილისსახიანი დამჭკნარ-დაღვენთილი დედაბრები ისხდნენ. მარადიული შიშის გარდა, ყოველგვარი გრძნობის, ემოციისა და ვნებისაგან დაცლილი, ბილინებიდან გადმოსული არსება-მოჩვენებანი...

ჩემ ბალღურ ფიქრებში პაშას ბინა საყდრად წარმომედგინა: გუმბათში — ღვთისმშობელი ყრმით, კედლებზე — ფრესკები, კუთხეში, საწოლის პირდაპირ ხატები და ბზის ტოტი და ჭერიდან ჩამოშვებული ზეთით სავსე საზეთე. მასში, რა თქმა უნდა, მარად უქრობი პატრუქი კიაფობდა. პარმაღში ნოხი ეფინა და რკინით შეჭედილი სკივრი იდგა. სკივრზე სანთელი ენთო და დუსია იჯდა, ბუტბუტებდა და სახეს შავ თავსაფარში მალავდა.

მე ყველაზე ძალიან, დუსიას ნახვა მწყუროდა. პაშას ყოველწამიერი რეალური თუ ირეალური ფიქრებისა და მონოლოგების საგანი-მიზეზი და გმირი, ბუნებრივი თანამგზავრიცა და ამავე დროს, იდუმალების ნისლით მოსილი ქმნილება.

ახლა რომ ვუკვირდები, ნამდვილი თანამგზავრი ჩვენი პაშა გახლდათ. დუსიას ხსენებაზე ღამის ექსტაზში, უფრო კი ტრანსში ვარდებოდა: თვალები გაეყინებოდა, დამბლა დაეცემოდა და რატომღაც წარმოუდგენელი შიშიც შეიპყრობდა ხოლმე... დუსიაც მომენტალურად იწყებდა „შეპჩეტ“-ს...

პაშას ჩვეულებრივი, ციცქნა და ასკეტურ-პროზაული ბინა ჰქონდა: საწოლი, კომოდი და პატარა, მრგვალი მაგიდა ედგა. მაგიდაზე ტილოს სუფრა ეფარა, რომელსაც ამშვენებდა მინის ლანგარი და მინისავე გრაფინი თავის ოთხი „მალენკოვით...“ ოთახს შიშველი ნათურა დასცქეროდა და კედელზე, თითქმის ჭერთან, წვერმოშვებული მამაკაცის ფოტო ეკიდა. ფოტოს გასწვრივ, — სარკე (როგორ ახერხებდა მასში ჩახედვას, ჩემთვის ეს საიდუმლო დღემდე დაფარულია)... ჰო, ლოგინის ქვეშიდანაც რკინით შეჭედილი და თოკით ყბაახვეული ჩემოდანი იხედებოდა. სულ ეგ იყო ბაბას მთელი ავლა-დიდება.

იმხანად რუსთავში ბევრი სექტა არსებობდა — კრიკუნები და პრიგუნები, მალაკნები და ბაპტისტები... სტაროვერები... რა ვიცი, ვინ აღარ... აღარც კი მახსოვს, ან რატომ უნდა მახსოვდეს? პაშა რომელი სექტის ყმა იყო, არც ეგ ვიცი და არც ის, — იყო თუ არა დუსია რომელიმე სექტის იღუმენია, ან საერთოდ თუ ჰყავთ სექტანტებს წინამძღვრები... სექტის წიაღში არასდროს შემიღწევია, ჩემ ბავშვურ ცნობისმოყვარეობას არასდროს მოუთხოვია ამ საიდუმლოს ახსნა, არ მონდომებია მასში ხელის ფათური...

მხოლოდ ერთხელ მოვინდომეთ მე და ჩემმა ბიძაშვილმა პაშას სექტის დადგენა და მაშინაც არაფერი გამოგვივიდა. საიდან?.. ლოგინში ვიწექით და სრული სერიოზულობით განვიხილავდით სექტანტობის რაობას, მისი წარმოშობის და განვითარების სტადიებს, გზებს და მიმართულებებს. ერთადერთი, რაზეც შევთანხმდით: — ბაპტისტები, მალაკნები და სტაროვერები უყოყმანოდ უკუვაგდეთ და კრიკუნებზე და პრიგუნებზე შევაჩერეთ მზერა. პირველ სამ სექტას (სახელწოდების გათვალისწინებით) ზედმეტად მძიმე და გადატვირთული გრაფიკი უნდა ჰქონოდა და დარწმუნებულები ვიყავით, — პაშა ვერ გაუძლებდა ასეთ მძიმე გამოცდას. მიუხედავად თავის „სიგიჟეებისა“, პაშა გვიყვარდა და საბაბტისტოდ, სასტაროვეროდ და სამალაკნოდ ნაღდად ვერ გავიმეტებდით. მოგვეჩვენა, რომ კრიკუნები და პრიგუნები უფრო „მსუბუქი ყოფაქცევის“ სექტების რიცხვს ეკუთვნოდა და ბავშვურად ჩავთვალეთ, — ამ რომელიმე პარტია-გართიანება-საზოგადოებაში ბაბა-პაშა ბედნიერად თუ არა, კომფორტულად მაინც იგრძნობდა თავს. ერთადერთი, რაზეც ვერ შევთანხმდით და დიდხანს უაზროდ ვიკამათეთ, იყო: — ამ ორიდან რომელში გაგვენაწილებინა ჩვენი ბაბა-პაშა...

იმ ღამეს პაშას ბინა დამესიზმრა. დაბინდული ოთახის კუთხეებში სანთლები ენთო. ცენტრში სკივრი იდგა და ზედ შავითმოსილი, ფეხშიშველი დუსია იჯდა, — უნაზესი და უნატიფესი ფეხის თითები ჰქონდა. მახსოვს, ძილში გავიფიქრე, ასეთი ლამაზი ტერფების პატრონს, ალბათ, სახეც ულამაზესი ექნება-მეთქი. სკივრის ირგვლივ წრეზე, რამდენიმე რიგად სკამები იყო ჩამწკრივებული. სკამებზე მუმიადქცეული, შავთავსაფრიანი დედაბრები ისხდნენ და მონოტონურად, ძლივს გასაგონი ხმით და წამღერებით დუდუნებდნენ: — დუსია შეპჩეტ, დუსია შეპჩეტ, ოი, ბედა ბუდეტო... თანაც აქეთიქით და წინ და უკან ნელა, შეთანხმებულად იხრებოდნენ და ირწეოდნენ. ზოგჯერ რომელიმე დედაბერი მოულოდნელად ამოიოხრებდა და გაქვავებულ, წამიერ მზერას ფოტოსურათს მიაპყრობდა ხოლმე.

თავდახრილი და ასევე ფეხშიშველი პაშა სკივრთან იდგა და დუდუნის მოტივზე მთელი სხულით ირწეოდა. მომეჩვენა, რომ ძალიან უბედურად გრძნობდა თავს, მაგრამ ვერ ვშველოდი: რაღაცნაირად თან ვიყავი იმ ოხერ ოთახში და თანაც, — არა...

უცებ საიდანღაც ნიავი შემოიჭრა ოთახში, სანთლები აათრთოლა და რომანსის ხმაც შემოიტანა. ნანი მღეროდა:

„...ი ვაიძი, ვ წიომნი სად, ტი კაკ წენ...“

ამ ხმაზე დუდუნი შეწყდა და დუმილი ჩამოვარდა, დუსია კი შეკრთა, გამოერკვა და თავი ასწია. მოვლილ, მრგვალ და ჩემდა გასაკვირად, მხიარულ და არც ისე ლამაზ სახეზე ასაკი არ ეტყობოდა. ბაგეზე ალისფერი პომადა ეცხო, ლოყები უღაჟღაჟებდა და, როგორც მომეჩვენა, ბედითაც კმაყოფილი ჩანდა. მერე თვალებში ჩავხედე და, ღმერთო, ნეტავ, ეს არ მექნა, — დუსიას შუასაუკუნეების ალქაჯის მზერა ჰქონდა! ალქაჯები ნებისმიერ დროსა და ეპოქაში არსებობდენ, არსებობენ და იარსებებენ კიდეც... მაგრამ, ხომ შეიძლება, დუსიას VII ან XIX ან XX ან სულაც XXI საუკუნის „ვედმისა“ ჰქონოდა?! ნურას უკაცრავად! მისი მზერიდან XIII საუკუნე იხედებოდა: — სიბნელე და ინკვიზიციის ცადავარდნილი კოცონების ალი და იმ კოცონზე დამწვართა სასოწარკვეთილი მოთქმა-გოდება და მძიმე ჯაჭვების შემზარავი ჟღარუნი; სრულმთვარიანი ღამეები და მგელკაცების ყმუილი, ხოლერა და ყვავილი; საწამებელი ოთახები, წრეში მოქცეული ხუთკუთხედების ირგვლივ დანთებული სანთლების ლიცლიცი და შეშლილი ალქაჯების შაბაში და როკვა როკაპთა; ჟღალთმიანი და უცნაური დედაკაცები და მკაცრი, უსასტიკესი მამაკაცები... ადამიანები და ხმები, სუნები და ფერები, წარმოუდგენელი პეიზაჟები და ჩაუქრობელი ხანძრები და ომები, ომები — ჩანდა და ირეკლებოდა და იღვრებოდა დუსიას უსკლერო თვალებიდან. მხოლოდ გუგები, — შავი და საშიში და სავსე მთვარესავით უზარმაზარი გუგებიღა იყო დარჩენილი, სხვა — არაფერი... მღიმარი, უდარდელი სახე მირაჟი, ილუზია აღმოჩნდა. სინამდვილეში, დუსიას ნაცვლად, სკივრზე უხსოვარ დროს გარდაცვლილი მოჩვენება იჯდა. დუსია-მოჩვენება, რომელიც გახელილი თვალებით გარდაიცვალა და ყველაფერთან ერთად, სიკვდილის ცელიც სამუდამოდ ჩაეყინა მზერაში...

„კრიჩი!“ — მოუწოდა მოჩვენებამ პაშას.

„გოსპოდიი-ი-ი-ი! — შეჰყვირა მთელი ხმით პაშამაც.

„იი-�iii-ییი-ii-ii!“ — დედაბრები შეთქმულებივით წამოიშალნენ და ლამაზი, წკრიალა, ბავშვური ხმებით აჰყვნენ პაშას. თანაც ისევ ირწეოდნენ და რატომღაც ხელები ჯვარედინად გადაეჭდოთ გულზე.

„ხვატიტ!“ — მკაცრად ბრძანა დუსია-მოჩვენებამ. — „ა სიჩას, ვსემ პრიგაც!“ — ქურუმ-დუსია სკივრიდან საოცარი სიმკვირცხლით ჩამოხტა და ადგილზე ხტუნვა დაიწყო. მერე თავის „ტახტს“ ლამაზი, სპორტული ასკინკილათი შემოუარა. ჩვენი პაშაც ორივე ფეხით და თანაც მოუხერხებლად და ძალიან ულაზათოდ და არასპორტულად მიჰყვა (მერე გამომიტყდა, ასკინკილა ცხოვრებაში არ მიცდიაო). ქალები სკივრის ირგვლივ თავბრუდამხვევი სისწრაფით დაქროდნენ, — მაშინ მომეჩვენა, რომ ქროლვა და ხლტომა გააიგივეს და ხელოვნების დონემდეც კი აიყვანეს. დედაბრებმაც მომენტალური „ბანი უთხრეს“ — სკივრს ასკინკილათი, ყანყალით ურტყამდნენ წრეებს და თან მთელი ხმით, გულის შეღონებამდე ყვიროდნენ (დავინახე, „ბრძოლის ველზე“ როგორ დაეცა რამდენიმე მათგანი). ყვირილს გამუდმებული, მონოტონური დუდუნიც ახლდა, რომელიც ერთი წამითაც არ შეწყვეტილა, — „წითელ ფონად“ გასდევდა მათ ხლტომა-ყვირილს და დედაბრების „კონცერტს“ სრული პოლიფონიის ეფექტს ანიჭებდა.

უცებ ყველა შავითმოსილი დედაბერი ერთარსებად გადაიქცა, — მკვრივ და მოძრავ, რეზინისებურ მასად და წარმოუდგენლად დაემსგავსა მანქანის კარგად გაბერილ შავ საბურავს. ეს ოხერი მასა-საბურავი სკივრის გარშემო სინათლის სიჩქარით ტრიალებდა და ოთახში რეზინის სუნს აყენებდა. თანდათან ყველაფერი — მაგიდა, ნათურა და ჭიქები, სკამები და შანდლები, ჩემოდანი და ფოტოსურათი მათთან ერთად ამოძრავდა, — ყველაფერმა ბრუნვა-ტრიალი დაიწყო. მხოლოდ სკივრი არ განძრეულა, ფეხიც არ მოუცვლია და გუნებაც არ გაფუჭებია. სკივრი ოთახის კონცენტრული წერტილი, ცენტრი იყო. მის სახურავზე რატომღაც ფეხბურთის დაჩუტული ბურთი მთელი ძალით „იკენწლებოდა“ და რაღაც ზებუნებრივი ძალის წყალობით, იატაკზე არ ვარდებოდა. მერე სკივრს მოულოდნელად სახურავი ჭრიალით აეხადა და ერთიანი შავი მასა თავის ბნელ ხახაში თვალის დახამხამებაში გააუჩინარა და ხმამაღალი ტკაცანითაც დაიხურა...

და ჩემი სიზმარიც აქ შეწყდა.

ჭექა-ქუხილის ხმამ გამომაფხიზლა, — სამჯერ ზედიზედ გავარდა მეხი. სკივრისგან განსხვავებით, ცუდ გუნებაზე დავდექი: მე და ჩემი ბიძაშვილი დათო დილიდანვე მტკვრისპირა ჭალების მონახულებას ვაპირებდით. წვიმა, მეხი და სეტყვა არ შედიოდა ჩვენ გეგმებში, საბანაოდ ვერ წავიდოდით (ისედაც ჩუმად, უფროსი თვალისგან დაფარულად ხდებოდა მდინარეზე გაპარვა.) და მთელი დღე შინ მოგვინევდა ყოფნა.

მტკვარი სახლის უკან, ცოტა მოშორებით მიედინებოდა. ორივე ნაპირზე ულამაზესი, თითქმის პირველყოფილი გარემო ერტყა: — ველური ფშატები და წყალზე დახრილი ძეწნები, უზარმაზარი კაკლები და ალვისხეები, ბევრი იელი და უცნობი, წვნიკა ყვავილებით დამშვენებული დიდი ბუჩქები...

ზედ მტკვრისპირას, ჩვენ საბანაოსთან ბებერი, ნახევრად გამხმარი, ლამაზი მარტოხე იდგა. ერთი საღი ტოტი მტკვარზე დაეხარა და იქიდან წყალში გადახტომას არაფერი ჯობდა. ხეს დაღარულ-დახეთქილი ქერქი და ვეებერთელა ფუღურო ჰქონდა. აა-ოოა-ოო-ააა! — ასე მღეროდა ფუღურო. რა თქმა უნდა, მასში ადგილობრივი ბალღების „შტაბი“ იყო განთავსებული. აბა, ასეთ ხელსაყრელ ფუღუროს ხელიდან ვინ გაუშვებდა?! მე და დათოც ბევრჯერ ჩავმძვრალვართ იმ შტაბში და მუჭში დამალული „დაისიც“ (ოდესღაც იყო ასეთი სიგარეტები) მალულად გაგვიბოლებია... ეჰ, მერე ვიღაც იდიოტს ანთებული სიგარეტი დარჩა შტაბში და ხეს ცეცხლი გაუჩნდა. კი არ გაუჩნდა, „სახტუნაო“ უცნაურად დაიწვა, უცეცხლოდ, რაღაცნაირად პირდაპირ ჩაიფერფლა, ბამბასავით, სიგარეტივით ბოლომდე ჩაიწვა და დანახშირდა...

ფანჯრიდან არც გამიხედავს, დათო გავაღვიძე და ვუთხარი, დავიბრიდეთ, ძმაო, საბანაოდ წასვლა ჩაიშალა, ქუხს, ელამს და ცა ფეხად ჩამოდის-მეთქი! (ელამს ანუ ელავს, — სიტყვის ეს ფორმა ლაგოდეხელ მეტეოროლოგ ელიზბარას ეკუთვნის)

— ბიჭო, ხო არ გაგიჟებულხარ?! — დათომ უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა, ძილი დაუფრთხეს, — რა ელვა და მეხი აგიტყდა, უბრალოდ რუბიკა თავის ახალ პოჯიკს ამოწმებს... სულ ეგ არი, რა... ახლა დამაძინე, თუ ძმა ხარ...

„რუბიკა... პოჯიკი...“ — ვფიქრობდი ჩემთვის. „პოჯიკი და რუბიკა! პობიკი და რუჯიკა, პორჯუბკი, ზედაც რაჯ კაპური...“

რაღა დამაძინებდა?! ელვის სისწრაფით ჩავიცვი, ჯიბეში ვაშლი გავიქანე და უკანა ეზოში ჩავქროლდი, — იქ იყო პოლიგონი. გული მიგრძნობდა, — პოჯიკის ადგილი პოლიგონზე უნდა ყოფილიყო...

„ჯერ სიტყვის ასო-ბგერათა შეთანხმება ნახე და დასკვნები მერე გამოიტანე, რა გეჩქარება, ძმაო?!“ — მეუბნებოდა გული. მე კი მეჩქარებოდა, თვითონ სიტყვამაც მომხიბლა — პოჯიკი — და რუბიკას ნახვაც მინდოდა. პირველი ასაფეთქებელი მოწყობილობა, — „ვინტი“ — სწორედ რუბიკამ გამაცნო და ნება მიბოძეთ, ჩემი ცოდნა თქვენც გაგიზიაროთ.

როგორც მახსოვს, ვინტი ასანთის წვრილად დაფშვნილი გოგირდის თავებით „იტენებოდა“ და საოცარი იარაღი იყო: წარმოიდგინეთ ვეებერთელა ჭანჭიკი (ბოლტ-ი), რომელსაც უშველებელი ხრახნი-ქუდი (ვინტ-ი) ახურავს. ამ ორი დეტალის დედალ-მამალი ხრახნები ამოვსებულია დაფშვნილი გოგირდით და რაც მეტია „საწვავი“, მით — უკეთესია. ქუდი ფრთხილად, მაგრამ აუცილებლად მჭიდროდ ეხრახნება ფეხს და იარაღიც მზადაა. არ ჭირდება სინ-იუან-ბო, ვეგეტიუსი და სხვა ფილოსოფოსები. მთავარი მაინც მასალის ანუ ბოლტ-ვინტის მოპოვებაა, მაგრამ რუსთავში, მასალის მოპოვების ამ ჭეშმარიტად ქერის ორმოში, მხოლოდ ოდნავი მონდომება და, „ბოლტ-გაიკა“ თავისი ფეხით ჩაგივარდებოდა ჯიბეში. უკლებლივ ყველა რუსთაველ ბიჭს შარვლის ორივე ჯიბე ჩახეულ-ჩაფხრეწილი ჰქონდა, — სერიოზული ვინტი 1-1,5 კგ-ს იწონიდა. ასანთის ხარისხზეც ბევრი იყო დამოკიდებული: ყველაზე მაგარი „გიგანტი“ და ბალაბანოვოს ფ-კის პროდუქცია იყო, არაუშავდა „პობედასა“ და ბორისოვის ასანთებს და საერთოდ არ ვარგოდა ბარნაულის და ჩვენი ასანთები.

ვინტი „ხმამაღალი“, მქუხარე იარაღების სიაში ირიცხებოდა. სერიოზული, სისხლიანი ჭრილობების მიყენება არ შეეძლო და მხოლოდ ვინმეს შესაშინებლად, გულის გასახეთქად გამოიყენებოდა. შიშისგან სისხლის გაყინვა კი რუსთაველი „მეომრებისთვის“ უბრალო ნაკაწრადაც არ ითვლებოდა. ხუმრობის, გართობის და, თქვენ

დასასრული მე-7 გვერდზე

საოჯახო აფთიაქი

ღმერთს მადლობა — მომცა შვილი,
მომცა რძალი, მომცა ცოლი,
მოგვცა გინო, ლიპრიმარი,
ნორვასკი და ომეზოლი...

ღმერთს მადლობა — მისცა ჩემს ცოლს
შვილი, მული, რძალი, ქმარი,
წვეთები და ომეზოლი,
ნორვასკი და ლიპრიმარი...

მადლობა ღმერთს — აფთიაქში
მუდამ გვიდევს ეს იოდი...
(ისე, როგორც თაროებზე
შოთა, დანტე, ჰესიოდე)...

კიდევ დიდხანს ვიქნებით და
კიდევ დიდხანს ვეწამებით!
ჩვენ — ჩვენს შვილებს ვჭირდებით და
ჩვენ გვჭირდება ეს წამლები!

სიმღერა

რა ცუდია ეს წლები!
რა კარგია — ესწრები!

დაივიწყე სუყველა — ქურდები, გარეწრები!
ო, ცუდია ეს წლები, მაგრამ შენ ხომ ესწრები!
ვერ ივიწყებ, ვერ ხარობ, ვერ იღლები, ვერ ცხრები!
კიდევ ერთხელ მოფრინდნენ შენი ძველი მერცხლები!
საღამოხანს, ფერდობზე, კვლავ უნთიათ ცეცხლები!
ისევ ისე არიან ის ბებრები ცოცხლები!
სულ შენია ეს წლები! შენიცაა ეს წლები!
კარგი? ცუდი? — ნუ არჩევ! — მთავარია — ესწრები!
დიდი სიყვარულები — გულის, სულის შემძვრელი! —
ჭკვიანად თუ იქნები, სამოთხეშიც შეძვრები!
დაბერდი და გონიათ, რომ ხელიდან ეცლები!
ჯერ არ გინდა! ნუ გინდა! მთავარია ეს წლები!
ცურვა, ლახტი, დურაკა, ჭიდაობა, კენწლები... —
ის ბავშვობა დასრულდა — სცენაზეა ეს წლები! —
საშინელი ეს წლები!
საზიზღარი ეს წლები!

ხომ ცუდია ეს წლები!
კარგიც არის — ე ს წ რ ე ბ ი!

ჭაბუა ამირეჯიბის მონატრება

შენ, უმაღლესი გონების
უვაჟკაცესო „საპყარო“,
შენ, მაგ საწოლზე მიჯაჭვულს —
შენ შემოგევლოს სამყარო!
შენს დიდ წაგებებს ვიხსენებ,
შენს ოთხ დამას და სამ კაროლს!
შენ, მაგ საწოლზე მიჯაჭვულს —
სულ შენ გახსენებს სამყარო!
შენ გაგიმარჯოს მაგ შენი
შედევრით მართლა ბრწყინვალით,
შენ, ოთხმოცდაათი წლისა და
ოცდაერთი დღის „ინვალიდს“!
მე ვენაცვალე შენს შვილებს —
შენს ო თ ხ კ ა რ ო ლ ს დ ა ო რ დ ა მ ა ს!
(აგერ, ორ წელზე მეტია
ვერ გნახე — ნაღდად ცოდვა მაქვს...).
სულ შენთან მქონდეს საქმე და
გინდ — სესხი იყოს, გინდ — ვალი!
შენ გაგიმარჯოს — მსოფლიოს
გზებზე მორბენალ „ინვალიდს“...

* * *

მარიკა შალიკაშვილს

მაღალი ქუსლებით,
დაბალი ქუსლებით,
პაწია მუცლებით,
მოზრდილი მუცლებით —
იგივე სინათლე,
იგივე სიკეთე,
იგივე მშვენება —
უცვლელი, უცვლელი...

ამ მშვენიერებამ
დაღალა გოეთე,
დაღალა შექსპირი,
დაღალა რუსთველი...
და ისევ მიდიან
მარადისობისკენ
მაღალი ქუსლებით,
დაბალი ქუსლებით...

წიგნიდან: საიტ.უმლო ბარათი — 3

* * *

გზასაცდენილებს, ცოდვილებს —
ახსოვდეს ყველა მასონს!
მე ზოგჯერ — თავიც არ მახსოვს!
ქრისტე — ყოველთვის მახსოვს!

მეხსიერება მის ტანჯვას
ყოველდღე ლახვრად მასობს!
არ მახსოვს, ვინ ვარ, რა მინდა!
მისი ის ტანჯვა მახსოვს...

რა მერე, თუკი ეს განცდა
ახლა არც ისე ფასობს...
განა ვზივარ და ვიზუთხავ —
ეს უფლის ნებით მახსოვს...

თუმც შხამი ათასნაირი
ათასჯერ მაინც მასვეს —
არ ვიცი, რა სჭირთ მაგ საწყლებს —
ჯერ ჯვარს ვერაფრით მაცვეს...

ინფანტილური

— მიშოვა დრომ დრო და მიტირა ყოფა —
დროს, ჩემი რაც იყო, ხელიდან მაცლის!
ის მაინც ვიცოდე, მადროვებს ცოტას?
მომცემს დროს ცოტას და ცოტასაც მაცლის?
დროს დაკვირვებიხართ?
— სადა მაქვს მაგის დრო!
— დროს, იცი? ფერი აქვს ხავსის და ნაცრის!
— ადროვე, შე კაცო! დროს ქვეყნის დრო აქვსო,
შენ არ თქვი?
— მე ვთქვი, კი!
— მერედა, გაცლის!
— მე, იცი, რას ვფიქრობ? ამქვეყნად ჩემს ყოფნას,
ეტყობა, რატომღაც საჭიროდ არ თვლის,
თორემ ის წერტილი არც ისე შორსაა —
არც ისე შორია წერტილი ათვლის...
ოთხმოცი! რა მოხდა, კაცმა თქვას ისეთი!
დრო მინდა! დრო კი დროს ხელიდან მაცლის...
— დრომ რა ქნას! რა გიყოს! სანამდე გვათრიოს
კვადრილიონობით ქალი და კაცი...
კითხავს დრო უფალს და, თუ ღმერთი ინებებს,
თუ ჩათვლის საჭიროდ — უთუოდ გაცლის...
თუ ღირსად მიგვიჩნევს, ნამდვილად გვაცლის...
(თან თუ მოლოდინიც ექნება ღვაწლის...)...

* * *

— ვათვალიერებ დარბაზს.
დარბაზში ბიჭი დარბის!
ისე ყოჩაღად დარბის —
წამით გახსენებს დერბის!
ღიღინ-ღიღინით დარბის!
მერე კიბეზე არბის!
უეცრად იწყებს სტვენას!
სტვენას ხმები აქვს არფის...
ყოჩაღად მირბი-მორბის,
მარდად არბის და შერბის —
ძალა აქვს მთებში ნავალ,
მთებში ნაცხოვრებ შერპის...
ხელებს ლამაზად რომ შლის,
ფრთები ასხია ორბის!
მირბის, მორბის და მირბის!
მორბის, მირბის და მორბის...
კედელს შეასკდა ბოლოს –
მგონი გაუსკდა წარბი!
ნეტა პატრონი არ ყავს? —
ისევ დარბის და დარბის!

— რამდენჯერ გითქვამს — ცუდი
მეხსიერება მაქვსო!
ერთხელ ნანახი ბიჭი
აქამდე როგორ გახსოვს!..

* * *

— მე ვნახე ღმერთი... და მე ვერ მივხვდი,
შიშველი იყო თუ ტანზე ეცვა...
მე დამავიწყდა ვედრება, ლოცვა,
მუდარა, თხოვნა, აჯა და ესვა...
ასეთი კარგი, ლამაზი, ბრძენი —
ვერ დაიჯერებ, ჯვარს როგორ ეცვა...
მე ვნახე ღმერთი, და ბედნიერი
თუკი ვყოფილვარ ოდესმე — დღეს ვარ...

მე ვნახე ღმერთი, და ნაღდად მჯერა —
თავად უფალმა შემასწრო თვალი...
ბედნიერი ვარ — აღარაფერი
აღარავისი არა მაქვს ვალი...
მე მჯერა შენი! მე მჯერა თქვენი!
მე მჯერა მათი! მე მჯერა ხვალის...
ვიცი, გადავრჩი! უკვე გადავრჩი!
განგების ნებით!
განგების ძალით...
...
გთხოვთ, დამიტოვოთ ეს ერთი ლექსი!
სხვა ყველაფერი აიღეთ, დაწვით —
მე სამოთხისკენ წავალ სულ მალე —
გულმოცემული ღვთაებრივ დაცვით...

* * *

რატომ ვამაყობთ რუსთველით,
თავი რად მოგვწონს საბათი! —
რუსთაველი და საბაა
ჩვენი დიდების საბუთი!

თავი რად მოგვწონს მთაწმინდით —
თბილისს თავზე რომ დანათის!
თავი რად მოგვწონს გოგლათი,
თავი რად მოგვწონს ანათი!
რატომ ვამაყობთ ვაჟათი
და უცნაური გალათი... —
ყველაზე დიდი ცოდვაა
ქართული სიტყვის ღალატი...
რატომ ამაყობს სუყველა —
ქართული ლექსის გურმანი —
ოთარითა და გივით და
მუხრანითა და მურმანით,
სულმუდამ სავსე რადაა
ეს ყვავილების კალათი! —
ცოდვა იქნება ქართული
სიტყვის და ლექსის ღალატი!

* * *

მეც ვარჩევ ერთმანეთისგან
ცხოვრებასა და კირთებას...
ჩემი სიკვდილი არ მიკვირს —
სხვისი რად გამიკვირდება!

გადაშლილია დღეები
ჯერ გამოუცნობ კარტებად!
ჩემი წამება გულს რომ მწყვეტს,
სხვისი რად გამეხარდება!

გული გულია, და გული
სხვა გულისცემას მიხვდება...
გულები — ჩემიც და შენიც —
ორივე ერთად მიკვდება...

ჩემიც და შენიც — დღეები,
ვგრძნობ, ერთდროულად მაკლდება!
(გადაიკითხავ, და ვიცი —
ლოყები შეგიფაკლდება...).

მაწუხებს, როცა ჩემს გამო
მოყვასი ჩემი წუხდება!
რა ვქნათ! რას ვიზამთ, თუ სიკვდილს
მ ო ყ ვ ა ს ი ს ც რ ე მ ლ ი უ ხ დ ე ბ ა!

ვ ა ჟ ა

პანეგირიკი

ხარს ვგევარო... განა გევხარ —
შენ ნამდვილად ხარ ხარი!
ხარ ღიმილი,
ხარ სიცილი,
კისკისი და
ხარხარი!
ხარ ცრემლები,
ხარ ტირილი,
ხარ მოთქმა და გოდება!
შენზე დიდი მწუხარება
ნაღდად არ მაგონდება!
ხარ ტკივილი,
ხარ წუხილი,
ხარ თხოვნა და ვედრება!
ვინც გედრება, იცოდეს რომ
სულ ტყუილად გედრება!
შოთას შემდეგ უმაღლესი —
ერთადერთი — შენა ხარ!

ხომ შენ ნახე ჯოჯოხეთი! —
სამოთხესაც შენ ნახავ!

გოგირდის აბანოები

როცა ტანს იბანს ქალი,
გულს ეწყება ფანცქალი!
ხან ცივია, ხან ცხელი
ხან ქალი და ხან წყალი!

როცა ტანს იბანს ქალი,
გულს ეწყება კანკალი!
ხან ცხელია, ხან ცივი
ხან წყალი და ხან ქალი...

როცა ნააბანოვარს —
უმზერს კაცი ბანოვანს,
დეკოლტეში მიძვრება,
ჭვრეტს ხან პროფილს, ხან ოვალს...

რას ვამტყუნებთ ამ შაჰებს
ბევრი ქალის ყოლაში!
გოგირდების აბანო —
სიყვარულის კოლაჟი...

არც ქრისტეზე ვფიქრობ და
არც მედინა-მექაზე! —
ნეტა ვყოფილიყავი
ავლაბრელი მექისე...

* * *

გოგო იყო პატარა. პატარა.
გულიც იყო პატარა. პატარა.
პატარა გოგომ
პატარა გული
ფატრა. ფატრა. ფატრა. ფატრა.

პატარა გოგომ პატარა გული
დაჭრა. დაჭრა. დაჭრა. დაჭრა.
პატარა ბიჭმა პატარა გოგოს
სცადა ჩიტივით დაჭერა. დაჭერა.

პატარა გოგომ, დიდთვალებამ,
იცოდა ცრემლის დადენა. დადენა...
ღვარა და ღვარა
ცრემლი და ცრემლი
და ბოლოს დადნა. დადნა. დადნა...

გოგოც, ბიჭიც — პატარა. პატარა.
გულიც, გულიც — პატარა. პატარა.
პატარა გოგომ,
პატარა ბიჭმა
პატარა გული ფატრა. ფატრა...

* * *

— მიმქრალ სუფრას უცაბედად ცეცხლი წაუკიდა რამ?
— ბაგრატივნის ბარიტონმა და ივიკოს გიტარამ!
— მაგრამ მერაბ მახარაძე ნეტა შეაწუხა რამ!
— არ მოვიდა! ვერ მოვიდა! — გვიღალატა სუხარამ!
— ვინ არ ვნახე ქვეყანაზე, სად არ ვიყავ, სად არა,
ჩამჩი მელქოს სიტყვაც ვიცი და განთქმული სათარაც,
მაგრამ გინდა დამიჯერე, ჩემო ძმაო, გინდ არა —
არც ჯანოა სხვაგან სადმე, არც ივიკოს გიტარა!
ვიცი ჭიქა ჭიქასთან და გივიშვილის შიქასტა,
მათი ხმები როგორ მივა ღვთივნაკურთხ მიშიკოსთან!
რა დღიდანაც სულ პირველად გავიგონე მათი ხმა,
ჩემი ნებით და სურვილით — უცებ გავხდი მათი ყმა!
და იმათმა მოძახილმა ცეცხლი წამიკიდა რა,
ვიწვი ასე, და ჩემს გვერდით იწვის მათი გიტარა!

* * *

ვუსმენ მუსიკას დიდებულს
(სოფელი იქცა დისკად),
ვხედავ იმ დისკზე დადებულს —
შაშვის სასწაულ ნისკარტს!

აქ სახლში ყველას თოფი აქვს,
ის კი გალობას რისკავს...
ასე მგონია, მსოფლიო
უსმენს ღვთაებრივ დისკანტს...

შოფერი — ვოვა გალოგრე —
ა ს ტ რ ა ს ახრჩოლებს გვერდზე:
— არ გჯერა? მაი გალობა
ესმით ბუდეში კვერცხებს!

* * *

გადა-გადმო ხაზებს
ბ ო ი ნ გ ი ს დ ა ი ლ ი ს —
რომელიღაც ციდან
გადმოვცქერი თბილისს!

ციდან თვალმოკრულის —
გზების დატოტვილის —
მიყვარს ჩუქურთმები! —
ვესალმები თბილისს...

ვარ ღრუბლების ზემოთ
და ქორების ზემოთ...
...ქვემოდანაც მალე
ამოგხედავ, ჩემო!

ზაალ სამადაშვილი

ოცდამესამე

სარდაფი? წიგნებში აღწერილი ვერცერთი ლაბირინთი ვერ შეედრებოდა მის თაღოვან, ბრტყელი აგურით მოპირკეთებულ კორიდორებს, რომელთა მოზრდილ, ოთახისტოლა ნიშებში ერთი-ერთზე საჩხუბრად ჩამოდიოდნენ უფროსკლასელები. სიგარეტსაც იქ ვეწეოდით. თავიდან „პრიმას“, უფილტრო სიგარეტს, მოგვიანებით „ლუქსს“, ფილტრიანს, მაგრამ „პრიმასავით“ უხარისხო თუთუნით დატენილს. სარდაფში სწავლაც მიმდინარეობდა; იქ იყო ხატვისა და შრომის კაბინეტები — ორი დიდი ოთახი, ერთი — თუნუქგადაკრული, საზეინკლო გირაგებიანი მაგიდებით, ხოლო მეორე — სახატავი დაფებით და თაბაშირის ფიგურებით კედლების გასწვრივ. გირაგებში რკინის ნაჭრების ჩამაგრებას და გაპრიალებას გრძელი, ხისტარიანი ქლიბებით, ვინმე თაბაგარი გვასწავლიდა, საშუალო ტანის ჩაფსკვნილი კაცი, რომელსაც თავი მუდამ ნოლზე ჰქონა გადაპარსული. მიუხედავად უხეშობის ზღვარზე გამავალი სიმკაცრისა, ამ მასწავლებელს არ ვერჩოდით, გაკვეთილის ჩატარებაში ხელს არ ვუშლიდით. შიშზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ალბათ უფრო იმიტომ, რომ თავისი ხნის მამაკაცებისგან განსხვავებით სიმელოტეს კეფიდან და საფეთქლებიდან შუბლისკენ ავარცხნილი თმის ღერებით არ ფარავდა და პერიოდულად იხოტრავდა თავს, როგორც იულ ბრინერის ლეგენდარული გმირი ლეგენდარულ „შესანიშნავი შვიდეულიდან“. სანამ წამოვიჩიტებოდი და ბავშვობიდან მოზარდობაში შევაბიჯებდი, მეგონა, რომ სარდაფის ის მონაკვეთი, სადაც ხატვას ვსწავლობდით, იმ ბერიკაცის ბინა იყო, ვისაც ფანქრის ერთი მოსმით ქაღალდზე დახატული საგნისთვის მესამე განზომილების მინიჭება შეეძლო. მეტიც, ვფიქრობდი, რომ ის ჩვენი სკოლისთვის დაახლოებით ისეთივე ვინმე გახლდათ, როგორც თოვლის პაპა. მითუმეტეს, რომ ბერიკაცს თოვლის პაპასავით თეთრი, ფაფუკი თმა-წვერი ჰქონდა და ყველა – მასწავლებელიც, მშობელიცა და მოსწავლეც, სერგო პაპას ეძახდა...

სარდაფივით მიმზიდველი და არანაკლებ იდუმალი იყო სხვენი — მტვრის სქელი ფენითა და აბლაბუდების ქსელით დაფარული სამყარო. აქედან წითლად შეღებილ თუნუქის სახურავზე შეიძლებოდა გასვლა და თვრამეტი-ოცი მეტრის სიმაღლიდან ქვევით გადმოხედვა; ეზოში, სადაც დამშრალი შადრევნის შორიახლოს უმცროსკლასელები „ორ დროშას“ თამაშობდნენ, ანდა ქუჩაში, სადაც კანტი-კუნტად მოძრაობდნენ „პობედები“, „გაზ-21“-ები და ახლადგამოსული „მოსკვიჩ-408“. სიგარეტის მოწევა სხვენშიც შეიძლებოდა, მაგრამ იქ ეს გაცილებით სახიფათო იყო, ვიდრე სარდაფში; მალულად დადევნებულ და თავზე წამომდგარ დამრიგებელს ხელიდან ვერ დაუსხლტებოდი, რადგან ქვედა, მესამე სართულს მხოლოდ ერთი კიბე უკავშირდებოდა...

ეს კიბე ფიზიკის კაბინეტის ვეებერთელა, მუქყავისფრად შეღებილ კართან ჩადიოდა. კარს მიღმა ვრცელი, უნივერსიტეტის აუდიტორიასავით ოთახი იყო — ხის ამფითეატრი, საფეხურებზე მაგიდებითა და სკამებით. ამფითეატრის წინ მოძრავი, ორმაგი დაფა ეკიდა. ცარცით ხელში, ამ დაფასთან დგებოდა დიმიტრი, შუახანს გადაცილებული კაფანდარა კაცი და ჩახლეჩილი ხმით და მკვეთრი ჟესტიკულაციით ხსნიდა არქიმედესა და ნიუტონის, გალილეისა და ჰუკის, ავოგადროსა და ფარადეის მიერ დადგენილ კანონებს. მეცნიერთა სახელებისა და გვარების წარმოთქმისას ისე ირჯებოდა, როგორც სამეფო კარის ცერემონმეისტერი საპატიო სტუმრების — გრაფებისა და ჰერცოგების წარდგენისას — ხმას უწევდა, სიტყვებს წელავდა და ერთ-ერთ მარცვალზე აქცენტს აკეთებდა...

იმავე სართულზე იყო ქიმიის კაბინეტიც, ისიც ნამდვილ სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიასავით მოწყობილი — მერხების ნაცვლად ნიჟარებიანი მაგიდებით და შემინულ კარადებში განთავსებული სხვადასხვა ზომის კოლბებით, სინჯარებით და შტატივებით. მასწავლებელი ქალი იყო; ჟღალი თმა ჰქონდა, მოკლედ იჭრიდა; მუდამ გახამებული, სილურჯემდე გაქათქათებული თეთრი ხალათი ეცვა. საგნისადმი მისი ფანატიკური დამოკიდებულება გადამდები იყო, რის გამოც ჩემი კლასელების ნაწილი ქიმიკოსობაზე ოცნებოდა. მათ შორის, რამდენიმე ბიჭი ცდებს შინაც ატარებდა და ისეთ ნაერთებს ამზადებდა, რომელთა აფეთქება მაგრად აფრთხობდა სამიზნეებს — აბეზარ, ჭკუის დარიგების მოყვარულ უფროსებს და მოშტერო გოგოებს. ერთხანს გვეგონა, რომ საკუთარი ხალათივით სიცივის გამომსხივებელ ქალს ქიმიის გარდა არაფერი აინტერესებდა. თუმცა, მოგვიანებით, ხუთოსანი გოგოებისგან შევიტყვეთ, რომ მას ძველი ამერიკული ფილმი — „ვატერლოოს ხიდი“ მოსწონდა და უყვარდა მისი მთავარი გმირის, ინგლისელი ოფიცრის როლის შემსრულებელი რობერტ ტეილორი.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ქიმიკოსზე უფრო პირგაუცინარ შუახნის ქალს ვინ უყვარდა, არ ვიცოდით. ეგ კი არა, რომელი ავტორი და ნაწარმოები იზიდავდა, იმას ვერ ვადგენდით. ერთნაირი გულმოდგინებითა და ჩაკირკიტებით გვაზუთხინებდა „სტუმარ-მასპინძელს“, „ტარიელ გოლუასა“ და „კოლხეთის ცისკარს“. ჩვენ, თავად უნდა მივმხვდარიყავით, ან ოჯახის წევრებს უნდა ეკარნახათ, რომელი ლიტერატურული პერსონაჟი იმსახურებდა მეტ თანაგრძნობასა და პატივისცემას, თორემ მასწავლებლის პათოსი და ყურადღება ერთნაირად და თანაბრად ნაწილდებოდა მექი ვაშაკიძესა და ჯოყოლა ალხასტაიძეზე. სამაგიეროდ, წერას გვასწავლიდა კარგად; უფრო სწორად, სიტყვებისგან – წინადადებების, წინადადებებისგან — აბზაცების, აბზაცებისგან — სასურველი ტექსტის კონსტრუირებას. ამ საქმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად, ერთგვარ დუღაბად — ორთოგრაფიას მიიჩნევდა და რაოდენ კარგადაც არ უნდა გქონოდა ჩამოყალიბებული აზრი, სასვენი ნიშნების უზუსტოდ დასმას არ გაპატიებდა და ნაწერს წითელი განახაზებითა და კითხვის ნიშნებით აგიჭრელებდა...

თითქმის ყველა ქვეყნის ისტორიას გვასწავლიდნენ. უნდა გვცოდნოდა ყვითელდოლბანდიანთა აჯანყების ამბავი ჩინეთში, სპარტაკისა — რომის იმპერიაში, სტენკა რაზინის და ემილიანე პუგაჩოვისა — რუსეთში. ალექსანდრე მაკედონელის, ჰანიბალის, რიჩარდ ლომგულის, ნაპოლენის და სუვოროვის ლაშქრობები. კულიკოვოს, ბოროდინოს, ტრაფალგარის, ვატერლოოსა და სტალინგრადის ბრძოლები. ჩამოთვლილ ამბებს შორის ყველაზე დაუჯერებელი და შთამბეჭდავი ჰანიბალის მიერ ალპების გადალახვა იყო, ყინულოვანი მთების ციცაბო ფერდობებს ხელფეხდამზრალ ჯარისკაცებთან ერთად სპილოებიც რომ მიუყვებოდნენ. მთხრობელი კარგი გვყავდა, მისი სმენისას წარმოსახვა ფრთებს შლიდა და ოცი წუთის განმავლობაში (ეს დრო სჭირდებოდა გაკვეთილის ახსნას) საკუთარი თვალით ვხედავდით დიდ მხედართმთავრებსა და რიგით მეომრებს, ისრების სეტყვასა და ზალპის შემდეგ უკან დაგორებულ ზარბაზნებს, გაშლილ ზღვაში ერთმანეთის პირისპირ მდგარ მრისხანე არმადებს და ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეებს. მასწავლებელი — სქელი, კეთილი ბებო, საქართველოს ისტორიასაც ალბათ ასევე ხატოვნად მოგვიყვებოდა, სახელმძღვანელო ისეთივე სქელტანიანი და ამბებით დახუნძლული რომ ყოფილიყო, როგორც ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეების და საბჭოთა კავშირის, იგივე რუსეთის ისტორიის წიგნები. თუმცა, მოთხრობებს იაკობ გოგებაშვილის „საგანძურიდან“, რომლებშიც აღწერილი იყო იოთამ ზედგინიძის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, სამასი თავდადებული გლეხის და ერეკლე მეორეზე გამწყრალი ინგილო ქალის გმირობები — კლასგარეშე საკითხავად გვაძლევდა და გვაქებდა, როცა წაკითხულის შინაარსს ვუყვებოდით...

სკოლის შენობის წინ ძველი ბიჭების შეკრება გაკვეთილების დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ოცდამესამესთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ეს ხალხი „უბრალო“ სკოლებთან თავს არ იყრიდა, რადგან „უბრალო“ სკოლებში არც ბევრი გოგო სწავლობდა და არც იქაურ ბიჭებს ეკეთათ საათები და გრძელბეწვიანი „მოხერის“ კაშნეები; არაფერი რომ არ ვთქვათ, ბობოლა მამების მიერ ე.წ. „კაპ. ქვეყნებიდან“ ჩამოტანილ ჯინსებზე, იარლიყებით: “Levy Strauss”, “Super Rifle” და“Wrangler”. ძველ ბიჭებს ფეხსაცმლიანქურთუკიანად, ყველაფერი წართმეული ეცვათ. წართმევას თხოვნის და ნებაყოფლობით გადაცემის სახე ჰქონდა. რომელიმე კარგად ჩაცმულ უფროსკლასელს ახლომახლო სადარბაზოში შეიყვანდნენ და ეტყოდნენ, — შეყვარებულთან მივდივარ „სტრელკაზე“ და ეგ საათი უნდა გამიკეთო, ან ეგ შარვალი უნდა ჩამაცვა ხვალამდეო. მსხვერპლმა კარგად იცოდა, რომ მიცემულ ნივთს, თუ ტანსაცმელს ვერც ხვალ, ვერც ზეგ და ვერც მაზეგ ვერ დაიბრუნებდა, მაგრამ ცოტაოდენი წუწუნის შემდეგ მაინც თანხმდებოდა, რადგან ისიც იცოდა, რისი ჩადენა შეეძლო მის წინ აყუდებულ, ქურთუკის ჯიბეებში ავისმომასწავებლად ხელჩაყოფილ ტიპს. ლამაზი გოგოების უმეტესობას ტვინი ეკეტებოდა ასეთ ტიპებზე და სადარბაზოდან ნადავლით გამოსულს ისეთი მზერით ეგებებოდა, რაინდთა ორთაბრძოლაში გამარჯვებულს რომ შეშვენოდა...

ლამაზი გოგოებისგან განსხვავებით, დისციპლინის სადარაჯოზე მდგარი „სასწავლო ნაწილები“ სულაც არ იყვნენ აღფრთოვანებულები ძველი ბიჭებით და პირიქით, ემტერებოდნენ მათ. ორი მრისხანე, დაუღალავი ქალი კვირაში ორ-სამჯერ მაინც გამოუვარდებოდა ხოლმე დაუპატიჟებელ სტუმრებს და სკოლის შემოგარენიდან მიერეკებოდა. ცამდე მართლები იყვნენ, მოძალადეებისგან რომ იცავდნენ მოსწავლეებს, მაგრამ სრულ მორალურ უპირატესობას ვერ ფლობდნენ. მიზეზი ის გახლდათ, რომ ეს ქალბატონები ასეთივე შემართებით მიერეკებოდნენ ბავშვებს ე.წ. „წითელ ოთახში“ პიონერულ შეკრებებზე; იქ, სადაც პლანეტის ყველაზე დიდი მოძალადის — ლენინის ბიუსტი იდგა და კედელზე მშობელი მამის დამსმენი ყმაწვილის, პავლიკ მოროზოვის პორტრეტი ეკიდა. თუმცა, ეს მათი ახირება არ იყო და სხვებიც ასე მოიქცეოდნენ, პირნათლად შეასრულებდნენ დავალებას. ახირებას რაც შეეხება, ასეთად ჩვენი კუდში დევნა შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, როცა სკოლას ვაცდენდით და გაკვეთილების მაგივრად — კინოში შევდიოდით. შუქი რომ ჩაქრებოდა და ფილმის დემონსტრირება დაიწყებოდა, მთელი დარბაზის გასაგონად გაისმებოდა ჩვენი გვარები და მოთხოვნა, — ახლავე ადექით და გამობრძანდით გარეთო. სანამ დარბაზიდან გამოტყუების ამ ხერხს გამოვიცნობდით და შევიტყობდით, რომ „სასწავლო ნაწილები“ უბნის ყველა კინოთეატრში ამ შეძახილით შედიოდნენ, ერთერთში მაინც რომ აღმოვეჩინეთ — ვდგებოდით და ვბარდებოდით ხოლმე. მერე და მერე, ცხადია, აინუნშიც არ ვაგდებდით მათ მოწოდებას და აყაყანებულ დარბაზთან ერთად ჩვენც დაჟინებით მოვითხოვდით, — გვაცადეთ ფილმის ყურებაო...

ფილმებს შორის ფრანგულებს ვანიჭებდით უპირატესობას, ისეთებს, მთავარ როლებში მაგარი ძია — ჟან გაბენი, მაგარი ბიჭები — ბელმონდო და ალენ დელონი, მაგარი ქალები — რომი შნაიდერი, კატრინ დენევი და ანუკ ემე რომ თამაშობდნენ. მოვლენები პარიზის ბულვარებსა და მოედნებზე, ძველი სასახლეების დარბაზებსა და მზით განათებულ მანსარდებში, ხალხმრავალ კაფეებსა და ციცქნა ბისტროებში რომ ვითარდებოდა. ეკრანზე მონმარტრისკენ ამავალი კიბეები, ლუქსემბურგის ბაღი, ტროკადერო და სენის სანაპიროები რომ მოჩანდა და ყოველივე ეს ძალიან მშობლიურად რომ გვეჩვენებოდა. შორეული სამყაროს მიმართ სიახლოვის ასეთი განცდა ფრანგულის მასწავლებლების დამსახურება გახლდათ; თითქმის ყველა ასაკის მომხიბლავი ქალბატონების ჯგუფის, რომლებიც მეორედან მეათე კლასის ჩათვლით ფრანგული ენის გრამატიკას, ლიტერატურასა და თარგმნის ანბანს გვასწავლიდნენ. Passe compose’-სა და Future simple-თან ერთად პროსპერ მერიმესა და გი დე მოპასანის მოთხრობებს გვიბეჭდავდნენ მეხსიერებაში. საკლასო ოთახებში უცხო ფრინველებივით შემოფრთხიალდებოდნენ ხოლმე და ლაპარაკის დაწყებისთანავე უკვალოდ ფანტავდნენ ერთფეროვნებას, უღიმღამობას და მოწყენილობას. გაფართოებული თვალებით შევყურებდით მერხებს შორის მოსიარულე მადამ ჟორჟეტას, ან მადმუაზელ ლეილას და სიტყვების ნაცვლად ჩაგვესმოდა მტრედების ღუღუნი და აკორდეონის კლავიშებზე აკრეფილი მხიარული მელოდია...

***

მოგონებების კითხვა ისტორიის მუზეუმში შებიჯებას და სიძველის სურნელით გაჟღენთილ დარბაზებში ბორიალს ჰგავს — ადამისჟამინდელი ნივთების, გაყვითლებული ფოტოებისა და დოკუმენტების თვალიერებას; ზოგიერთ მათგანთან დიდხანს შეჩერებას, ზოგიერთისთვის თვალის შევლებას, ზოგიერთისთვის კი, გულგრილად გვერდის ჩავლას. ისიც უნდა ითქვას, რომ შეჩერება-არშეჩერება ამა თუ იმ ექსპონატთან დიდწილად იმ პიროვნებაზეა დამოკიდებული, ვინც მეგზურობას გიწევს, მის უნარზე — მრავალმხრივად და მრავალფეროვნად აღწეროს გამოფენილი მასალა...

თუ კვლავ მსგავსებაზე ვისაუბრებთ, მაშინ მოგონებების ავტორი ამ მუზეუმის მეგზურია და მინდა გამოვტყდე, რომ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მიზიდავს ეს საქმე — გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიანი წლების მკვლევრის სტატუსით.

გიგი სულაკაური

პოჯიკის ძიებაში

დასასრული

წარმოიდგინეთ, „დაპადხოდების“ ანუ გაარშიყების სფეროსაც ეკუთვნოდა და ბიჭებიც მთელი ძალით ერთობოდნენ...

ჩემი „რუსთავური პერიოდის“ დროს ბევრი ვინტი მინახავს და ყველა ჟანგიანი, დაკაწრული და შეუხედავი იყო. კი, ხმარებისაგან გაპრიალებული და გაცვეთილი, მაგრამ მაინც ჩაჟამებულ-მოუვლელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გული არ მიგივიდოდა. რუბიკას იარაღს სულ სხვა ბრწყინვა ახლდა: ჩარხზე გაკრიალებული, ნამდვილი სმიტ-ვესონის ცივი ციგლიგით ციაგებდა და ტყავის ბუდეც ჰქონდა. რუბიკამ იცოდა იარაღის ყადრი და შენახვა, ხმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რუბიკას „დაგდებული“ ვინტის ქუხილი და ჟღერადობა ცხრა მთას იქითაც ისმოდა, არც ერთ სხვა ხმაში არ აგერეოდა!

ვინტს ფეხებთან დაუგდებდნენ ხოლმე ბედკრულ ადამიანებს (ამ დროს დამგდები ნეტარ მზერას შორეულ სივრცეებს გაუშტერებდა და საყვარელ მელოდიასაც უსტვენდა). წარმოიდგინეთ: დგახარ შენთვის ავტობუსის გაჩერებაზე. ხარ დაღლილი და დამაშვრალი, ერთი სული გაქვს შინ მიხვიდე და ოხერი თავი საყვარელ ბუნაგში დაიგულო. ყავა და ბუტერბროდი მიირთვა და შხაპიც მიიღო. თანაც ცუდს არაფერს გეუბნება გული, საიდან, ან რატომ უნდა გითხრას?! ირგვლივ სიმშვიდეა გამეფებული, გვერდით გადაღლილი, განაწამები ადამიანები გიდგანან, ყველა თავის ფიქრშია ჩახვეული, — უამრავი პრობლემა აქვს; თანაც ყველას ყოველდღიური და თითქმის მოუგვარებელი საზრუნავებით პირთამდე გაძეძგილი უმძიმესი აბგა ჰკიდია ზურგზე (არაფერს ვამბობ, პროდუქტით სავსე ხელჩანთებზე, ბაზრის ძველებურ „სეტკებზე“ და პარკებზე); ავტობუსის ლოდინით გულგაწვრილებული ხალხი ჩუმად ოხრავს და უხილავ მტერს უხილავი მუშტითაც უმუქრება; მაგრამ რად გინდა, მტერი დამცინავად ქირქილებს, მათი მუქარა ფეხებზე ჰკიდია, იცის, ახლა მისი დროა, ჯერ-ჯერობით ვერ აჯობებენ...

და ამ დროს გოგირდი გამაყრუებელი გრგვინვით ფეთქდება: შენ ფეხებთან მეხი ეცემა და სკდება, ფანჯრები ზრიალით იმსხვრევა და ჩრდილოეთის ქარი ყორანივით დაგჩხავის თავზე; ირგვლივ უკუნია, ბნელა, მოჯარული ღრუბლებიდან თითის სიმსხო წვიმა სეტყვასაც გამოურევს და ხანძარი ჩნდება. ბოლქვებად მიისწრაფის შავი კვამლი ცისკენ, მიწისძვრაა, ქარბობალა ძალას იკრებს, ღმუის, ღრიალებს და პროდუქტიან პარკს ხელიდან გგლეჯს; კარტოფილი ასფალტზე მიგორავს, კვერცხები დამსხვრეულია, ყველი — გაჭყლეტილი და სეტკა გადატეხილი ჭადრის ტოტზე ფრიალებს; გამუდმებით ელავს და სამჯერ ზედიზედ ეცემა მეხი შენ ფეხებთან და შენც მოულოდნელი ელდისგან ბოლომდე დაზაფრული, იქვე გულწასულ პენსიონერის გვერდით დიდი ხნით გიჩერდება გული...

ზუსტად ან თითქმის ზუსტად ასეთი ეფექტი ჰქონდა ვინტის მოქმედებას. შეძრწუნებული ხალხი აჯანდა, აბობოქრდა. ბევრი შეშინებული ადამიანი ვეღარც კი დაუბრუნდა ჩვეულ მდგომარეობას, — სამუდამოდ მოწყდა საყვარელ გარემოს, სამსახურსა და ოჯახებს... ამას ქაჯანაც კი ვერაფერს უშველიდა!.. ზემოთნახსენებ პირებს იარაღი ჩამოართვეს და მარტენის ღუმელში უკრეს თავი. როგორც მახსოვს, უხუცესმა მეტალურგმა მიშამ გადაადნო, ეჰ, სამუდამოდ...

ახლა ვინტის გამოყენების არეალსაც გადავხედოთ.

მოქმედების ასპარეზი: პარკები, ავტობუსის გაჩერებები, ეზოები... თითქმის მთელი ქალაქი...

სამიზნე-ობიექტები: უცნობი დედაკაცები, „ნაშები“ (თუ ნაშებს სტუმარებიც ანუ ჩამოსულინაშებიც ახლდნენ, მით — უკეთესი, ფსონი ორმაგდებოდა), შემთხვევითი გამვლელები, პენსიონერები, თითქმის ყველა ადამიანი, ვისზეც ვინტი მიუწვდებოდათ...

მოქმედების დრო: ნებისმიერი ხელსაყრელი მომენტი...

გავრცელების ზონა: ქ. რუსთავი და მიმდებარე ტერიტორიები...

ვინმემ შეიძლება მითხრას, დალოცვილო, რა ვინტი და შპუნტი აგიტყდა, ჩვენ ხომ პოჯიკს ვეძებთო და მართალიც იქნება. მაგრამ...

პოლიგონზე რუბიკა, იგორა და ალიხონა დამხვდნენ. რუბიკას ხელში შუაზე გამსკდარი, გაშავებული მილი ეჭირა და ინტერესით ათვალიერებდა.

„პოლდუიმოვკამ ვერ გაუძლო, ძველი ტრუბა იყო, რა, აბა, კოლა კარგს რას მოგცემდა, მაგის ბაბო ქუნემ!..“ — რუბიკამ მილი დამანახა.

„რუბიკ, პოჯიკი რა უყავი?“ — ვიკითხე გულუბრყვილოდ.

„ტრუბა გახეთქა, ნუ!“ — მიპასუხა და გაიცინა. მერე ისევ მილი დამანახა. — „აი, პოჯიკი! ესღა დარჩა...“

ძალიან დამწყდა გული, ძალიან მინდოდა პოჯიკის ნახვა, მაგრამ არაფერი გამომივიდა — ვერ ვნახე. რუბიკამ ნათესავთანაც გაგზავნა იგორა, მერე ერთად წავედით დიტოსთან, მერე — როლანდასთანაც ვიყავით, კოტესთანაც, ამაოდ! პოჯიკი ვერ ვნახე! ვისაც პოჯიკი ჰქონდა, იმ დღეს ან შინ არ იყო, ანდა ისე შორს იყო წასული, — ვერ მივწვდებოდით. სამი დღე უშედეგოდ ვდიეთ პოჯიკს და მეოთხე დღეს, გვიან, ფეხბურთის მერე იგორამ ფეხები მოიტეხა და რუბიკა დაიჭირეს. ასე სამუდამოდ დავრჩი უპოჯიკოდ...

მატჩი ეზოში გაიმართა: ერთ მხარეს დათო, მე, სოზარა, როლანდა და „სუ რჩეული“ ბიჭები ვიყავით. მეორე მხარეს — რუბიკა, ალიხონა, კოსტა, იგორა და დანარჩენი სუ რჩეული ბიჭები. ჩვენი გუნდის მაიკებს „დინამო“ ამშვენებდა. წარწერა ამოქარგული იყო, ისე კი არა! რუბიკასას — „არარატი“ და მათი „ნაქარგი“ რატომღაც მწვანე „პასტის ვეჩნით“ იყო შესრულებული. რუბიკა ასეთ წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევდა, სამაგიეროდ, გამუდმებით გვექიშპებოდა და მაინც არაფერი გამოსდიოდა და მაინც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა ხოლმე. თავისი გუნდის ერთპიროვნული ლიდერი გახლდათ, იგორასაც და კოსტასაც თავის ნებაზე ატარებდა, დედიმისის შვილები იყვნენ, არარატიანი მაიკები არ ჩაეცვათ, დედას უტირებდა; დანასაც ატარებდა და, როგორც ბოროტი ენები ამბობდნენ, ბნელ საქმეებშიც იყო გახვეული.

„პოლდუიმოვიზე, დო შისტი ვთამაშობთ!“ — შემოგვთავაზა რუბიკამ, „ჩვენ თუ მოვიგეთ, ტრუბები თქვენზეა, თუ არადა, შენ ბიძაშვილს (დათო გუნდის კაპიტანი, მეკარე და მოთამაშე მწვრთნელი და ჩემი ბიძაშვილი და... მერე რა, თუ ფეხბურთის ბაიბურში არ იყო) პოჯიკს ვაჩუქებ, მოსულა?..“

„მოსულა!“ — დავეთანხმეთ. „სამი კუთხური — ერთი პენალტი!“

„მოსულა!“ — დაგვეთანხმა რუბიკაც.

მინდოდა, როგორ არ მინდოდა პოჯიკი და ბიჭებმაც მაგრად შეუბერეს და მაგრადაც მოვიგეთ. ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში, „დინამოს“ კლასი ვაჩვენეთ.

„შენზეა, რუბიკ, ველოდები!“ — ვუთხარი რუბიკას, რომელმაც ცალყბად გამიღიმა და არაფერი მიპასუხა. მერე თავისებურად ჩაიცინა და ტანის უცნაური რხევით გამშორდა. რას ვიფიქრებდი, თუ ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

იმავე ღამეს რუბიკას იგორა „საქმეზე“ ანუ ტრუბების მოსაპარად წაუყვანია. სატვირთო ვაგონზე ახორხლილი მილები ფოლადის მსხვილი ჯაჭვებით საფუძვლიანად იყო დამაგრებული, — ძამპანოც კი ვერ გაგლეჯდა, — უუდიდესი შრომა და ძალისხმევა ჭირდებოდა მათ „განთავისუფლებას“. რუბიკას ოდნავ მოშორებით, „ატანდაზე“ დაუყენებია იგორა, თვითონ მილებზე ამძვრალა და საქმესაც შედგომია. სამი ჯაჭვი გადაუხერხავს (რუბიკა ასეთ საქმეებზე „ნაჟოვკის“ და სხვა აუცილებელი ხელსაწყო-ინსტრუმენტების თანხლებით მეცადინეობდა) და ამ დროს მეოთხე ჯაჭვი გამწყდარა (აბა, რა გაუძლებდა 60 ტ. რკინის სიმძიმეს) და მილები ჟღრიალით და საშინელი გუგუნგრიალით მომწყდარან. იდიოტ იგორას გაცლა ვერ მოუსწრია და მილებს ქვეშ მოყოლია. გადარჩა ეგ საწყალი, მხოლოდ ფეხები გადაემსხვრა, ყვარებია უფალს, თორემ უეჭველად დაიღუპებოდა...

რუბიკაც დაცურებულა, თავი ვერ შეუმაგრებია და მაგრადაც დაშავებულა. მაგრამ, — სიმართლე მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, — იგორა განსაცდელში არ მიუტოვებია. თურმე ძალ-ღონეს არ იშურებდა მის დასახსნელად და მაინც ვერაფერს შველოდა, ძალიან მძიმე იყო ზვავივით წამოსული პოლდუიმოვკა ტრუბები.

ხმაურზე დარაჯი უხმაუროდ გამოვარდნილა, რა თქმა უნდა, იგორასთვის ყურადღება არ მიუქცევია, — სად გაექცეოდა, და რუბიკას ჩაფრენია ქეჩოში. იგორას მონაყოლის თანახმად, ბრძოლაცა და ძიძგილაობაც მდუმარედ, ხმის გაუღებლად მიმდინარეობდა და დარაჯის დაჭრით დასრულდა. რაღაც მომენტში რუბიკამ იმარჯვა და დანით მწარედ დაუზიანა ყვერები დარაჯს.

„სადაც მოუხერხდა, ძმაო, სტოროჟი რუბიკაზე ბაკლანი იყო, ერეოდა, ტო!..“ — თავის მართლებასავით ამბობდა იგორა. საწყალი, სამუდამოდ დაკოჭლდა იგორა...

ხოლო რუბიკა ავჭალის მოზარდთა დასასვენებელი კოლონიის ხანგრძლივ აღსაზრდელად იქცა. კოლონიის სამარცხვინოდ კი უნდა ითქვას, რომ დადებით ადამიანად ვერ ჩამოაყალიბეს ჩვენი რუბიკა. ამბავი მძიმეა და საშინელია: — ერთ-ერთი აღმზრდელი შემოეჭრა და ხანგრძლივად გაეზარდა დასვენების ვადები. იქიდან პირდაპირ საუფროსოში გადაიყვანეს, რუსთავში, სახლთან ახლოს, წულუკიძეში ან ქსანში წანწალით რომ არ ამოხდოდათ სული მის ჭირისუფლებს.

მე კი ჩვენი მატჩის მერე აღარ მინახავს რუბიკა. როცა მოვიკითხე, — ბოლო სროკიდან ნაღდი ხიშნიკი დაბრუნდა, ვეღარ იცნობდიო, მიპასუხა სოზარამ.

სოზარა, როლანდა და მე სახლთან, სკამზე ვისხედით და ვსაუბრობდით. ჩვენები თბილისში ბრუნდებოდნენ და ბიჭები გადაბარგებაში გვეხმარებოდნენ.

„ხიშნიკი კი არა, ბიჭო, იქიდან ურჩხული და ტიფა გამოვიდა, ხო ნახე, ორი თვის თავზე რაც გააკეთა? რაც მაგან ქნა, მაგას პირუტყვიც არ იზამდა, თუ ძმა ხარ, ბოზიშვილი ვიყო, ყველაფრის ღირსი იყო



და მიიღო კიდევაც, ახია მაგაზე... ღმერთო მაპატიე, წასულებზე ცუდის თქმა როგორ შეიძლება, მაგრამ რუბიკაზე ნაღდად ახია...“ — როლანდა პახმელიას ლუდით იქარვებდა.

დიდად არ მაინტერესებდა, მაგრამ ცალყბად მაინც ვიკითხე, ასეთი რა ჩაიდინა ან წარსულში რატომ ლაპარაკობ-მეთქი.

„საშინელება, ძმაო... ოჯახი ამოწყვიტა...“ — მიპასუხა როლანდამ, — „ისე, ბეზპრიჩინი დაბრიდა, უმოწყალოდ...“

„ხალხის დახოცვას რა პრიჩინა და მოწყალება უნდა, შეჩემა...“ — თქვა სოზარამ, — „დახვრიტეს რუბიკა, გამოვიდა და მალევე დახვრიტეს, სამი კაცი მოკლა, იმჩემისამ... მეზობლები...“

ცუდად დაასრულა რუბიკამ სიცოცხლე, — მკვლელის იარლიყით წარსდგა სამსჯავროს წინაშე. და მე არავითარი ნება არა მაქვს, თუნდაც წამით მაინც გავიფიქრო: უფალმა აპატიოს, მიუტევოს ცოდვილ რუბიკას ცოდვები... შემზარავი დანაშაული...

მაგრამ, ვერაგი რამაა მეხსიერება! მაგიდაზე პოჯიკი დამახვედრა და იმ ოხერმა პოჯიკმა კი სად გადამისროლა?! შორეულ მხარეში, ჩემი ღრმა რწმენით, სამუდამოდ დახშულ კარს მიღმა ამომაყოფინა თავი, ნანახი და განცდილი გამამეორებინა... არ დაგავიწყდეს, მამაზე რომ არაფერი გითხრა, ცოდნის დედა სწორედ ეგ არისო, დასძინა. და, აბა, ახლა შენ იცი, უკვე დიდი, სერიოზული ბიჭი ხარო, გამამხნევა კიდეც... კი, ვიცი რომ ვარ, ჩემო კარგო ვერაგო, მაგრამ ამავე დროს, რომ არ ვიცი, მართლა ვარ თუ არა? ამაზე რას მიპასუხებ, გიფიქრია ეს ოდესმე?.. სულმოუთქმელ კაცს ყველაფერი პირდაპირ და მოულოდნელად რომ დამაჯახე... შენ კი რა გითხარი, შე ბოროტო! ეჰ, არ იცი და ვერც გაიგებ, რამდენი დრო და ენერგია წამართვა ოხერი პოჯიკის დევნამ... „...გასკდა გული და ჩახჩა ხმა“, — როგორც თქვა პოეტმა...

სოზარა ჩემ სახლთან, რუსთავის მარშრუტკების გაჩერებაზე შემხვდა. გადავეხვიეთ ერთმანეთს, გადავკოცნეთ, მივიკითხ-მოვიკითხეთ. ამ მთისაცა ვთქვით და იმ ბარისაც, — ძველი გავიხსენეთ და თითო კათხა ლუდიც დავლიეთ. ჩვენი შეხვედრისას პოჯიკი სხვათაშორის, გაკვრით ვახსენე, არადა არ მეღირსა ამ იარაღის ნახვა-მეთქი. სოზარამ ჩაიცინა და, რაღა დროს პოჯიკია, აღარც კი მახსოვსო, მითხრა. დავემშვიდობეთ ერთმანეთს და დავიშალეთ, სოზარა რუსთავისკენ გაუყვა, მე — შინისაკენ...

ამას წინათ სოზარას წერილი მივიღე. გამიკვირდა, — არც მოკითხვას მითვლიდა და არც არაფერი. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ პოჯიკზე მწერდა და წერილი პუნქტებად ჰქონდა ჩამოყალიბებული. წერილი იმდენად საინტერესო მეჩვენა, რომ გადავწყვიტე თქვენც წაგაკითხოთ. რა თქმა უნდა, ავტორის სტილი დაცულია, და აჰა, თვითონ წერილიც:

„გამარჯობა, ძმაო!

1. ყველა ქვეყნის ბავშვი თავისებურად ახმოვანებს სროლის ხმას: „ბუხ, ბახ, ბუმ, ბიმ, ტრახ“ და ა. შ. ჩვენ პერიოდში 50-60 წლებში არ იყო პისტონიანი სათამაშო პისტოლეტები ან თოფები, რომელიც ხმას გამოსცემს. ამიტომ პოჯიკი იყო ქმნილება ამ ნაკლის დაკმაყოფილებისა.

2. 70-80 წლებში შემოვიდა სათამაშო იარაღი რომელიც პლასტმასის ბურთებს ან ტყვიებს ისროდა. პოჯიკმა 20 წლით აჯობა სათამაშო ტყვიების შექმნა-გამოყენებას. ის ქვა-მარილით იტენებოდა და შედეგიც უფრო შთამბეჭდავი ქონდა.

3. პოჯიკმა გაუსწრო „კისტის“ ანუ საჰაერო იარაღის ეფექტსაც. ის თავისუფლად ისროდა 1-3 საფანტსაც, რომელიც მასში ბლომად ეტეოდა.

4. პოჯიკმა მიაღწია საბრძოლო იარაღის დონეს და იმ დროიდან დაიწყო მისი დევნა-განადგურება.

პოჯიკმა თავის არსებობა დაასრულა 64-65 წლებში.

P.S.

პოჯიკი იყო ქმნილება პროლეტარი რუსთაველი ბავშვებისა, იგი შექმნეს ომობანას თამაშობისთვის — რომელიც შემდგომ საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა“.

სოზარას წერილს სქემატური ნახატიც ახლდა და რომელსაც სიამოვნებით ვურთავ ტექსტს. იმედს ვიტოვებ, რომ ნახატის მეშვეობით თქვენ მაინც იპოვით ან აღმოაჩენთ საკუთარ პოჯიკს...

ჩემთვის კი პოჯიკის ძიება ამით დამთავრებულია...

ლიტერატურული და პატრიოტული სინდისის დეფიციტი

2011 წლის გაზეთ „Weekend“-ის მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა დავით ჩიხლაძის სტატია „ლეგალიზებული ინტერნეტ-სლენგი, ბორხესისა და უმბერტო ეკოს „უნივერსალური ენა“ და კიბერ-ქართული“, რომელიც ასე იწყება:

— მახსოვს, ერთხელ ინტერვიუში მთხოვეს, რამდენიმე სიტყვა მეთქვა ქართულ ენაზე. ინტერვიუერი ელოდა, როგორ შევაქებდი ქართულ ენას და მადლობას გადავუხდიდი ჩემს წინაპრებს. თუმცა მისდა გასაკვირად ვუპასუხე, რომ ქართული ცოტა არ იყოს მოუქნელი და მოძველებული ენაა.

2011 წლის 9 აპრილს ტელევიზიის პირველ არხზე გიორგი გვახარიასთან საუბრისას დავით ბარბაქაძემ განაცხადა:

— საბჭოთა პერიოდში დაბეჭდილი მთელი ქართული ლიტერატურა „ცარიელ ფურცლებს“ წარმოადგენს.

2011 წლის ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ სამოცდამეცხრე ნომრის ყდის მეოთხე გვერდზე გამოტანილია სარეკლამო ფრაზა მამუკა ლეკიაშვილის სტატიიდან — „სანაგვიდან ვარსკვლავებისკენ“:

— ერთი-ორი ადვილად ამოსაცნობი წვეთის გარდა, სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ ქართული პროზა ნაგავია და ჩვენს ცხოვრებას ნაგვით ავსებს.

მომდევნო სამოცდამეათე ნომრის ყდაზე რედაქციამ ერთხელ კიდევ გაიმეორა ეს გამომწვევი ანონსი, ხოლო კიდევ მომდევნო სამოცდამეტერთმეტე ნომერში დაბეჭდა ამავე ავტორის სტატია „ველური ხილი ანუ ჯო დასტინგერი მოგახსენებთ, რომ...“ და გალაკტიონის ფოტო-პორტრეტი. აღნიშნული სტატიიდან ამოვიწერეთ ეს ოთხი აბზაცი:

— ბოლო საუკუნეების განმავლობაში ქართულად არ დაწერილა არც ერთი მართლა კარგი ლექსი.

— ქართულ პოეზიაში გამორჩეულად ყალბი და სახელგანთქმულია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. ხოლო პოეზიის ყველაზე ცუდი, მდარე და მდაბიო მკითხველები ისინი არიან, ვისაც ეს შემოქმედება არათუ გულს არ ურევს, არამედ მოსწონს და უყვარს კიდეც.

— ქართველმა მკითხველმა, უბრალოდ ვერ „გაუძლო“ ნამდვილ პოეზიას, რომელიც რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას პოემებიდან დაემუქრა; ვერ გაუძლო, ვერ გადაიტანა და შემდრკალი და შეშინებული გაექცა მას, რათა თავი შეეფარებინა გალაკტიონისა და სხვა დიდი ქართველი პოეტების ნაყალბევი, პრიმიტიული და ზედაპირული შემოქმედებისათვის. გაიქცა, რათა თავი შეეფარებინა ამ თბილ და მყუდრო ბოსელში.

— სწორედ ზემოხსენებული წყურვილით ისარგებლა გალაკტიონ ტაბიძემ სხვებზე მარჯვედ, ბოროტად და დაუნდობლად, როდესაც ნამდვილი პოეზიის იმიტაცია შექმნა და რამდენიმე კარგ მკითხველსაც კი მოახვია თავს. უძაღლო ქვეყანაში, მოგეხსენებათ, კატებს აყეფებენ.

მშობლიური ენისა და მწერლობის ამ სამი ცილისმწამებლისა და შეურაცხმყოფლის გაგულისებული პათოსი გვაიძულებს მიზეზი მოვიძიოთ. მე არ ვიცნობ ამ სამ სუბიექტს პირადად, არც მათ შემოქმედებით ბიოგრაფიებს ვიცნობ. მაგრამ ადრეული ანალოგიური რეციდივები მიმანიშნებენ და ინტუიცია მკარნახობს, აქ ვერშემდგარი მწერლები ამოვიცნო. საინტერესოა, რა ლიტერატურული ღირებულებანი შექმნეს სალიერის ამ მემკვიდრეებმა, რომ თავს უფლებას აძლევენ ასე თავხედურად შეურაცხყონ მშობლიური ლიტერატურა და მით უფრო — მშობლიური ენა. იმდენად უსუსურია ხელმოცარულთა ამაო რევანშის მცდელობა, რომ სერიოზულ შეპასუხებას არც კი იმსახურებს, — მით უმეტეს მაშინ, როდესაც უმწეო ბავშვს — „ბოროტად და დაუნდობლად“ წარმოგვიდგენენ, ხოლო ჭეშმარიტი ლირიკის ჭეშმარიტ შემფასებლებს — „მდარე და მდაბიო“ მკითხველებად გამოაცხადებენ.

1883 წელს ალექსანდრე ცაგარელმა სინას მთაზე იოანე ზოსიმეს ჰიმნი აღმოაჩინა — „ქება□და დიდება□ქართულისა ენისა□“. 1902 წელს ნიკო მარმა გადმოწერა მეათე საუკუნის ეს ჰიმნი და 1924 წელს პავლე ინგოროყვამ იგი ჟურნალ „კავკასიონში“ გამოაქვეყნა, ხოლო 1954 წელს ტექსტში ლექსი „აღმოაჩინა“ და სტროფებად დაჰყო. 2011 წელს იოანე ზოსიმეს, ალექსანდრე ცაგარელის, ნიკო მარისა და პავლე ინგოროყვას უღირსმა ოპონენტმა „ქება□და დიდება□ქართულისა ენისა□“ დაივიწყა.

1950 წელს ნიკო მარს გორელი გენერალისიმუსი აუხირდა. 2011 წელს კი გორელი გენერალისიმუსის შთამომავალმა ნიკო მარის შეგონებაც დაივიწყა:

— ქართული ენა მსოფლიოში ერთერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი ენაა. ქართულ ენაზე ნებისმიერი აზრის გადმოცემა შეიძლება.

დაივიწყა აგრეთვე გალაკტიონ ტაბიძის „ჰიმნი ქართულ ანბანს“:

შენ, რომელიც მარად მზეებრ გვინათ,
არა გუშინ გახდი თვალის ჩინად,
არამედ მზის ამოენთე ბრწყინვად —
ოცდაექვსი საუკუნის წინათ.

ცისფერყანწელთა ერთმა უკანასკნელმა მოჰიკანმა შვიდი ათეული წლის განმავლობაში ვერ მოიცილა ანტიგალაკტიონიზმის ბაცილა. მაგრამ ეს აჩემება და ახირება აშკარად პირადმა ანგარიშმა განაპირობა. როგორც ჩანს, ცისფერყანწელთა უკანასკნელი მოჰიკანის 2011 წლის ნაშიერიც ამჯერად ქვეცნობიერად ამავე ინსტიქტმა წააქეზა და გაათამამა: ველარ აიტანა ერთადერთი პოეტის გახანგრძლივებული დიქტატურა და ისე გათავხედდა, რომ გალაკტიონის პიროვნებაც არ დაინდო და აგრეთვე გალაკტიონის მკითხველებიც ანუ პატრიოტების მთელი ლეგიონი, რომელსაც სათავეში უდგანან კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი გაწერელია, გერონტი ქიქოძე, გურამ ასათიანი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, დავით წერედიანი, ბულატ ოკუჯავა და სხვანი და სხვანი.

1954 წლის 3 ივლისს საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე 63 წლის გაბრაზებულმა გალაკტიონ ტაბიძემ მოულოდნელად სიტყვა მოითხოვა და თავისი ექვსწინადადებიანი რეპლიკა ასე დაიწყო:

— მე მინდა გესაუბროთ იმ ძალზე დავიწყებულ საგანზე, რომელსაც სახელად ჰქვია ლიტერატურული სინდისი.

მერე კოლეგებს ოცდაოთხსტრიქონიანი ლექსი-ნოტაცია წაუკითხა და ერთხელ კიდევ მოუწოდა:

— მივხედოთ სინდისს! გზა სუფთა სინდისს!

ქართული ლიტერატურის მატიანემ ლიტერატურული და პატრიოტული სინდისის დავიწყების არაერთი მსგავსი ინციდენტი აღრიცხა, მაგრამ ჰეროსტრატეს მემკვიდრეების ამ სამი ერთდროული გამოხდომისა და გამოხტომის ხარისხი ყოველგვარ ანალოგს აღემატება.

დასასრულ, აღნიშნული პუბლიკაციების რედაქციებსა და რედაქტორებსაც უნდა გავუბრაზდეთ: სადაა თქვენი წითელი ფანქარი? ვინ მოგახსენათ, რომ სიტყვის თავისუფლების საზღვარზე ყველა საბაჟო გაუქმდა?!

დროა!

წავიკითხე ბესიკ ხარანაულის „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“, მაგრამ არ ვიცი, რა წავიკითხე. ეს წიგნი ლიტერატურის ჟანრობრივ საზღვრებს აფართოვებს და ახალ სახელდებას მოითხოვს. ავტორი „ეთნოფილურ რომანს“ გვთავაზობს, მაგრამ ვერ ვეთანხმები: აქ პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, ეთნოგრაფია, ისტორია, ფოლკლორი, მემუარი ერთმანეთს კიდეც უპირისპირდება და კიდევაც ავსებს.

მომეწონა და ამ უჟანრო ანტირომანმა გამახსენა: „უცნობის“ პირველი ვარიანტი რომ დაიბეჭდა და მეორეს შევუდექი, ბესიკს გავენდე: ბევრი სრულიად უცნობი და უაღრესად საინტერესო ფაქტები დამიგროვდა, რომელთა გამოქვეყნებაზეც ვყოყმანობ, ვიღაცებს ვერიდები, რა ვქნა, პატარა ქვეყნის შვილები ვართ-მეთქი. ნურავის და ნურაფერს ნუ მოერიდები, მიუშვი და ყველაფერი ჩაყარეო, – გამათამამა ბესიკმა და მეც თითქმის ყველაფერი „ჩავყარე“.

ახლა, „სამოცი რაინდი“ რომ წავიკითხე, გამახსენდა: რაც ხანგრძლივი წლების განმავლობაში ჩაიწერა, ამოიწერა, მოინიშნა, გაიგონა, დაიმახსოვრა და იხილა, ავტორმა ამ წიგნში ჩაყარა, უფრო სწორად – თავ-თავის ადგილას დასვა და ერთმანეთს მოარგო.

სხვათაშორის, რამდენიმე ფრაგმენტების პოემაც დაწერა თუ ააწყო თუ შეადგინა.

ფრაგმენტების პოემებმა ბესიკის ადრეული ლექსები და ერთი წიგნი გამახსენეს: 1978 წელს გამომცემლობაში მეოცე საუკუნის პოეზიის მცირე რჩეულების სერიული გამოცემა წამოვიწყეთ და დავარქვით – „ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკა“. გალაკტიონით დავიწყეთ და ბესიკის ჯერიც მოვიდა. წიგნი ავაწყვეთ და დასაბეჭდად მოვამზადეთ. მთავარმა რედაქციამ გაგვიჩერა: ამ ლექსების „საბჭოთა პოეზიაში“ შეტანა არ შეიძლებაო. იძულებული გავხდით ლოგო მოგვეხსნა და მთელს სერიაში ეს ერთადერთი რჩეული ასე „გავაპარეთ“.

ამ გამოცემის ყოველი კრებულის ყდაზე ავტორის ფოტო იბეჭდებოდა. ბესიკი წიგნებს ფოტოსურათების გარეშე გამოსცემდა. ამჯერად სხვა გზა აღარ ჰქონდა. ამ დროს გამომცემლობაში მიხა ქვლივიძე გვესტუმრა – ჩვენზე ახოვანი და ლამაზი. ბესიკმა მიშას სთხოვა: მათხოვე შენი პორტრეტი და ჩემი წიგნის ყდაზე დავბეჭდავო...

ორმოციანი წლების დასაწყისში გალაკტიონ ტაბიძემ გოეთეს „გენიალური ლექსი“ თარგმნა („მგზავრის ღამის სიმღერა“) და ყოველგვარი მოკრძალების გარეშე სავსებით სამართლიანად განაცხადა:

— თავისუფალი ლექსის დაფუძნებისათვის დაწერილია ჩემს მიერ მთელი რიგი.

და მაინც თავისუფალი ლექსის ანუ ვერლიბრის აღორძინება ბესიკ ხარანაულის სახელსა და გვარს დაუკავშირდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაწერილი იყო – „მთელი რიგი“:

„დედოფალა“ და „სამრეკლო უდაბნოში“,

„ფარდების შრიალი“ და „წარსულის ჩრდილები“,

„ოთხი დემონი“ და „ღრუბლები ოქროს ამურებით“,

„შიში“ და „ხელები“,

„ზღვის ეფემერა“ და „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“,

„მე მძინარე ვარ“ და „შენ ყოველთვის კარგი ხარ“,

„როდესაც ყველას სძინავდა“ და „მხოლოდ ნანა“,

„უკანასკნელი საზღვარი“ და „ქალაქი სიბნელეში“,

„ქიმიურ საგნებთან“ და „მაღაროში“,

„ქუჩაზე“ და „რას ჰკივის ქუჩა“,

„აგერა! აჰანდე!“ და „ბავშვი გაზეთებში“,

„ჯონ რიდი“ და სხვანი და სხვანი.

ბესიკ ხარანაული ყველაზე აქტიურად დაუპირისპირდა გალაკტიონის დიქტატურას. მაგრამ თუკი გალაკტიონის გავლენა მთელს მეოცე საუკუნის ქართულ ლირიკაზე უაღრესად პოზიტიურად აისახა, ბესიკ ხარანაულის აღიარებამ იოლი წარმატების ილუზია შექმნა და ვერლიბრისტების მთელი ლეგიონი დარაზმა: იწერება და იწერება და იბეჭდება და იბეჭდება მრავალი და მრავალი – „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

2011 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მეექვსე ნომერ ალმანახში „კრიტიკა“ დაიბეჭდა საუბარი რობერტ სტურუასთან. რობერტ სტურუამ აღიარა თავისი „დანაშაული“:

— მე მგონია, უფრო საგანგაშოა ის, თუ როგორ უნებლიეთ დაღუპა რობერტ სტურუამ ქართული თეატრი, რადგან სხვა რეჟისორები მბაძავენ. მართლა დამნაშავედ ვგრძნობ თავს, როცა ვუყურებ, როგორ ჰგავს მათი ნამუშევარი ჩემსას.

დროა, ბესიკ ხარანაულმაც აღიაროს საკუთარი „დანაშაული“ – ტექსტი მზადაა:

— მე მგონია, უფრო საგანგაშოა ის, თუ როგორ უნებლიეთ დაღუპა ბესიკ ხარანაულმა ქართული პოეზია, რადგან სხვა პოეტები მბაძავენ. მართლა დამნაშავედ ვგრძნობ თავს, როცა ვუყურებ, როგორ ჰგავს მათი ლექსები ჩემსას.

„მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი“

1923 წელს გალაკტიონმა სალექსო საზომების არითმეტიკული პროგრესიით აღმავალი ცხრილი შეადგინა – „20 მარცვლამდე. L’ art poetique“ – და სანიმუშოდ ოთხი სტრიქონის თანამიმდევრობით გახანგრძლივებული ვარიაციები გამოიყენა:

ქარი ქრის.
ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს.
შემოეხვია ატმის ხეს ქარი.
შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება
შხამი.

როგორც ვხედავთ, პირველი სამი მისივე ცნობილი სტრიქონებია და მხოლოდ მეოთხეა განსხვავებული – თოთხმეტმარცვლოვანი.

სწორედ ამ თოთხმეტმარცვლოვანთან შეყოვნდა: საზომში მეორე რიტმი აღმოაჩინა, არანჟირება შემოგვთავაზა და კომენტარიც დაურთო:

„1. შემოდგომაზე ლამაზ
ველებს ედება შხამი (7)
2. შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება
შხამი (14).

აქ განსხვავებაა რიტმით. მარცვლები

ერთი და იგივეა. აქედან ცხადია, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რიტმს სიტყვათა დანაწილებისათვის“.

იქვე ანალოგიური მეორე ვარიანტი წარმოგვიდგინა:

თქვენ უსათუოდ გახსოვთ
ღამე, ქვითინი ქარის.

და ქვემოთ მიაწერა:

— აპოლინერის ჯგუფი.

1924 წელს პავლე ინგოროყვამ გამოსცა ჟურნალ „კავკასიონის“ 1-2 გაერთიანებული ნომერი, რომელშიც საერთო სათაურით „გილ□ომ აპოლლინერის ჯგუფი“ დაიბეჭდა სამი ფრანგი პოეტის სამი თავისუფალი ლექსი: გიიომ აპოლინერის „კროკუსები“, ჟან კოკტოს „მუზები (ოდა პიკასოს)“ და ბლეზ სანდრარის „კოშკი“. მთარგმნელი მითითებულია ლათ-

ვახტანგ ჯავახაძე

ლექსიდან-ამდე

ინურად – Petronius.

სწორედ ამ პუბლიკაციის პირველივე სტრიქონი („შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი“) გადაამოწმა გალაკტიონმა თავისი ცხრილის მეთოთხმეტე საფეხურზე ორ რეგისტრში და იგი გიიომ აპოლინერს ეკუთვნის.

ცხადია, 1923 წელს – წინა წელიწადს ჟურნალში დაბეჭდილ სტრიქონს ვერ დაიმოწმებდა და გადაამოწმებდა გალაკტიონი და ისიც ცხადია, რომ სავარჯიშო ცხრილის მეოთხე სამაგალითო სტრიქონიც გალაკტიონის კალამს თუ ფანქარს ეკუთვნის ანუ გალაკტიონის თარგმნილია.

გალაკტიონის 1924 წლის ბლოკნოტში წარმოდგენილია ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანაწერი – „კავკასიონი“. როგორც ირკვევა, მწერალთა კავშირის საბჭომ გადაწყვიტა ახალი ჟურნალის გამოცემა და შექმნა სარედაქციო საბჭო. რედაქტორად დაინიშნა პავლე ინგოროყვა, ხოლო გალაკტიონი სარედაქციო კოლეგიის წევრი გახდა. მაგრამ კოლეგიის წევრს არ მოეწონა რედაქტორის „სეპარატიული მუშაობა“ და, ვიდრე ჟურნალი გამოვიდოდა, უარი განაცხადა კოლეგიის წევრობაზე, „კავკასიონს“ კი „მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი“ უწოდა („სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს“ მხოლოდ რედაქტორის სახელი და გვარი აწერია).

სხვათაშორის, გალაკტიონის ამ ჩანაწერმა მეტად საყურადღებო ფაქტი გადაგვირჩინა: თავდაპირველად პავლე ინგოროყვამ ჟურნალს ერთობ შთამბეჭდავი სახელწოდება შეურჩია – „სულ ვართ ორი მილიონი“ — აშკარად უმჯობესი სახელწოდება. არ ვიცით, რედაქტორმა გადაიფიქრა თუ ახლადგასაბჭოებული რესპუბლიკის რეჟიმმა გადააფიქრებინა.

გალაკტიონ ტაბიძისა და პავლე ინგოროყვას ურთიერთობას ორმხრივი უაღრესი პატივისცემა განაპირობებდა. მაგრამ ვისაც გვქონდა ბედნიერება ბატონ პავლესთან თანამშრომლობისა, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ეს იქნებოდა ნამდვილად ოდენ რედაქტორის ჟურნალი და გალაკტიონის პროტესტი და გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანია.

გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ჟურნალის გამოცემა მწერალთა კავშირმა ორი წლით ადრე დაადგინა. ჟურნალში ვრცლადაა წარმოდგენილი „უცხოეთის ლიტერატურა“ და, როგორც ჩანს, ქართველი მკითხველებისათვის ჯერ კიდევ უცნობი თანამედროვე ფრანგი პოეტების თარგმნა პავლე ინგოროყვამ გალაკტიონს სთხოვა. გალაკტიონმაც პირველი ნომრისათვის სამი ავტორი შეარჩია და გამზადებული ნიმუშების პირველი სტრიქონის რიტმმა გამოქვეყნებამდე დააინტერესა მთარგმნელი.

გალაკტიონის 1923 წლის ბლოკნოტში ასეთი ლაკონური ჩანაწერი იკითხება:

— ფრანგული ენა ხვალიდან.

რაც მიგვანიშნებდა, რომ ფრანგები ორიგინალიდან უნდა იყოს თარგმნილი.

როგორც მოგახსენეთ, ჟურნალში მთარგმნელის ვინაობა ლათინურადაა მითითებული — Petronius. გაიუს პეტრონიუსი – პირველი საუკუნის რომაელი სატირიკოსი – ავტორი აღიარებული „სატირიკონისა“ და გახმაურებული ფრაზისა – „კაცობრიობა კომედიას თამაშობს“, – ნერონის კარზე მოღვაწეობდა და სასახლის ინტრიგების გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რაკი გალაკტიონმა კოლეგიის წევრობაზე და შემდგომ თანამშრომლობაზე უარი განუცხადა, ეტყობა, რედაქტორმა კომპომისული გამოსავალი გამონახა: მთარგმნელისათვის ფსევდონიმი შეარჩია და გალაკტიონთან შეთანხმებით თუ შეუთანხმებლად, ამ მიზნით პირველი საუკუნის რომაელი აირჩია, მთარგმნელმა კი პირველ სტრიქონში მეორე რიტმი აღმოაჩინა.

5-4-5 და 7-7 — მინორისა და მაჟორის ამგვარი შერწყმა-შეთავსება არც ისე ხშირია გალაკტიონის სიმფონიაში. ჩანს, ორმაგი რიტმის ამ არანჟირებას, ისევე, როგორც გალაკტიონის ამ პერიოდის მთელს რიტმიკას უაღრესად გამძაფრებული ქვეცნობიერი აწესრიგებდა. რიტმების მრავალხმიანობაში ჩაღრმავებისას, გალაკტიონი თითქოს შემთხვევით წააწყდა ამ ვერსიას, ინტუიციით შეიგრძნო მეორე მელოდია და დაინტერესდა, თანაც ისე დაინტერესდა, რომ ექსპერიმენტის გაგრძელება და დასრულება დაავიწყდა. თავისთავად ეს გამომწვევი ბილინგვა საკმაო ყურადღებას იმსახურებს და დაკვირვების გაგრძელება შეიძლება ღირდეს. რასაკვირველია, ყოველი თოთხმეტმარცვლოვანის არანჟირება შეუძლებელია. აუცილებელია შუა მუხლში ორი ქორე დაწყვილდეს, მესამეში კი – დაქტილი და ქორე. მაგრამ მხოლოდ ამგვარი რიცხობრივი გაანგარიშებაც არ კმარა. საჭიროა აგრეთვე ის ფარული და აღმატებითი ექსპრესია, რომელიც გალაკტიონის 1914-1926 წლების სტრიქონების უმრავლესობას გამოარჩევს.

დღემდის ითვლებოდა, რომ გალაკტიონ ტაბიძეს თარგმანი არასოდეს გამოუქვეყნებია. „კავკასიონის“ პუბლიკაცია ამ მხრივაც საყურადღებოა და საყურადღებოა იმითაც, რომ ქართველმა მკითხველმა პირველად გაიგონა მეოცე საუკუნის სამი უაღრესად საინტერესო ფრანგი პოეტის სახელი და გვარი.

„ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“!

1938 წლის 25 მაისს თბილისის უნივერსიტეტის ოცი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა განაცხადა:

— ინტელიგენციისათვის ეს ენა უკვე დედაენა აღარ იყო და, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ თქვენ დააკვირდებით ქართულ მწერლობას — ბარათაშვილიდან დაწყებული – შეატყობთ, ბევრი რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა. აზროვნებას მიჩვეულნი იყვნენ რუსულად – ქართულად თავიანთი აზრის გამოთქმა ეძნელებოდათ.

ექვთიმე თაყაიშვილმა გაიხსენა:

— ილიაც ისევე, როგორც ყველა, ხშირად ურევდა ხოლმე საუბარში რუსულს. არაერთხელ თვითონვე შემოუღია წესად, – ვინც ქართულ საუბარში უცხოურს გამოურევს, ერთი შაური უნდა გადაიხადოსო. თვითონაც ხშირად იხდიდა იმ შაურებს.

უცხო ენის აგრესია შესაბამისად თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა, ვიდრე რუსულად განათლებულმა თაობებმა იღვაწეს, და აისახა ლექსიკაში, სინტაქსში, ორთოგრაფიაში და ასე შემდეგ.

მოგეხსენებათ, რუსულში მახვილი იმდენად ძლიერია, რომ მისი გადაადგილება სიტყვის მნიშვნელობას ცვლის და ლექსის არანჟირებას მახვილები აწესრიგებენ. ამიტომ ამ შემოტევამ ყველაზე მეტად ქართული პოეზია დააზარალა.

გასაოცარია, თვით ისეთი აბსოლუტური სმენის ლირიკოსიც კი, როგორიც გალაკტიონია, ზოგჯერ თითქოს რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა. ერთხელ აღიარა კიდეც:

— რა ვქნა, რუსულ შკოლაში ვსწავლობდი და ასე მემარჯვება.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში მახვილი არ არსებობს ანდა ძალიან სუსტია და არათანაბარმარცვლოვანი სიტყვების გარითმვა აშკარად ამუხრუჭებს ლექსის ჰარმონიას. არადა, ანალოგიები გალაკტიონთან იმდენად სჭარბობს, რომ მას თითქოსდა უპირატესობაც კი ენიჭება.

გავიხსენოთ „ავდრის მოლოდინის“ მეორე სტროფი:

სისხლივით ელავს ფოთლები ვ ა ზ ი ს,
ბროლი, მარჯანი და ნელი რ ვ ა ლ ი,
ხალივით მთვრალი ხაზი შ ი რ ა ზ ი ს
ალვაში შედის მრავალთ-მ რ ა ვ ა ლ ი.

უმტკივნეულოდ შეიძლებოდა ამ კატრენის სახელდახელოდ „გამართვა“:

სისხლივით ელავს ფოთლები ვაზის,
ბროლი, მარჯანი და ნელი რვალი,
ალვაში შედის შირაზის ხაზი,
მრავალთ-მრავალი ხალივით
მთვრალი.

უფრო თვალსაჩინოა ტიციან ტაბიძის ცნობილი სტროფი:

მე არ ვწერ ლექსებს...
ლექსი თვითონ მ წ ე რ ს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მ ე წ ყ ე რ ს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს.

არც ისაა მოულოდნელი, რომ გალაკტიონი და გალაკტიონისდროინდელი რუსულად განათლებული პოეტების უმეტესობა რუსულადაც წერდა და თარგმნიდა ლექსებს.

სასწავლებლებში ქართული ენის დაბრუნების კვალდაკვალ, როგორც მოსალოდნელი იყო, მომდევნო თაობათა ქართულმა პოეზიამ რუსული აგრესია თანდათან მოიგერია.

გალაკტიონის არქივში ინახება 1948 წლის 6 მაისის ჩანაწერი:

— საინტერესოა, მაქსიმ გორკიმ – შავრაზმულ გაზეთ „კავკაზ“-ში მოათავსა მისი პირველი მოთხრობა. ბევრ რამეს ნიშნავს კარგი ამხანაგი! რომ კოტიკა ვეფხვაძე არა, მეც „კავკაზ“-ში ვაპირებდი ლექსის დაბეჭდვას რუსულ ენაზე 1908 წელს, დიდებული დებიუტი კი იქნებოდა.

აქ ირონია სრულიად ზედმეტია: გალაკტიონის ქართული დებიუტი არც ისე წარმატებული გახლდათ და, კაცმა არ იცის, როგორ გაგრძელდებოდა გალაკტიონ ტაბიძის „დიდებული“ რუსული დებიუტი: ათასი მადლობა კოტიკა ვეფხვაძეს, რომელმაც იქნებ უნებლიეთ მეოცე საუკუნის ქართული პოეზია გადაარჩინა!

მაგრამ სად ვიპოვნოთ კოტიკა ვეფხვაძე, მადლობა რომ გადავუხადოთ?

გალაკტიონის არქივში აღმოჩნდა 1946 წლის 26 აგვისტოს ქვიშხეთიდან გამოგზავნილი გიორგი ქუჩიშვილის პირადი წერილი:

— მე, ჩემო კარგო, – სწერს გიორგი გალაკტიონს, – ხელჩაქნეული გავყევი შენსა და ჩემს კარგ მეგობარს კოტე ვეფხვაძეს (შესაფერისი გვარი აქვს, მართლა ჰგავს ვეფხვს), რადგან სხვა გამოსავალი არ იყო. იგი ხელმარჯვე დოსტაქარია. თუმცა დიდხანს მაღრიალა ოპერაციის დროს, მაგრამ საუცხოოდ ჩაატარა, გართულებას არ ჰქონია ადგილი.

მაშასადამე, კოტე ვეფხვაძეს არა მარტო გალაკტიონი გადაურჩენია.

გამოცდა

— გთხოვთ, გვიამბოთ ესქილეს შესახებ, – მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგემ ოცდაერთი წლის სტუდენტს.

სტუდენტი ჩაფიქრდა და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ამოღერღა:

— ესქილე იყო მორწმუნე.

ჩამოვარდა ხანგრძლივი პაუზა. მერე პროფესორმა თავაზიანად გააგრძელა:

— თქვენ მთავარი გვაუწყეთ ესქილეს შესახებ, ბატონო სტუდენტო. გვაუწყეთ, რომ იგი მორწმუნე გახლდათ და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ეს ფაქტი დამტკიცებას არც კი საჭიროებს. მაგრამ იქნებ კეთილინებოთ და გვიამბოთ, რას წერდა ესქილე, კომედიებს თუ ტრაგედიებს, სად ცხოვრობდა და რა ადგილი უჭირავს ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში?

კვლავ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სტუდენტმა ამოშაქრა:

— ესქილემ დაწერა „ორესტეა“.

— შესანიშნავია, – წარმოსთქვა პროფესორმა, – დიახ, ესქილემ დაწერა „ორესტეა“, მაგრამ, ბატონო სტუდენტო, იქნებ კვლავ კეთილინებოთ და გვიამბოთ, რას წარმოადგენს „ორესტეა“, დამოუკიდებელი ნაწარმოებია თუ რამდენიმე ტრაგედიისაგან შესდგება?

ჩამოვარდა უფრო ხანგრძლივი სიჩუმე. სტუდენტს ამაყად ეჭირა თავი და თვალებში შესცქეროდა პროფესორს. პროფესორს აღარაფერი უკითხავს და სტუდენტმა აუდიტორია დატოვა.

ძნელი სათქმელია, ვინ ვინ გამოცადა: ცნობილია, რომ სტუდენტს სწავლა აღარ გაუგრძელებია. თუმცა უფრო საინტერესოა ამ ტანდემის ვინაობა: ოსიპ მანდელშტამი და გრიგოლ წერეთელი, მეოცე საუკუნის დიდი რუსი პოეტი და მსოფლიოში აღიარებული ელინისტი-პაპიროლოგი. იმჟამად პოეტს პირველი ლექსები უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერი იცოდა პროფესორმა, რომელიც აგრეთვე ლექსებსაც წერდა, მაგრამ ეს ფაქტი სტუდენტისათვის არ გახლდათ ცნობილი.



გავიდა რვა წელიწადი და ერთსადაიმავე 1920 წელს ორივე საქართველოში ჩამოვიდა: გრიგოლ წერეთელი ივანე ჯავახიშვილმა მოიწვია ახლადგახსნილ უნივერსიტეტში, მანდელშტამი კი სამოქალაქო ომს გამოერიდა და ყირიმიდან ბათუმს მოაშურა. მაგრამ საეჭვო პირად ჩათვალეს და ციხეში აღმოჩნდა, საიდანაც ქართველმა პოეტებმა დაიხსნეს.

სამწუხაროდ, სიცოცხლეც ერთსადაიმავე 1938 წელს დაასრულებინეს ორივეს და მათ ჯალათს ერთიდაიგივე სახელი ერქვა.

1923-1927 წლებში რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტს გრიგოლ წერეთელს რამდენიმეჯერ შესთავაზეს აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა, თუკი პეტერბურგის უნივერსიტეტს დაუბრუნდებოდა.

— მე გადავწყვიტე უარი ვთქვა შემოთავაზებულ პატივზე, ვარჩევ ვიყო პროფესორი თბილისში, ვიდრე აკადემიკოსი პიტერში. – შეატყობინა თავის მეგობარ ივანე ჯავახიშვილს.

რუსეთის გამომცემლობები დღესაც აქტიურად აქვეყნებენ გრიგოლ წერეთლის მიერ ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან თარგმნილ პოეტურ ტექსტებს.

— Г. Ф. был не только первоклассным ученым, но и високоодаренным художником античного мира, великим его поэтом. Как счасиливы те, кому привелось знать этого поэта, слушать его, бесседовать с ним и наслаждаться его г е н и е м, не только по его произведениям, но и общаясь с ним лично (თეოდორ პეტროვსკი).

— ყველას ერთი კერპი მაინც ჰყავს ცხოვრებაში. ამ სტრიქონების ავტორის კერპი იყო, არის და მუდამ იქნება გ რ ი გ ო ლ ფ ი ლ ი მ ო ნ ი ს ძ ე წ ე რ ე თ ე ლ ი. რომელი ეპითეტი ვიხმარო მის მიმართ. ღმერთს ეპითეტი არა აქვს (აკაკი გაწერელია).

P.S. პეტერბურგის უნივერსიტეტის გამოცდის ეპიზოდი იური ტინიანოვმა ბენიამინ კავერინს უამბო და ბენიამინ კავერინმა თავის მემუარებში შეიტანა.

1932 წელს, პოეტის სიცოცხლეში, მოსკოვში გამოცემული „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ მეექვსე ტომში აღნიშნულია, რომ მანდელშტამმა „პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა“.

1967 წელს გამოცემული ო. მანდელშტამის ოთხტომეულის წინასიტყვაობაში გლებ სტრუვემ გაასწორა:

— მიუხედავად „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ ცნობისა, მანდელშტამს უნივერსიტეტი არ დაუმთავრებია. არსებობს საკმაოდ სანდო წყარო იმის შესახებ, რომ იგი ბერძნული ლიტერატურის გამოცდაზე ჩაიჭრა.

მას შემდეგ ყველა საცნობარო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მანდელშტამი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

მთარგმნელი

ლულუ დადიანი

„გერმანიაში დღეს პოეტს თუ ვახსენებთ, ისევ და ისევ რილკეს ვგულისხმობთ და მუდამ თვალით დავეძებთ მის ძვირფას სახეს იქ, სადაც ოდესმე შეგვხვედრია,“ — წერდა შტეფან ცვაიგი ავტორზე, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა გასული საუკუნის მსოფლიო პოეზიაში. ავტორზე, რომელმაც არაერთი პოეზიის მოყვარულის მსოფლმხედველობა შეცვალა. მათ შორისაა მხატვარი და მთარგმნელი ლულუ დადიანი, რომელსაც წლების წინ რილკე აჩრდილივით აედევნა და მთელი ცხოვრება თავის კვალზე ატარა – ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. მათი გზები ყოველთვის უცნაურად იკვეთებოდა და მთარგმნელიც ყოველ ჯერზე რწმუნდებოდა, რომ ეს ყველაფერი გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილებოდა. შემთხვევითი არ ყოფილა არც „დუინური ელეგიებისა“ და „სონეტები ორფევსისადმი“-ს თარგმნა, არც ავსტრიაში ხანგრძლივი გამგზავრება, არც პოეტის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებში მოგზაურობა და ბევრი სხვა რამ. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში არაერთი საინტერესო ავტორის შემოქმედება თარგმნა, მისთვის რილკე კვლავაც რჩება იმ ერთადერთ და გამორჩეულ ხელოვანად, რომლის პოეზია კიდევ დიდხანს გააოცებს კაცობრიობის კულტურულ ნაწილს. ბუნებრივია, ჩვენი საუბარიც რილკეთი იწყება.

— რილკეს შემოქმედება ყოველთვის მაინტერესებდა. დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ლექციებზე ხშირად ვსაუბრობდით მასზე. ვიცოდი, რომ გერმანული ენა უმაღლეს დონეზე აიყვანა, მაგრამ წაკითხული არაფერი მქონდა, რადგან იმ პერიოდში საქართველოში რილკეს წიგნები არ შემოდიოდა. ერთხელაც თბილისს ზაარის მხარიდან ჩამოსული გერმანელები ეწვივნენ. საჩუქრები და წიგნები ჩამოიტანეს, რომელთა შორის რილკეს პოეზიის რჩეულიც აღმოჩნდა. ეს კრებული სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში და მაშინვე დიდი ინტერესით დავიწყე კითხვა. რატომღაც „დუინურ ელეგიებს" დავადგი თვალი. გულდასმით ვკითხულობდი, თუმცა ბევრი ვერაფერი გავიგე. თითქოს ყველა სიტყვა მესმოდა, მაგრამ მთლიანობაში ტექსტი ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. საერთოდ, რილკეს შემოქმედება იმდენად „კოდირებულია", თავად გერმანელებს უჭირთ აღქმა. თუ ინტერპრეტაციები არ გაქვს წაკითხული, ვერაფერს გაიგებ. წარმოიდგინეთ, გამოუცდელი მთარგმნელი რა დღეში ჩავვარდებოდი?! დავიწყე პწკარედის ჩაწერა, რათა უკეთ ჩავწვდომოდი ყოველ სტრიქონს. უნებურად ზედმეტი თავისუფლებით ვეპყრობოდი ტექსტს და ქართულ ჟღერადობას მეტ ყურადღებას ვუთმობდი. ამგვარად „თარგმნილი" პირველი და მეორე ელეგია რამდენიმე მეგობარს წავუკითხე, რომელთაც ამ საქმის სპეციალისტთან, გურამ ლებანიძესთან მისვლა მირჩიეს. ბატონმა გურამმა ერთიანად ამიჭრელა ნაწერი – როგორ შეიძლება რილკეს შელამაზება ან ტექსტის ასე თავისუფლად თარგმნაო. თუმცა, როგორც ჩანს, იმედის რაღაც ნაპერწკალი მაინც გაუჩნდა, რადგან ჰაინრიხ კროიცის „დუინური ელეგიების" ინტერპრეტაციები გამომატანა და მირჩია, ამ წიგნით მეხელმძღვანელა. აქედან დაიწყო ჩემი ურთიერთობა რილკესთან და ტანჯვაც: დღედაღამ ამაზე ვფიქრობდი, სხვა აღარაფერი მაინტერესებდა.

კროიცის ინტერპრეტაციების წყალობით ჩემი თარგმანები ნელ-ნელა დაიხვეწა. მერე მიმიყვანეს ნაირა გელაშვილთან, რომელიც თავისი რჩევებითა და შენიშვნებით ძალიან დამეხმარა. სწორედ იმ პერიოდში ჩემი მეუღლე ავსტრიაში გააგზავნეს სამუშაოდ, სადაც ხუთი წელი გავატარეთ. იქ კიდევ უფრო დავუახლოვდი პოეტის გარემოს, დავათვალიერე ადგილები, სადაც რილკე ცხოვრობდა და მუშაობდა. ამასობაში თარგმნაც დავამთავრე. „დუინურმა ელეგიებმა" ჩემზე ისე იმოქმედა, ამ თემაზე ფერწერული ვარიაციებიც გავაკეთე და თარგმანებთან ერთად ადგილობრივ ორგანიზაცია „კულტურკონტაქტში" მივიტანე, რომელიც წიგნის გამოცემაში დამეხმარა. რილკესთან ჩემი ურთიერთობა ამით არ დასრულებულა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. საერთოდაც, მისმა პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე და მთლიანად შემიცვალა აზროვნება.

— თავად გერმანულენოვანი მკითხველი როგორ აღიქვამს მის შემოქმედებას. მოუმზადებელი ადამიანისთვის რილკეს გაგება ხომ არც ისე მარტივია?

— რიგით ადამიანებს რილკეს პოეზია არ ესმით. ტექსტში რაღაცას რომ ვერ ვიგებდი, ვეკითხებოდი და ვერ მპასუხობდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან რილკეს ლექსები ძალიან რთული აღსაქმელია. დღემდე იწერება ინტერპრეტაციები, სადაც მისი შემოქმედების სხვადასხვაგვარ გააზრებას გვთავაზობენ. სხვათა შორის, ერთ-ერთის თარგმნას ახლა ვაპირებ. იყო ასეთი იტალიური წარმოშობის გერმანელი ფილოსოფოსი რომანო გვარდინი, რომელმაც მისი ათივე ელეგიის ინტერპრეტაცია დაწერა. სწორედ ამ ნაშრომის გადმოქართულება მაქვს დაწყებული.

— რამდენადაც ვიცი, საქართველოში რილკეზე მუშაობა გასული საუკუნის 80-

„რილკემ აზროვნება შემიცვალა“

იან წლებში ძალიან აქტუალური გახდა. ნაირა გელაშვილის ინიციატივით მთარგმნელთა ჯგუფიც კი შეიქმნა, რომელმაც მისი შემოქმედების დიდი ნაწილი თარგმნა. მოგვიანებით გამოიცა რილკეს თხზულებათა ხუთტომეულიც.

— ნაირა გელაშვილს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ამ საქმეში — საორგანიზაციო თუ შემოქმედებითი თვალსაზრისით. თითქმის ყველა თარგმანი მის მიერაა რედაქტირებული. შერჩეული ჰყავდა არაჩვეულებრივი ჯგუფი, რომელიც რილკეს ტექსტებზე მუშაობდა. სხვათა შორის, იმ დროს, როდესაც ახალბედა მთარგმნელი ნაირასთან მიმიყვანეს, „დუინურ ელეგიებს" ვახუშტი კოტეტიშვილი თარგმნიდა. ამის მიუხდავად, ყურადღებით მომისმინა, ჩემი ნამუშევრები ნახა და რედაქტირების შემდეგ მეორე ვარიანტად დაბეჭდვა შემომთავაზა. მართლაც, ოცი წლის შემდეგ გამოსულ რილკეს თხზულებათა ხუთტომეულში, რომელიც მე გავაფორმე, ვახუშტის თარგმანებთან ერთად ჩემიც შევიდა.

ხუთტომეულში იხილავთ რილკეს საყვარელი მხატვარი ქალის, ლულუ ალბერტ-ლაზარდისადმი მიძღვნილ ლექსებსაც, რომლებიც ჩემს მიერაა თარგმნილი. სხვათა შორის, ამ ქალბატონთან პირველი შეხებაც უცნაურად მოხდა: ერთ მშვენიერ დღეს სამსახურში მახარეს, სახელგამში რილკეს ექვსტომეული იყიდებაო. სასწრაფოდ ვისესხე ფული და გავეშურე სახელგამისაკენ, სადაც მართლაც დამხვდა სასაჩუქრე, მშვენივრად გამოცემული ექვსტომეული. პირველივე ჯერზე იმ გვერდზე გადავშალე, სადაც ლულუსადმი მიძღვნილი ლექსი — Für Lulu იყო დაბეჭდილი. ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მე მომმართავდა. სხვათა შორის, ლულუ ალბერტ-ლაზარდმა რილკეს შესახებ არაჩვეულებრივი მოგონებების წიგნი დაწერა — „გზები რილკესთან ერთად," რომელიც ვენაში ყოფნისას გადმომცეს და რამდენიმე წლის წინ ვთარგმნე. მართალია, მათი სიყვარული სულ ორ წელიწადს გრძელდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ლულუ არაერთ საინტერესო ფაქტს გვაწვდის პოეტის შესახებ. ეს ტექსტი ერთგვარი გასაღებია, რომელიც ბევრ რამეს ხდის ფარდას.

წიგნზე მუშაობა კარგა ხანს გამიგრძელდა მასში ციტირებული ლექსების გამო, რომელთა რიცხვი ოთხმოცს აღწევს. მათ შორის რამდენიმე ლულუს ეძღვნება და პირველად ქვეყნდება. საინტერესოდაა მოთხრობილი ამ ლექსების შექმნის ისტორიაც. სხვათა შორის, წიგნმა რილკეს კიდევ ერთი შედევრის თარგმნისკენ მიბიძგა. ეს არის „სონეტები ორფევსისადმი", რომელზე ფიქრსაც კი ვერ ვბედავდი, იმდენად რთულია რითმული და ტექსტუალური თვალსაზრისით. ალბერტ-ლაზარდის მოგონებებში რამდენიმე ამონარიდია რილკეს სონეტებიდან, რომლებიც ჩემთვის მოულოდნელად ისე ადვილად ვთარგმნე, გადავწყვიტე, დანარჩენებიც მეცადა. სამი წლის წინ „სონეტები ორფევსისადმი" წიგნად გამოიცა და მათი შეფასება მკითხველისთვის მიმინდვია.

— რილკე არაერთ ქართველ მთარგმნელს და პოეტს აქვს ნათარგმნი. ამ გენიალური შემოქმედის ქართულ სივრცეში გადმოტანა თითოეულ მათგანს თითქოს საკუთარ მოვალეობად მიაჩნდა. რა ფენომენია ეს?



— მთარგმნელებისთვის რილკე საჯილდაო ქვად იქცა, გამოწვევად საკუთარი თავის მიმართ — შეძლებდნენ თუ არა ამ ბარიერის დაძლევას. რილკეს თარგმნა ძალიან რთულია და პირველ რიგში, გერმანულ ენობრივ ქსოვილში ღრმად წვდომას მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ ქართულზე. ვერც კი ვხსნი, როგორ ვახერხებდი ამას. თითქოს რაღაც ძალა მკარნახობდა გამზადებულ ფრაზებს. ისეთი უცნაური სიტყვები მომდიოდა თავში, რომელთა არსებობა, შესაძლოა, არცკი ვიცოდი. მახსოვს, ერთხელ გონებაში წამომიტივტივდა „ხელდებული," ანუ ის, რასაც ხელი შეეხო. ეს სიტყვა ზუსტად შეესაბამებოდა ორიგინალს, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცოდი, არსებობდა თუ არა ქართულში. დავურეკე ბატონ რევაზ თვარაძეს, რომელმაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ ილია აბულაძის ლექსიკონში მიაკვლია.

განსაკუთრებით რთულია კომპოზიტების თარგმნა. სხვათა შორის, აქაც ჩემს ვარიანტებს მივაგენი. მაგალითად, „მზისცვარდაკრული" სხვაგან არსად შემხვედრია. იყო სიტყვები, რომლებიც თავისით მოდიოდა და დარწმუნებული არ ვიყავი მათ არსებობაში. მერე ვიწყებდი ქექვას ლექსიკონებში და აღმოჩნდებოდა, რომ არსებობს.

— ანუ, რილკეს პოეზია ნებისმიერი ენის, ამ შემთხვევაში, ქართულის სიტყვათა მარაგში, იმ პლასტებს ეხება, რომელიც მივიწყებულია ან მეხსიერების ქვედა ფენებშია დალექილი?

— ზუსტად ასეა. სხვათა შორის, ჩემს თარგმანებს სიძველის ელფერი დაჰკრავს. თვითონ რილკეს ენაც ასეთია — XIX საუკუნის გერმანული, ამიტომ მგონია, რომ ეს სტილი ძალზე მიესადაგება. არის სიტყვები, რომელთა თანამედროვე ენაზე გადმოტანა გააუბრალოებს დედანს, ოდნავი არქაულობა კი თარგმანს სიმდიდრეს ჰმატებს. ფერწერაში ასეთივე ეფექტს იძლევა ლისირება — როდესაც ქვედა ფერები ზედას ერევა და ბრწყინავს. რილკეს თარგმნის დროსაც იგივე ტექნიკაა საჭირო, ოღონდ სიტყვის მეშვეობით, განსაკუთრებით, მეათე ელეგიაში.

— ფიქრობთ, რომ თანამედროვე ქართული ორიგინალს ეფექტს დაუკარგავდა?

— ყოველ შემთხვევაში, ასე მიმაჩნია. ვახუშტი კოტეტიშვილს, მაგალითად, უფრო თანამედროვედ აქვს ნათარგმნი, თუმცა არაჩვეულებრივი ნამუშევარია.

— ერთმანეთის თარგმანებს კითხულობდით?

— არა, რადგან ვახუშტის თარგმანი რომ წამეკითხა, აუცილებლად მოვექცეოდი მისი გავლენის ქვეშ. თანაც, „დუინურ ელეგიებზე" ერთდროულად ვმუშაობდით. იმ პერიოდში ეს თარგმანები არც გამოქვეყნებულა. მხოლოდ მესამე ელეგია დაიბეჭდა „ლიტერტურულ საქართველოში," „საუნჯესა" და „რიწაში." „სონეტებს ორფევსისადმი" რომ ვთარგმნიდი, მაშინ კი გადავავლე თვალი. არ მინდოდა, გავმეორებულიყავი. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა, როდესაც რამდენიმე ავტორის მიერ თარგმნილ ერთ ტექსტს კითხულობ. განსაკუთებით პოეზიაში, რადგან ავტორთან მეტად მიახლოების საშუალებას იძლევა.

— თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრებასაც შეხვდებით. ბევრს არ მიაჩნია სწორად რილკეს ელეგიების ან გოეთეს ლექსების ორმოცდაათი განსხვავებული თარგმანის არსებობა, როდესაც მკითხველი ნაკლებად ან თითქმის არ იცნობს თანამედროვე ევროპელ პოეტებს. არიან მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ავტორები ბოლო ათწლეულების გერმანულენოვან პოეზიაში?

— რასაკვირველია, არიან. მათ შორის, ქრისტინე ბუსტა, ინგებორგ ბახმანი და ერიკა მიტერერი, რომელთაც ძალიან საინტერესო ნაწერები აქვთ. მათი ლექსები ავსტრიული პოეზიის მრავალტომეულისთვის ვთარგმნე, რომელსაც მეოთხე წელია დათო ბარბაქაძე გამოსცემს. უკვე არაერთი ღირებული პოეტი ითარგმნა და დაიბეჭდა, თუმცა ვერც ლიტერატორთა და ვერც საზოგადოების მხრიდან დიდ დაინტერესებას ვერ ვხედავ.

თანამედროვე ავსტრიელ ავტორებთ-

დასასრული მე-12 გვერდზე

მკვლევარი

ეთერ ქავთარაძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორია რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. ძველი ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტებისა და გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი არქივების საცავი — ხელნაწერთა ინსტიტუტი 1958 წლის 30 ივნისს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე შეიქმნა. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ილია აბულაძე იყო. სწორედ ის ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე ეროვნულ განძთსაცავს. 1962 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს კორნელი კეკელიძის სახელი მიენიჭა. მოგვიანებით ინსტიტუტმა დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი შეიძინა, ხოლო 2007 წლიდან მას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ეწოდა.

დღეს ცენტრის თანამშრომლებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც, როგორც იტყვიან, სათავეებთან იდგნენ და თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით, პროფესიონალიზმით, საქმისადმი დამოკიდებულებით საცავებში დავანებულ ხელნაწერებს ყოველდღიურად ანიჭებენ ახალ სიცოცხლეს. ამიტომაა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი თუ ბიბლიოთეკა მუდამ ხალხითაა სავსე, სამუშაო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში კი გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ვფიქრობ, ამ ადამიანების დამსახურებაა, რომ აქაურობას არც ახალგაზრდების ინტერესი მოჰკლებია ოდესმე და სპეციალისტთა არაერთი თაობა ხელნაწერებისადმი მოწიწებითა და სიყვარულით აღიზარდა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ეთერ ქავთარაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ხელნაწერებთან თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა. პირადი არქივი, რომელზეც მან პირველად იმუშავა, მწერალ გიორგი წერეთელს ეკუთვნოდა. მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა.

— ქართული კულტურის წერილობით ძეგლებზე გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან მუშაობთ. ხელნაწერთა ეროვნულმა საცავმა თანამედროვე სახე, შეიძლება ითქვას, თქვენ თვალწინ შეიძინა. საინტერესოა რა ფონდები იყო თავდაპირველად მუზეუმში, შემდეგ როგორ მდიდრდებოდა საცავი, როგორ ხდებოდა მათი სისტემატიზაცია?

— თქვენთვის ცნობილია, რომ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში წერილობითი კულტურის ის ძეგლები იყო თავმოყრილი, რომელსაც აგროვებდა წერაკითხვის გამავრცელებელი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებები და საეკლესიო მუზეუმი. მათ მიერ მოპოვებული მასალა შესაბამის განყოფილებებში იყო გადანაწილებული. შემდეგ, როცა ბატონი ილია აბულაძის დიდი ძალისხმევით ხელნაწერთა განყოფილება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს გამოეყო და მის ბაზაზე ხელნაწერთა ინსტიტუტი დაარსდა, ჩვენს ხელთ არსებული მასალები ახლიდან დალაგდა და გადანაწილდა.

ხელნაწერები გაიყო სამ ნაწილად — საკუთრივ ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივები. შესაბამისად, ისინი სამ სხვადასხვა საცავში მოთავსდა. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივები ამა თუ იმ ფონდში მოთავსებული მასალების საფუძველზე შეიქმნა. მაგალითად, თუ ილია ჭავჭავაძესთან დაკავშირებულ მასალას ადრე სხვადასხვა ფონდში შეხვდებოდით, ახლა ისინი მის პირად არქივშია თავმოყრილი. წლების განმავლობაში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა არქივები შემოწირულობებითა და სხვადასხვა გზით ივსებოდა.

შემუშავდა არქივების დამუშავების წესები, განისაზღვრა პრინციპები. მაგალითად, წერილებს ადრესატთან ვათავსებთ. წერილის ავტორის არქივში კი შესაბამის მითითებას ვაკეთებთ. ნებისმიერ მსურველს, ვისაც ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა სურს, ჩვენთან პროფესიონალურად დამუშავებული არქივები დახვდება, ყველა შესაბამისი მითითებით. დღეისთვის ცენტრში მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ასზე მეტი არქივია დაცული.

— რა ძირითადი მიმართულებებით მუშაობს არქივთმცოდნეობის დეპარტამენტი?

— ჩვენი დეპარტამენტის საქმიანობა რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს. ერთ-ერთია პირადი არქივების დამუშავება, აღწერილობის შედგენა და გამოსაცემად მომზადება. ასევე პრიორიტეტულია საარქივო დოკუმენტების საპუბლიკაციოდ მომზადება. თუკი ამა თუ იმ მოღვაწის პირადი არქივი საშუალებას იძლევა, შესაძლებელია მონოგრაფიაც მომზადდეს. ზოგიერთი არქივი დიდი ხნის წინაა დამუშავებული და გადამუშავებას საჭიროებს. მაგალითად, ახლახან ვაჟას ხელნაწერები გადავამუშავე, აღწერილობაში ცალკეულ მასალაზე მეტი ინფორმაცია შევიტანე. მასალებს ახლიდან იმიტომ ვამუშავებთ, რომ მომხმარებლისთვის ინფორმაციულად სრულყოფილი გავხადოთ. ამას თქვენთვის ვაკეთებთ. მთელი ჩემი ცხოვრება არქივებზე მუშაობას მიეძღვნა. ყველა ხელნაწერი მახსოვს, რაც ხელში მჭერია, რაზეც ოდესმე მიმუშავია. როგორც კი დამჭირდება, უმალ ამომიტივტივდება, რა სად არის განთავსებული.

— ასე მგონია, ხელნაწერებზე მუშაობა ძალიან რთული, რუტინული საქმეა. ასეა?

— არქივებზე მუშაობა ძალზე ძნელია იმ თვალსაზრისითაც, რომ ასე თუ ისე მეცნიერების ყველა სფეროს უნდა იცნობდე, ხელნაწერის აღწერის გარდა, საჭიროა შესაბამისი ბიბლიოგრაფიის მომზადება, პირთა, გეოგრაფიული და თემატური საძიებლების დართვა, იმის განსაზღვრა, თუ რა ადგილი მიუჩინო მასალას. ეს ძალიან შრომატევადი საქმეა, ამიტომ ჩემი ცხოვრების უმეტესი დრო სწორედ არქივების მოწესრიგებას, გადამუშავებას დაეთმო.

— უპირველესი და, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა მაინც ხელნაწერის წაკითხვაა.

— ზოგიერთი კალიგრაფია ისეთია, მისი წაკითხვა წარმოუდგენელიც შეიძლება მოგეჩვენოთ. როგორღაც მაინც ვკითხულობ. ვცდილობ, არაფერი დამრჩეს წაუკითხავი. როცა გრიგოლ რობაქიძის არქივზე ვმუშაობდი, იმ ორმოცდაოთხი წერილის, ქეთევან ამირეჯიბს რუსულად რომ მისწერა, ქსეროასლი გადავაღებინე და თვალი რომ მიჩვეოდა, თან დამქონდა.



— **წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ თქვენს მიერ შედგენილი კრებული სახელწოდებით „გრიგოლ რობაქიძე. პირადი მიმოწერა“ გამოსცა. დიდი ხანი იმუშავეთ მის არქივზე?**

— მიუხედავად მკითხველის არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისადმი, ის ძალზე საინტერესო მოაზროვნეა და XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. არქივზე დაახლოებით ორი წელი ვმუშაობდი. მოგეხსენებათ, კალისტრატე და ნინო სალიებმა ხელნაწერთა ინსტიტუტს, სამეცნიერო ბიბლიოთეკის გარდა, გრიგოლ რობაქიძის საარქივო მასალებიც გადმოსცეს. მაშინ ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ელენე მეტრეველი გახლდათ. სწორედ ქალბატონ ელენეს არქივზე მუშაობისას გავეცანი გრიგოლ რობაქიძის წერილების ნაწილს. ამიტომ ამ მასალისადმი ინტერესი მწერლის არქივის დამუშავებამდე გაცილებით ადრე გამიჩნდა.

წიგნში წარმოდგენილი წერილების ძირითადი ნაწილი — ავტოგრაფული ნუსხები — ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. გარდა ამისა, კრებულში შევიდა მარიამ ქსოვრელისა და გიორგი ცინცაძის მიერ გერმანულიდან თარგმნილი წერილები, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ ცნობილ ბერძენ მწერალს, ნიკოს კაზანძაკისსა და მის მეუღლეს, ელენს მისწერა; ასევე — ბარათები რუს პოეტ-სიმბოლისტთან, ვიაჩესლავ ივანოვთან.

რობაქიძის პირველი წერილი 1910 წლითაა დათარიღებული. მაშინ სულ ახალგაზრდა იყო. ხოლო უკანასკნელი — 1962 წლის 18 ნოემბერს, სიკვდილის წინა დღეს დაუწერია. შეგვიძლია ვთქვათ, ამ ავტოგრაფული ნუსხების სახით, ჩვენ თვალწინაა მთელი მისი ცხოვრება. ვხედავთ, როგორ იცვლება მწერლის განწყობა, ხან ამაღლებულია, ხანაც სევდამორეული, თუმცა მარად შემართულია.

წერილებში თითქმის არასოდეს ახსენებდა „საქართველოს“. ასე ამბობდა: „როგორ მიიღებენ ამას „იქ“, „ჩემი სახელი აფრთხობს „იქ“ ხალხს“ და ა.შ. მარადიულად საქართველოსთან იყო. მის ბარათებში ხშირად შეხვდებით ფრაზას: „ქართულ საქმეში მე ვარ პასუხისმგებელი“.

სამშობლოს მოწყვეტილი მწერალი თავისი ქვეყნის ცხოვრების მდინარებიდან არასოდეს ამოვარდნილა. მან ახალი „ნაპირი“ იპოვა და „მარადიულ მიბრუნებაში“ მყოფი „მარადიული დაბრუნების“ იმედით ცხოვრობდა. ახლა გრიგოლ რობაქიძე ნელა, თანდათანობით, თავისი შემოქმედებით უბრუნდება სამშობლოს.

— ორთოგრაფია, სინტაქსი, პუნქტუაციაც კი გრიგოლ რობაქიძეს „თავისი“ ჰქონდა. ამან გარკვეული სირთულეები ხომ არ შეგიქმნათ ტექსტის პუიბლიკაციისას?

— ჩვენთვის ამოსავალი იყო დედნის ტექსტის დაცვა. ვასწორებდით მხოლოდ კალმის ლაფსუსებს. კალისტრატე სალიასადმი მიწერილ ერთ ბარათში გრიგოლ რობაქიძე წერს: „გამორჩენა ასოებისა ხანშიშესულთ ემართებათ“. მხოლოდ ის „გამორჩენილი“ ასოები აღვადგინეთ. უცვლელი დავტოვეთ მწერლის მიერ გამოყენებული ორთოგრაფიული თავისებურებანი. თითოეულ მათგანზე იგი საგანგებოდ მსჯელობს თავის წერილებში. რაც შეეხება სასვენ ნიშნებს, ამის თაობაზე ის კალისტრატე სალიას სწერს: „შესვენებით ნიშნებს მე ჩემებურად ვხმარობ“. ჩვენც „მისებური“ წესი დავტოვეთ. ესა თუ ის სასვენი ნიშანი მხოლოდ მაშინ აღვადგინეთ, თუკი იმ სახით ერთხელ მაინც თავად ჰქონდა გამოყენებული.

„ყოველი არქივი საგაა ეპოქაზე“

მწერალი სიტყვას მხოლოდ აზრის გამოსახატავად როდი იყენებს. იგი მას განიცდის როგორც ცალკე ფენომენს და მიჰყვება სიღრმეებში. იქიდან ამოაქვს, როგორც თვითონ იტყოდა, „თაურაზრი“. ამას ეფუძნება უჩვეულო, მხოლოდ მისი ლექსიკისთვის დამახასიათებელი სიტყვათწარმოება. წერილებში ამა თუ იმ სიტყვაზე ხშირად მსჯელობს. ყოველი ეს მსჯელობა ცალკე გამოკვლევას ემსგავსება.

გრიგოლ რობაქიძის წერილებმა შემოგვინახა მწერლის უაღრესად საინტერესო შეხედულებები პოლიტიკაზე, ემიგრაციის მოვალეობასა და მრწამსზე, საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაზე, ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც სულიერ და შემოქმედებით ჭრილში იდგა მის წინაშე.

ვფიქრობ, ამ კრებულის გაცნობის შემდეგ თითოეული მკითხველი თავის გრიგოლ რობაქიძეს აღმოაჩენს და საშუალება მიეცემა, ახლებურად გაიაზროს მისი შემოქმედება.

— ამჟამად მიხეილ წერეთლის პირად არქივზე მუშაობთ. დიდი არქივია?

— მიხეილ წერეთლის პირადი არქივი ხელნაწერთა ინსტიტუტს კალისტრატე და ნინო სალიებმა გასული საუკუნის 80-იან წლებში გადასცეს. მათთან კი არქივი მიხეილ წერეთლის ანდერძის თანახმად მოხვდა. იქ დაცულია ამ ანდერძის ავტოგრაფული ნუსხაც (ქსეროასლი), რომლის მიხედვით მიხეილ წერეთლის დანატოვარზე მეურვეობა კალისტრატე სალიას ეკისრებოდა. მეცნიერი სთხოვდა ანდერძის აღმასრულებელს, გაენადგურებინა არქივში დაცული მისდამი მიწერილი ყველა წერილი. ალბათ, ეს ანდერძის ერთადერთი პუქნტი იყო, რომელიც კალისტრატე სალიამ არ შეასრულა. სხვაგვარად მიხეილ წერეთლისადმი გრიგოლ რობაქიძის მიწერილი თერთმეტი წერილი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა.

არქივი დიდი არ არის; მოიცავს შრომებს, პირად წერილებსა და ბიოგრაფიულ მასალას.

— მიხეილ წერეთელზე ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ სულ ახლახან თსუ გამომცემლობამ მეცნიერის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი და 1924 წელს სტამბულში გამოცემული „გილგამეშიანის“ ერთადერთი ეგზემპლარის რეპრინტი შემოგვთავაზა. დაწყებულია საუბრები მიხეილ წერეთლის საქართველოში გადმოსვენებაზეც. აქედან გამომდინარე, მისი პირადი არქივიც ალბათ ბევრს დაინტერესებს.

— მოგეხსენებათ, მიხაკო წერეთელი ურარტოლოგიისა და ასირიოლოგიის ქართული სკოლის ფუძემდებელი და უდიდესი მეცნიერი გახლდათ. „გილგამეშიანი“ — კაცობრიობის პირველი ეპოსი ქართულად მაშინ თარგმნა, როცა ჯერ მხოლოდ გერმანულ და ინგლისურ ენებზე იყო თარგმნილი.

— თქვენ ბრძანდებით ავტორი მონოგრაფიისა „დავით ყიფშიძე. ცხოვრება და მოღვაწეობა“.

— დავით ყიფშიძე პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის წარმომადგენელია. ის ჩემი მეუღლის ბიძა იყო, მისი არქივი ნათესავმა ჩვენს ოჯახს გადმოსცა, ჩვენ კი ხელნაწერთა ინსტიტუტს შევწირეთ. როცა დავით ყიფშიძის არქივზე ვმუშაობდი, აღმოვაჩინე, რომ არქივის ნაწილი პეტერბურგში იყო, ნაწილი ლიტერატურის მუზეუმში ინახებოდა. ყველაფერი მოვიძიე და დავინახე, რომ ამ ახალგაზრდა მეცნიერის ღვაწლი მონოგრაფიას იმსახურებდა. დავწერე კიდეც.

მან პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართულ-სომხური განყოფილება დაამთავრა. მუშაობდა ისტორიის, სპელეოლოგიის, არქეოლოგიის, არქეოგრაფიის განხრით, იყო ჩინებული ფოლკლორისტი, ენათმეცნ-

დასასრული მე-12 გვერდზე

ლულუ დადიანი:

„რილკემ აზროვნება შემიცვალა“

დასასრული

ან პირველი შეხება წლების წინ მქონდა, როდესაც პოლონური წარმოშობის პოეტის, კარლ ლუბომირსკის წიგნი „ღამეული პროპილეები“ ვთარგმნე. ასევე ავანგარდისტი პოეტის, გერჰარდ ტენცერის ლექსები, რომელთანაც საინტერესო ტანდემი გამოვიდა. ის ზაარბრიუკენში ჩემი ნახატების გამოფენაზე ნაცნობმა მხატვარმა ალოიზ ოლმანმა გამაცნო. იცოდა, რომ რილკე მქონდა ნათარგმნი და საკუთარი ლექსები შემომთავაზა. დავთანხმდი და ვთარგმნე კიდეც, თუმცა დაბეჭდვა ჭიანურდებოდა, რადგან ავსტრიაში ქართული შრიფტი არ ჰქონდათ. მაშინ ასეთი რამ მოვიფიქრე — ფურცელზე ლამაზად დავწერე თარგმანები და გავუგზავნე. ოლმანმა ორიგინალურად გააფორმა ეს ყველაფერი და არაჩვეულებრივი გერმანულ-ქართულ-ფრანგული გამოცემა გააკეთა, რომელიც უნიკალური წიგნების კატეგორიაში გადის. სხვათა შორის, ტენცერმა მეორე წიგნიც გამომიგზავნა, მაგრამ მის სათარგმნად ჯერ ვერ მოვიცალე. დიდად არც მაინტერესებს ამ ტიპის პოეზია, რომელიც რეპს ჰგავს და კაცმა არ იცის, ერთიდაიგივე სიტყვა ათჯერ რატომ მეორდება. არც პროფესიული ზრდის თვალსაზრისითაა რამის მომცემი. რაღაც თამასა ხომ უნდა არსებობდეს, სადამდე მისვლაც მოგინდება? აქ კი სათარგმნიც არაფერია, იმდენად მინიმალისტურია ყველაფერი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლექსის შინაგანი მოტივი, მუსიკალობა. ყოველთვის ვუსმენ, როგორ ჟღერს ლექსი გერმანულად და ვცდილობ ეს ტონალობა ქართულ თარგმანშიც შევინარჩუნო. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იყო ყველა ის ავტორი, რომელიც ავსტრიული პოეზიის მრავალტომეულისთვის ვთარგმნე. ყველაზე გამორჩეული ბახმანზე მუშაობა აღმოჩნდა – გარდა იმისა, რომ წერის და აზროვნების მამაკაცური სტილი აქვს, ჟღერადობის თვალსაზრისითაც ორიგინალურია. სხვათა შორის, თითქმის ყველა მათგანი განიცდის რილკეს გავლენას, ისევე, როგორც ზოგადად გერმანულენოვანი პოეზიის წარმომადგენლები. ეს არც არის გასაკვირი – რილკემ ხომ მთელი ეპოქა შექმნა პოეზიაში! ახალი თაობის პოეტები თითქოს ცდილობენ გასცდნენ ამ სამანს, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოსდით.

— რა არის დამახასიათებელი მათთვის, რით გამოირჩევიან?

— საერთოდ ყველაფერი სათავეს იღებს მხატვრობიდან. ფუტურიზმი, სიმბოლიზმი და ასე შემდეგ. ჯერ მხატვრობაში იწყება და მერე გადადის ლიტერატურაში. თანამედროვე პოეზიასაც ეს დაემართა — ფორმალისტური ხასიათი მიიღო. გარეგნულ მხარეს, ფორმას არანაკლები ყურაღება ექცევა, ვიდრე შინაარსს. დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალობასაც — როგორ ჟღერს ლექსი, თუმცა მუდმივი თემები მაინც ტრიალებს. ანუ არსი იგივეა, უბრალოდ, მიდგომა იცვლება.

— ამჟამად რაზე მუშაობთ?

— კანდინსკის საეტაპო ნაშრომზე — „სულიერების შესახებ ხელოვნებაში“. ეს წიგნი თითქმის ყველა კულტურულ ერს აქვს თარგმნილი და მინდა ქართულადაც იყოს. გარდა ამისა, ვაპირებ ვთარგმნო გოეთეს „ფერთა თეორია“, ასევე უაღრესად საინტერესო ნაშრომი. იმდენად, რამდენადაც მხატვრობა ჩემთვის ძალზე ორგანულია, ვცდილობ, ჩემი მთარგმნელობითი შესაძლებლობები ამ ჟანრსაც შეეხოს. მით უმეტეს, თუ ტექსტი ღირებულია. ცოტა ხნის წინ დავასრულე ცნობილი ავსტრიელი პოეტის, ერნსტ ვალდინგერის ლექსების თარგმნა; მინდა ბოლომდე მივიყვანო რომანო გვარდინის ინტერპრეტაციები რილკეს „დუინური ელეგიების“ შესახებ. სხვათა შორის, ეს წიგნი საჩუქრად მივიღე გერმანელი ლიტერატორის, ანტონ ლაიბელტისგან, რომელიც შტუტგარტში ჩემი ნამუშევრების გამოფენაზე გავიცანი. ექსპოზიციაზე დუინური ელეგიების თემებზე შექმნილი ფერწერული ტილოები იყო წარმოდგენილი. ბატონმა ლაიბელტმა მთხოვა, მაგნიტოფირზე ჩამეწერა ჩემს მიერ თარგმნილი და ქართულად წაკითხული რომელიმე დუინური ელეგია და მისთვის გამეგზავნა. თხოვნა შევუსრულე, მისგან კი საჩუქრად ორი წიგნი მივიღე: მიმოწერა რილკესა და ლუ ანდრეას-სალომეს შორის და რომანო გვარდინის ,,დუინური ელეგიების“ ინტერპრეტაციები გერმანულ ენაზე.

— თუ გქონიათ სურვილი, რილკეს გარდა, ვისიმე პოეზია დაგესურათებინათ?

— არა. რილკე იძლევა ამის უზარმაზარ საშუალებას. მისი ნაწერების კითხვისას უცნაური სახე-ხატებები მოდის, რომლებიც რეალურიცაა და ირეალურიც. საერთოდ, მთელი ცხოვრება ბეწვის ხიდზე გავდივარ. ვცდილობ, წონასწორობა შევინარჩუნო მისტიკასა და რეალობას შორის. ასეა მხატვრობაშიც და თარგმნის დროსაც. თუ ტექსტში ან ტილოზე რაღაც ამოუცნობი არ არის, არ მაინტერესებს. თანამედროვე ავანგარდისტების მიერ დახატულ ლაქებს არ ვგულისხმობ, შედევრებად რომ ნათლავენ. ნახატმა რაღაცით უნდა მიმიზიდოს — ფერით, ხაზით, სახეებით, ცოცხალი კავშირი უნდა დამყარდეს ჩემსა და ტილოს შორის. იგივეა თარგმანშიც. რაღაცამ უნდა „დამიძახოს“ ტექსტში, რომ ვთარგმნო.

ესაუბრა ნანა კობაიძე



ეთერ ქავთარაძე:

„ყოველი არქივი საგაა ეპოქაზე“

დასასრული

ნიერი, ტექსტოლოგი. შეეძლო დიდი წარმატებისთვის მიეღწია, არაერთი სასიკეთო საქმე განეხორციელებინა. 1917 წელს ივანე ჯავახიშვილმა თბილისის ახალგახსნილ უნივერსიტეტში პროფესორად მიიწვია კიდეც. სამწუხაროდ, ოცდაცხრა წლისა სახადით გარდაიცვალა. სიკვდილიდან სამოცდაათი წლის შემდეგ, მის მიერ მესამე კურსზე მომზადებული მოზრდილი საკურსო ნაშრომი სპელეოლოგიაში, რომელიც ანისის ქვაბულებს ეძღვნებოდა, წიგნად გამოიცა.

— როგორც ვიცი, დავით ყიფშიძის სახელს უკავშირდება პირველი არქეოლოგიური ცდა დიდი თეოლოგის, მაქსიმე აღმსარებლის საფლავის მოსაძიებლად. ამ სასულიერო მოღვაწის საქართველოში გარდაცვალების ფაქტი, რომელზეც წერილობითი წყაროები მიუთითებენ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ინტერესს აცხოველებს მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის მიმართ. სწორედ ამ ინტერესის გამოხატულება იყო, XX საუკუნის დასაწყისში, არქეოლოგიური ექსპედიცია ცაგერში.

— დავით ყიფშიძე ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა ევსევი მიქელაძესა და ნიკოლოზ ტიხონოვთან ერთად, მაქსიმე აღმსარებლის საფლავის აღმოსაჩენად ორგანიზებულ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. ექსპედიციის მთავარ ამოცანას ცაგერში მაქსიმეს საფლავის სავარაუდო ლოკალიზება წარმოადგენდა. მინდა გითხრათ, იმ არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ ბევრი არაფერი გვეცოდინებოდა, რომ არა დავით ყიფშიძის საველე დღიურები. მათში თითოეული დღე დაწვრილებითაა აღწერილი. დავით ყიფშიძემ იმ მხარეში მაქსიმე აღმსარებელზე არსებული ფოლკლორული მასალაც შეაგროვა. ეს მეცნიერულ დონეზე შესრულებული ამ მასალის პირველი ჩანაწერებია. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ექსპედიცია მოულოდნელად შეწყდა. სამი დღის შემდეგ კი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი უკვე ჯრუჭის მონასტერშია. მან პირველმა აღწერა და გადმოწერა ჯრუჭული ხელნაწერი, რომელშიც მაქსიმეს ცხოვრება და სამი თეოლოგიური თხზულებაა შესული.

— საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, ხელნაწერების მიმართ თავიდან რა დამოკიდებულებაც მქონდა, დღემდე იმასვე ვგრძნობო. ეს რომ არა, ალბათ გაცრეცილ-გაყვითლებულ ფურცლებსა და ძნელადგასარჩევ ხელნაწერებს შორის ორმოცდაათი წელი ვერ გაჩერდებოდით.

— როცა ხელნაწერი მიჭირავს, მაქვს განცდა, რომ ჩემს წინაპრებს, წარსულს ვეხები. ბატონი ილია აბულაძე ამბობდა, ხელნაწერის ბაცილა ერთხელ თუ შეგეყარა, მისგან ვეღარ გათავისუფლდებიო. ის, რაც აქაა დაცული, მარადიულია. არქივებში ხომ მხოლოდ ვერბალური ინფორმაცია არ ინახება, აქ არავერბალური ინფორმაციაცაა, ის სტრიქონებს შუა უნდა ამოიკითხო. არ ვიცი, სიტყვით ვერც გადმოგცემთ, რა მომცა ხელნაწერებთან ურთიერთობამ. ეს მხოლოდ მან იცის, ვინც მათ ეხება, ვინც კითხულობს. აიღეთ ხელში ხელნაწერი და მიხვდებით, რაზე ვლაპარაკობ, რას ვგულისხმობ არამატერიალურ, ძნელადმოსახელთებელ ინფორმაციაში. ვაჟას ტომები ათასჯერ რომ გადაიკითხო, ვერ მიიღებ იმას, რასაც მისი არქივის გაცნობა, ხელნაწერებთან შეხება მოგცემს. ყოველი არქივი არის საგა ეპოქაზე,



სქელტანიანი ტომეულების წაკითხვას რომ უტოლდება. ამიტომ წარმოუდგენელია მწერალი მისი არქივის გაცნობის გარეშე შეისწავლო.

— ვაჟა-ფშაველას არქივის გადამუშავებისას რაიმე ახალს ხომ არ გადაწყდომიხართ?

— ვაჟას ნახატები ვნახე. შიგ ავტოგრაფულ ხელნაწერში, ორ ნაწერ სვეტს შუა არის ჩახატული. ეს აქამდე ყურადღებამიუქცეველი ხუთი გრაფიკული ნახატია.

— საოცარი ისტორიები ინახება ამ არქივებში.

— როგორც გითხარით, მწერალს მხოლოდ ნაწარმოებებით ვერ შეისწავლი, ვერ დაახასიათებ, ვერ შეიცნობ. რომ არა არქივი, ვაჟასაც ისე წავიკითხავდით, როგორც ფოლკნერსა და უიტმენს ვკითხულობთ. ხოლო როცა არქივს ეცნობი, ბევრად მეტს ხედავ. მე ვიგრძენი, ერთმა მოკვდავმა მთიელმა კაცმა, რამდენიმეკომლიან სოფელში მცხოვრებმა ლუკა რაზიკაშვილმა რა ნატიფად გამოაქანდაკა თავის თავში ფშაველი ვაჟა. მან მთელი სამყარო აღმოაჩინა. სამყარო ხომ მისია, ვინც მას ხედავს? ამიტომ არც სიღარიბე აწუხებდა, არც — ის, რომ სადღაც დიდ ქალაქებში არ ქუხდა მისი სახელი. მთელი სამყარო მისი იყო, ამაზე მეტი რა შეიძლებოდა ენატრა? ამ განცდამ შექმნა ვაჟა-ფშაველა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვაჟაც მისია, ვინც მას სიღრმისეულად წაიკითხავს, ვინც დაინახავს.

ესაუბრა თამარ ჟურული

* * *

ვინ — ქიცით და ქიცმაცურით
და ვინ — სიტყვით ვაჟკაცურით
წინ მიიწევს ფრენით, ცურვით,
ვინ — მადლობით, ვინ კი — მდურვით.
ვისთვის ჯოჯოხეთია და
ვისთვის ყოფნა სამოთხეა,
ვისთვის მხსნელი ღმერთია და
ვისი სული ეშმას ტყვეა.
ვინ — მტყუანი, ვინ — მართალი,
ერთმანეთში აირია.
ეს ძველია, არ-ახალი
და დგას ერთი რია-რია.
გამარჯვება უნდა ყველას,
ყველას უნდა პირველობა.
ღორი ვერ იქცევა შველად,
ვერც პეპელად თვით ობობა.
ვინ ქიცით და ქიცმაცურით,
ვინ — ნაბიჯით მამაცურით
მოდის — მიდის, მოდის — მიდის...
ვიცით, ვინ რა არის ჩიტი!

ხარაბუზა
(პამფლეტი)

გაგვიჩუმდა ხარაბუზა,
რადგან აღარ სწყალობს მუზა.
იზუზუნოს! ვის რას უზამს!
რად შეკრთა და აიბუზა?
სიტყვა სხვაა, სხვაა საქმე,
ო, ამ ჩვენი ხარაბუზის.
სულ თაფლს ეძებს და ფრთებს აქნევს,
გვერდით მხოლოდ ძლიერთ უზის.
სადაც დიდი ნაგავია,
იქით იწევს, დიდად ხარობს.
რა კარგი სანახავია,
ბუზს თავზე არ ისვამს წყარო.
„მაგრა იტყვის, სჯობსო ჩემი“,
თუმცა არის ვისი მჯობი!
თვით განსაჯეთ დანარჩენი,
თუკი ღირსი არის ბჭობის.
გაგვიჩუმდა ხარაბუზა,
ალბათ ეძებს ახალ პატრონს.
არ ჩანს, დღეს სად აიტუზა,
რათა ნაგავს მიემატოს.

* * *

ერთი დრო ვის შერჩენია
და თუ დღეს გწყალობს მეფე,
ჟამთა ცვლა განაჩენია —
გაყეფებენ და ყეფე!
არ ვართ უძაღლო ქვეყანა,
ვუსმინოთ კატის ყეფას,
ანდა შენ კარგს რას შეგყარა
მოუკრეფავში კრეფამ?
ხალხმა თქვა — დრონი მეფობენ,
მოვლენ და წავლენ დრონი.
ვინც ვერ გალობენ, მყეფრობენ,
თან კატისა აქვთ ტონი.
„ერთი დრო ვის შერჩენია“ —
ამას გვარიგებს ბრძენი.
ვუძლებთ, სხვა რა დაგვრჩენია,
ვით ბევრ დროს გავუძელით.

* * *

ავს ნუ იქმ და ავის
ნუ შეგეშინდება
და ავი დრო — ზვავი
ხელში ჩაგადნება.
კარგი ჰქმენ და ქვაზე
დადე, გაიარე,
წინ დაგხვდება ასე,
მოსპობს ნაიარევს.
და სიკეთის მარცვალს
არვინ დაგიკარგავს,
არ დაგადებს არც ვალს,
გულში ვარდებს ჩარგავს.
სიკეთისთვის მოვალთ
ადამიანები.
არ გვაკლია გლოვა,
მაინც ვმზიანდებით.
სძლევს კეთილი ბოროტს
და მიგვიძღვის წინ, წინ.
ჰაუ, ჰაუ, ქორო,
დაეხსენი წიწილს!

დალილა ბედიანიძე

* * *

გულო, მომეფონე, გულო,
მე საბრალოსაო.
არ მყავს ქმარი, არ მყავს შვილი
მე საბრალოსაო.
ერთი თავი მაბარია
მე საბრალოსაო,
თავს ძლივს ვუვლი, სული მტკივა
მე საბრალოსაო.
სიყვარულმა დარდი მომცა
მე საბრალოსაო.
არც საქმისგან არ მაქვს მოცლა
მე საბრალოსაო.
მზე მკიდია, როგორც ტვირთი,
მე საბრალოსაო
და ცხოვრება მჩაგრავს ფლიდი
მე საბრალოსაო.
არც მაცვია და არც მხურავს
მე საბრალოსაო.
ბედი წლებმა გამიხუნა
მე საბრალოსაო.
გულო, არ გამისკდე, გულო,
მე საბრალოსაო,
შვება მომეც, დაქანცულო,
მე საბრალოსაო!

* * *

„ყოველდღე თოვდა და თოვლი ქუჩებს
იმედებივით ართმევდა ფერებს“...
ოთარ ჭილაძე

ყოველდღე წვიმდა, ყოველდღე წვიმდა
და მე წვიმაში ვხეტიალობდი
და წვიმა იყო ისეთი წმინდა,
როგორაც ჰანგი ცისკრის გალობის.
თავაწყვეტილი და დაუმცხრალი
მომაქანებდნენ შენსკენ ქუჩები
და მევსებოდა ცრემლებით თვალი,
ლოცვებს მარცვლავდნენ ცხელი ტუჩები,
მაგრამ არ იყავ არსად და წვიმა
ჩემს სულში ისე შემოდიოდა,
ვით ლოცვა ზიარებისა წინა
და განმწმენდელი, როგორც იოგა.
მე დედამიწა მეპატარავა
და აღარ მყოფნის ცის ქვეშ ადგილი.
ვგრძნობ — აღარა ვარ, ვგრძნობ, აღარა ვარ,
არ არის ამის ცოდნა ადვილი.
ყოველდღე წვიმდა და არა ჰგავდნენ
წვიმები ერთურთს — ძველი, ახალი...
და სადღაც ბაღში თეთრ ტოტებს რგავდნენ
და კვიპაროსი კრთოდა მაღალი.
ო, დამთავრდება წვიმების ჟამი
და კვლავ დავრჩები უწვიმოდ, მარტო.
მეგობარ წვიმებს მსურს გავყვე ღამით
და ამომავალ მზეს მივემატო!

* * *

ფოთოლი მოწყდა ფოთოლს,
ქარს დაედევნა ქარი.
ალბათ საცაა მოთოვს,
შემოვა ფიფქთა ჯარი.
თენდება ისე ნელა,
მზე ფეხს ითრევს და კრთება...
დგას ფანჯარასთან თელა,
რომ დაივიწყეს მთებმა.
ისევ ზამთრდება გულში,
ზაფხულის კვდება ხსოვნა.
დრო ყველასია — მრუში —
ვერარამ შეაყოვნა
და სიყვარულის სხივი
უკანასკნელი ბჟუტავს.
სადღაც მამალი ყივის,
დილას რომ ჩაეხუტა.
მიათამაშებს ფოთოლს
კენტად დარჩენილს ქარი
და როგორც ბავშვი თოთო
სადღაც შორს ტირის ქნარი.

წერილი მაქსს

მე გწერ, არ დამივიწყო!
არ ხარ დავიწყებული.
ტრფობის მადლი ვინც იცხო,
არის მირონცხებული.
მე გწერ, მუდამ მახსოვხარ,
ხსოვნა შენი დიდია,
სანამ ქვეყნად დავხოხავ,
სანამ ბეწვზე ვკიდივარ.
მე გწერ, ჩემი სიცოცხლე
შენსკენ მოემართება.
დარდი ამოიცოხნეს
მთებმა, როგორც ნართებმა.
მე გწერ, შენზე ძვირფასი
არავინ გამაჩნია
და რაც შემრჩა, ეს ფარსი
და მასხარას ჩაჩია.
მე გწერ, დავიწყებული
არ ხარ, შემეხმიანე!
გულით გაფიცხებულით
ვეტრფი მაგ შენს მზიანეთს.



ეჟენ იონესკოს (1909-1994) რომანი „განდეგილი“ მწერლის ერთადერთი ცდაა, შეექმნა რომან-აბსურდის ფართო ტილო, რომელშიც სინამდვილის ფილოსოფიურ კვლევას აგრძელებს; ცდილობს პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც კაცობრიობის მუდმივი ღელვის საგანია: როგორ თანაარსებობს ადამიანი და ბრბო? როგორ იბადება აგრესია და მასობრივი ფსიქოზი?არსებობს კი წინააღმდეგობის მექანიზმი? შეიძლება საყოველთაო კატასტროფები ადამიანმა თავიდან აიცილოს? შეიძლება იმ ეგზისტენციალური ნაღველის გადალახვა, ყველა მოაზროვნე პიროვნებას რომ აწუხებს? იგი მთელი ცხოვრება ცდილობდა აბსურდული ყოფის მიზეზებისა და მისი არსის შეცნობას.

ეჟენ იონესკო

განდეგილი

ფრაგმენტი რომანიდან

ოცდათხუთმეტი წლის ასაკში დროა სირბილი შეაჩერო, თუკი, ცხადია, აქამდე სირბილი ერქვა. სამსახურში ეს არ მაკლდა და საქმე თავსაყრელად მქონდა. ახლა უკვე გვიანია, დრო ძალიან სწრაფად გადის და ორმოც წელსაც ბევრი არაფერი მაშორებს. მოწყენილობისა და სევდისგან მოვკვდებოდი, ეს მოულოდნელი მემკვიდრეობა რომ არ გამოჩენილიყო. მართალია იშვიათად, მაგრამ კიდევ არსებობენ ამერიკელი ბიძები, ცხადია, ჩემი, ბოლო თუ არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პატარა დაწესებულებაში არც ერთ თანამშრომელს არც მამა ჰყავდა ამერიკელი, არც ბიძაშვილი, არც ბიძა. ისინი შურით მიყურებდნენ: წარმოგიდგენიათ, სამუშაო აღარ სჭირდება! გამომშვიდობება ხანმოკლე აღმოჩნდა. კუთხეში მდებარე კაფეში ბოჟოლე დავლიეთ, ჯულიეტი კი არ დამიპატიჟია. ის ისევ გაჯავრებულია ჩემზე. თავის დროზე ერთმანეთი მივატოვეთ, მერე ჩვენ ჩვენი გზა მოვნახეთ. დაწესებულების პატრონი უფრო მეტად ბრაზობდა, ვიდრე ჩემი პატარა მეგობარი, „რაღაც ასეთს შენგან ველოდი“-ო, გამომიცხადა; საოცარია, მე კი არაფერს ველოდი. თურმე მოვალე ვიყავი წასვლის თაობაზე სამი თვით ადრე გამეფრთხილებინა, ასეთია წესიო, მიმტკიცებდა. „ძალიან გამიჭირდება ისეთი კაცის მონახვა, როგორიც თქვენ ხართ“. რამდენჯერ უსაყვედურია, რომ ცუდი თანამშრომელი ვარ, დროდადრო მემუქრებოდა, რომ ჩემ მაგივრად სხვას აიყვანდა და შიშით ვკანკალებდი, აბა, სადღა ვიშოვიდი ასეთ სამუშაოს? ამას, ასე თუ ისე, მაინც მიჩვეული ვარ. სამსახურიდან გათავისუფლების ყოველი მუქარის შემდეგ, შიში ახალი შრომითი აქტიურობისკენ მიბიძგებდა, რომელიც ორი თუ სამი დღე გრძელდებოდა. მერე ისევ ვდუნდებოდი. ორი კვირის შემდეგ კი ახალი მუქარა იწყებოდა. ისე გამოდიოდა, თვეში მხოლოდ ექვს-შვიდ დღეს ვმუშაობდი გულმოდგინედ. უკვე ყელში მქონდა ამოსული. პატრონისთვის ერთი ზედმეტი დღის დათმობაც აღარ მინდოდა, ამაში ვლინდებოდა ჩემი შურისძიება. სიამოვნებით შევთავაზე, პირობის დარღვევისთვის ერთი თვის ჯარიმას გადაგიხდი-მეთქი. თანხის აღებაზე უარი თქვა, დიდსულოვან კაცად უნდოდა გამოჩენილიყო. ბოროტი კაცი არც მე ვარ. ასეთი სიამოვნების მიღების საშუალება მივეცი.

ჟანინის, მოლარის სანახავად მაინც წავედი: „გვტოვებთ... ახლა, როცა უკვე მდიდარი ხართ... აღარ გინდათ ამ კვარტალში ცხოვრება, ასეა? აბა, სად უნდა იცხოვროთ ასე მარტოხელამ და უსუსურმა?.. თუმცა, დიახ, ახლა შეძლებული კაცი ხართ და შეგიძლიათ მსახური ქალი დაიქირავოთ“. თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი. ერთხანს მას ჯულიეტის ადგილი ეკავა ჩემს გულში. მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. სალაროსთან გამუდმებულმა ჯდომამ მოძრაობას გადააჩვია. სუქდება. იცის, რომ ისეთი არა ვარ, როგორიც ყველაა; დარწმუნებულია, რომ უმადური ვარ. სინამდვილეში კი ისეთივე ვარ, როგორიც ჩვენს დროში ყველაა, რწმენადაკარგული, იმედგაცრუებული, ძალაგამოცლილი და დაღლილი; უაზროდ ვცხოვრობ, რაც შეიძლება ცოტას ვმუშაობ — ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ არ იმუშაო, სხვანაირად არ შეიძლება — ცოტა გურმანიც ვარ: ერთი-ორი ჭიქის გადაკვრა მიყვარს, დროდადრო კარგად სადილობაც, ოღონდ როგორმე გავექცე ამ მარადიულ სიმწარესა და დაღლილობას.

შეფი კაფეში გამოსამშვიდობებლად მაინც მოვიდა. ლიუსიენიც მოვიდა. ის დაწესებულების რანგით მესამე, „კადრის“ ოდნავ მნიშვნელოვანი თანამშრომელი გახლდათ. პიერ რამბულთან ერთად მობრძანდა. ლიუსიენი ჩემი მესამე და ბოლო სანტიმენტალური გატაცება გახლდათ. საქმისა და სამსახურებრივი განრიგის გამო, დრო არ გვრჩებოდა, საარშიყოდ აქეთ-იქით გვერბინა, თანაც თითქმის ყველა გარეუბანში ვცხოვრობდით, ამიტომაც არჩევანი ერთ ჩვენიანზე ჩერდებოდა. ვღებულობდით იმას, რაც ხელში გვივარდებოდა. ლიუსიენი ყველაზე მეტად მიყვარდა, ცხადია, ამ სიტყვას თუ სწორად ვამბობ, სხვა სიტყვა თავში არ მომდის. მან ჭაბუკი პიერ რამბული, დაწესებულების ახალბედა თანამშრომელი მამჯობინა. ლიუსიენი სამიდან ყველაზე ახალგაზრდა იყო და მხოლოდ მას, ერთს, ჰქონდა ლამაზი სხეული. პიერის, ენთუზიაზმით სავსე, მშვენიერი პერსპექტივის მქონე ახალგაზრდა კაცის ცდუნებას ვერ გაუძლო: ის ჩვენთან მხოლოდ ხანმოკლე პრაქტიკული სწავლების გასავლელად მოვიდა. რაღაც ფინანსებს ელოდა, დიდ ბიზნესში რომ გადაშვებულიყო. ლიუსიენი დაარწმუნა, რომ თავის პირად ცხოვრებასაც აზიარებდა და თავის საქმეებსაც. ზუსტად ხუთი წლისა და ერთი თვის წინ მიიღო სამსახურში პატრონმა პიერ რამბული, და ზუსტად ხუთი წელია, რაც ლიუსიენმა მის გამო მიმატოვა. ისინი ჯერაც აქ მუშაობენ. „შეგიძლიათ ბარემ ერთად ყოფნის ხუთი წლისთავიც იზეიმოთ“, ვუთხარი ლიუსიენს, რომელიც პიერთან ერთად კაფეში შემოვიდა. ლიუსიენი გაწითლდა, ჩემ დანახვაზე მუდამ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, და მეც ყოველდღე ვხედავდი, როგორ წითლდებოდა. ცოტა სინდისი აწუხებდა, რომ მიმატოვა, სევდაც ერეოდა, რადგან შეცდა პიერშიც, რომელიც ჩემზე უკეთესი არაფრით აღმოჩნდა. ოღონდ ის უფრო ახალგაზრდა იყო და ჩემზე ნაკლებ მახინჯი. სიმართლე გითხრათ, არც ისეთი მახინჯი ვარ, ოღონდ უმარილო, უფერულო სახე მაქვს, დაბადებიდანვე სიცოცხლეს მოკლებული, მიმქრალი ლურჯი თვალებით.

ოინმა, ლიუსიენმა რომ მომიწყო, დიდი მწუხარება მომგვარა. სად იპოვი ისეთ ლამაზ ქალს, რომელიც ჩემით დაინტერესდება, თანაც ასეთი ლამაზი ფეხების პატრონს, ასეთ ტანადს, ასეთ მომხიბვლელ ღიმილიანს. როცა მიმატოვა, როგორღაც დავიბენი, საკუთარი თავისადმი ეჭვი გამიჩნდა. მივხვდი, ლიუსიენს ჩემს ცხოვრებაში რაღაც განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ვიდრე ჩემთან იყო, ვერ ვამჩნევდი. დეპრესიაც კი დამეწყო, ავადმყოფობის გამო ერთი თვე შვებულება ავიღე და ის დღეები სამსახურიდან კარგა დაშორებულ უბნებში გავატარე. არსებითად კი, ცალცალკე მარტოობა გვქონდა. მაგრამ ასე მხოლოდ ახლა ვფიქრობ. ჩემი დარდიანობის პერიოდში კი, წარმოვიდგინე, რომ მიწიერი სამოთხე დავკარგე. მეჩვენებოდა, ამიერიდან მხოლოდ გატეხილი გული და მოუსვენრობის გრძნობაღა მექნებოდა. ნუთუ თვითონ უკეთ გრძნობს თავს?

პიერი უკვე აღარ ახსენებს მომავლის გრანდიოზულ გეგმებს, სამაგიეროდ, მუცელი წამოეზარდა. ეტყობა, ჩემთან შეხვედრისას მაინც უხერხულად გრძნობს თავს; ოო, იმდენადაც არა, მაგრამ... ხუთი წლის შემდეგ, ამ სასაცილო და უფერული დრამიდან რაღა შეიძლება რომ დარჩენილიყო? იქნებ ჩემი დანახვისას არც გრძნობენ თავს უხერხულად, არც ერთი და არც მეორე. და ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. ფაქტი კი ის არის, რომ უკვე ხუთი წელია, ქალი აღარ მყავს. მარტო ცხოვრებას მივეჩვიე. მეტისმეტად უნდო კაცი ვარ იმისთვის, რომ საკუთარი ცხოვრებით მეცხოვრა, ან მეცადა და, როგორც ამბობენ, საკუთარი ცხოვრება ამეწყო ან შემეცვალა. და საერთოდაც, ვცხოვრობდი კი? მაშინ ლიუსიენთან თითქოსდა რაღაც დაიწყო... ჯულიეტთანაც ვითომ მოქუფრულ ცაზე მზემ გამოაჭიატა.

დავლიეთ ერთი ჭიქა ბოჟოლე, მეორე ჭიქა ბოჟოლე, მესამე ჭიქა ბოჟოლე. ვიდრე მეოთხეს შევუკვეთავდი, პატრონმა აღარ დაიცადა და წავიდა. წარმატება მისურვა, მანამდე კი, მოასწრო და მითხრა, რომ წარმოებას აფართოებს, საინტერესო საქმეების წამოწყებას აპირებს, კლიენტების რიცხვი იზრდება და აღარ იცის, როგორ დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები, ალბათ დამატებითი პერსონალის დაქირავება მოუწევს. შემაკანკალა, რომ დავრჩენილიყავი, რამდენი მუშაობა მომიწევდა... მაგრამ ჩემი ამერიკელი ბიძის წყალობით... პატრონს უნდა გაასამმაგოს, გააოთხმაგოს საქონლის ბრუნვა. ოთხჯერ მეტი მუშაობა მომიწევდა. თუმცა, ერთი სიტყვაც არ დავუჯერე, მისი საწარმო, უწინდელივით გააგრძელებდა მუშაობას, არც კარგად და არც ცუდად. სხვა საფრთხე ამცდა: არ შემოუთავაზებია ფინანსური მონაწილეობა მიმეღო მის საქმეში. მივხვდი, არ უნდოდა. მისი საწარმო პატარა საწარმოდ უნდა დარჩენილიყო, ასე იყო ჩაფიქრებული. რისკის გაწევისა ძალიან ეშინოდა. და ცხადია, მართალი იყო, თავი რაზე ემტვრია? მის ადგილზე სხვანაირად არც მე მოვიქცეოდი. მესამე ჭიქის შემდეგ პიერი და ლიუსიენი წავიდნენ, დანარჩენებიც. ყველა ოდნავ შემთვრალი იყო. ცხადია, ყველას დავპირდი, რომ დროდადრო მათ სანახავად შევივლიდი, რადგან თხუთმეტი წელი ერთ საწარმოში მუშაობა რაღაცას ნიშნავს. ბევრი ჩემსობას მოეწყო სამუშაოდ, ბევრი კი ჩემ თვალწინ წავიდა. პატრონის მამასაც ვიცნობდი, მერე შემცვლელად მისი ვაჟი მოვიდა, ზუსტად მაშინ დავიწყე აქ მუშაობა. ლიუსიენმა წასვლისას გამიღიმა: მომეჩვენა, რომ მის ღიმილში სინანული კრთოდა, ოდნავ სინდისის ქენჯნაც; დახე, ჭაღარაც გამორევია, ერთი, პატარა ნაოჭიც გასჩენია; რა უცნაურია, არც არასოდეს მიფიქრია, რომ მარადიულად ახალგაზრდა ვერ დარჩებოდა. თვალის კუთხეში ცრემლი ედგა, თბილი ტუჩებით კი კოცნა გამომიგზავნა. არანაირი მიზეზი არ გვქონდა ერთმანეთზე ნაწყენი ვყოფილიყავით. იქნებ გულუბრყვილოდ სჯეროდა კიდეც, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებული არ იყო. იქნებ ეგონა კიდეც, ახლა, თუ მოვინდომებდი, შეიძლებოდა ყველაფერი თავიდან დაგვეწყო. რადგან მაშინ ჩვენს ერთმანეთისადმი სწრაფვას, შეიძლება ასეც ფიქრობდა, უფულობამ, სამუშაოს ბუნდოვანმა პერსპექტივამ შეუშალა ხელი, მაგრამ სიყვარული ხომ მთებს გადადგამს, რკინას ამსხვრევს, დაბრკოლებებს გადალახავს, წინ ვერაფერი დაუდგება, ეს ხომ ყველამ ვიცით. ჩვენ, საკუთარი გონებაშეზღუდულობა გვაიძულებს ხელიდან გავუშვათ ყველაფერი და უარი ვთქვათ ბედნიერებაზე. ხოლო დიდმა სიყვარულმა არ იცის, რას ნიშნავს უარის თქმა, არც ცნობს ამ პრობლემას და არც არასდროს შეურიგდება. შემრიგებლობა, ისევე როგორც მარცხი, უფერული ადამიანების ხვედრია. საცოდავი ლიუსიენი, წარმოიდგინა, რომ სხვა პირობებში აქედან შეიძლება რაღაც გამოსულიყო. ობიექტური პირობები არ არსებობს. განა როდესმე მიგრძვნია, რომ ნაცარქვეშ კიდევ ღვიოდა მწველი ცეცხლი? ოჰ, ჰო, ჰო... რამდენი ვიქექე ჩემს სულში, რამდენი ვიკვლიე, უმცირესი თრთოლვაც ვერ აღმოვაჩინე. ჩემი შინაგანი სამყაროს მწუხრ სივრცეებში, მხოლოდ ნანგრევებია სხვა ნანგრევებით ჩამარხული, რომელიც თავის მხრივ სხვა ნანგრევებით არის დამარხული. მაგრამ თუ ნანგრევები არსებობს, მაშასადამე, ოდესღაც, აქ ტაძარიც იდგა, ქათქათებდა კოლონები, საკურთხეველზე კი ცეცხლი გიზგიზებდა? ეს მხოლოდ ვარაუდია. სინამდვილეში, შეიძლება არც არაფერი იყო, ქაოსის გარდა.

მხოლოდ ჟაკ დიუპონი დარჩა. ცამეტი წელი ერთ მაგიდასთან ვისხედით, პირისპირ და ვმუშაობდით; უწყისები, უწყისები, უწყისები. ორიოდე კვირა, ვიდრე ჩემს შემცვლელს იპოვიან, ორჯერ მეტი სამუშაოს შესრულება მოუწევს; მაგრამ ნუთუ პატრონს შემცვლელი უკვე ნაპოვნი არა ჰყავს? გარდა ამისა, დიუპონი იმ ვიღაცასაც უნდა შეეჩვიოს, იმ მეორის ჩვევებიც გააღიზიანებს და გააბრაზებს, მერე აუცილებლად შეეგუება, ყურადღებას აღარ მიაქცევს. აი, ვის დაენანება ჩემი წასვლა. ხანდახან სანახავად უნდა შევუარო. სამუშაოს დამთავრებამდე კართან დაველოდები. ერთად დავლევთ აპერიტივს, როგორც უწინდელ დროში ვსვამდით, რომელიც უკვე ძველი და კარგი დროა. ბუნებრივია, მისამართსაც მივცემ, როგორ არა, და ის ჩემთან სტუმრად მოვა. „უეჭველად, — ვეუბნები, — უეჭველად“. — „ახლა უკვე მდიდარი ხართ, და...“ — „არა, არა, არ დაგივიწყებთ. როგორ დაგივიწყებთ? არაფერი მავიწყდება, არც კარგი, არც ცუდი, მით უმეტეს, რა დამავიწყებს ისეთ ადამიანს, როგორიც თქვენ ხართ...“

ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩემთან დარჩა და ბისტროშიც ერთად ვისადილეთ. ბისტროს პატრონს სასმელი შევთავაზეთ. მერე ის გაგვიმასპინძლდა.

„სანახავად მობრძანდით ხოლმე, ბატონო. არ შეიძლება მეგობრების ასე უბრალოდ მიტოვება. თხუთმეტი წელი ჩემთან სადილობდით. კარგად გემსახურებოდით. ყველგან არის რესტორანი, ბისტრო, კარგად მესმის, მაგრამ თქვენზე ასე კარგად არავინ იზრუნებს. რა მოგართვათ?“

მე და ჟაკი ფანჯრის ახლო მაგიდასთან ვისხედით. მოღრუბლული დღე იყო. პაშტეტი შევუკვეთეთ, სარდინი, ძროხის ხორცი ბურგუნდიულად, ყავა, ორი ბოთლი ბოჟოლე. კიდევ შევუკვეთეთ ყავა, რამდენიმე ფინჯანი ყავა, რამდენიმე სირჩა კონიაკი ყავაზე დასაყოლებლად, მერე ის წავიდა, მეც წავედი.

ვჩქარობდი ბინის გამოცვლას. წლების განმავლობაში იაფფასიანი სასტუმროს ერთ პატარა ოთახში ვცხოვრობდი. ზამთარში საკმაოდ თბილოდა. ზაფხულში კი მეტისმეტად ცხელოდა. მქონდა წითელგადასაფარებლიანი საწოლი, კარადა, სკამი, მაგიდა, პირსაბანი, აი ტუალეტი კი დერეფანში იყო. ამ სართულზე რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა და იქ მუდამ რიგი იდგა. ჩხუბიც ხშირად იმართებოდა. ტუალეტთან პირველი რომ მივსულიყავი, ძალიან ადრე მიწევდა ადგომა, მერე სამ მეოთხედ საათს კიდევ ვიძინებდი, რადგან სამსახურში ცხრის ნახევარზე უნდა ვყოფილიყავი. ცხრას რომ თხუთმეტი დააკლდებოდა თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი მიჰქონდათ; ვერ მოასწრებდი ხელის მოწერას და გადაიხდიდი ჯარიმას. ჩემი ოთახი მეშვიდე, ბოლო სართულზე იყო. ოდნავ მანსარდული ტიპის. პატარა აივანი ჰქონდა, ოთხკუთხა, რკინის მოაჯირით. ნათელი ოთახი იყო. კუთხეში ოციოდე წიგნი მქონდა მიწყობილი. უფრო მეტიც მინდოდა მქონოდა, მაგრამ არც წიგნების კარადა მქონდა, არც თაროები. წაკითხულ წიგნებს ვყრიდი. მხოლოდ დოსტოევსკის „ეშმაკი“, ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“, „სამი მუშკეტერი“, „გრაფი მონტე-კრისტო“, კაფკას, არსენ ლიუპენის1, რულტაბილის2 მოთხრობები და ნოველები დავიტოვე. კვირაობით კინოში მარტო დავდიოდი, სულ მარტო, ქალი უკვე აღარ ჰყავდა, მე კი ძალზე მორცხვი ვიყავი იმისთვის, ქუჩაში ვინმეს გამოვლა-

პარაკებოდი, რასაც ჟაკ დიუპონი აკეთებდა, რომელსაც ქუჩა ყველაზე საუკეთესო ადგილი ეგონა ვინმეს გასაცნობად — იქნებ ტრაბახობდა კიდეც. კინოს შემდეგ ცოტას ვსეირნობდი. გულგრილად შევყურებდი ვიტრინებს, მეტი ინტერესით ქალებს ვათვალიერებდი, ზოგჯერ მეორე ფილმის, ჩვეულებისამებრ დეტექტური ფილმის სანახავადაც მივდიოდი, ან რომელიმე ლუდხანის ტერასაზე ვჯდებოდი და ლუდის კათხას კათხაზე ვცლიდი.

და მაინც ცოტა მოწყენილი ვიყავი. ყველამ ვიცით, რომ იმაზე სევდიანი დრო არ არსებობს, როგორიც კვირის სადილობის შემდგომი პერიოდია. ახალგაზრდა წყვილის შემხედვარეს — ორსული დედიკო ბავშვიან ეტლს რომ მიაგორებს, ჭაბუკ მამიკოს კი ხელით მეორე მიჰყავს — სურვილი მიჩნდება ისინიც დავხოცო და თავიც მოვიკლა. მაგრამ მესამე თუ მეოთხე კათხა ლუდის შემდეგ ყველაფერი კომიკურად მეჩვენება, სამხიარულოდაც კი. დაბინდებისთანავე, მოსეირნე ოჯახებს, ნაკლებად სევდიანი სახეები და სილუეტები ცვლის. კიდევ ორი კათხა ლუდი და უკვე რაღაც ბედნიერებას ვაღწევ. სხეულს ვეღარ ვგრძნობ. ნეტარებით ვიღიმები. ჩემს პატარა სასტუმროში ვბრუნდები, ბარბაცით ჩემი ოთახის კარს ვაღებ. გახდა მეძნელება, როგორც ვახერხებ ტანსაცმელს სკამზე ისე ვაწყობ და საწოლზე ვეცემი. სიფრთხილის გამო ტუალეტის მაგიდაზე მაღვიძარასაც ვდგამ, მაგრამ ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის, ზარის დარეკვამდე რამდენიმე წამით ადრე მეღვიძება. ცხადია, მაღვიძარას ხმა მხოლოდ აშფოთებს ჩემს ქვეცნობიერს, რომელიც ზუსტად იმ დროს მაღვიძებდა, როცა საათს უნდა დაერეკა. ღილაკს თითს ვაჭერ, ვთიშავ, გაღვიძებული თუ ნახევრად მძინარე, საწოლში რამდენიმე წუთს კიდევ ვრჩები. კვირაობით იმიტომ ვსვამდი, რათა დამევიწყებინა, რომ ორშაბათ დილით ახალი სამუშაო დღე მეწყებოდა. ორშაბათი დილა, თავის ტკივილი, პირში გასიებული ენა, სასოწარკვეთილება გახლდათ. ორშაბათ დილას დაბანა, ჩაცმა, დილის ტუალეტი, სხვა დღეებზე მეტად არაადამიანურ ტანჯვად მეჩვენებოდა. მიუვალი მთაა. ყოველდღიური კატორღა ისეთივე სატანჯველია, როგორიც კვირა დღის, მაგრამ კვირა დღის კატორღას განსხვავებული ზნე აქვს. სამსახურიდან არცთუ შორს ვცხოვრობდი. ქუჩას დავუყვებოდი, ჩემსავით ყველა ჩქარობდა და ჩემსავით ყველა ყოველდღიური სამუშაოს ჯოჯოხეთის ხელახლა აღდგენას იწყებდა. ორიოდე წუთს, კუთხეში, კაფესთან ვჩერდებოდი, ვსვამდი სქელ ყავას ან ერთ სირჩა სპირტიან სასმელს. ამის შემდეგ თავს უკეთესად ვგრძნობდი ან გულგრილობა მეუფლებოდა. ზუსტად ორშაბათობით მაგვიანდებოდა და სამსახურში თანამშრომელთა გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალიც, სადაც ხელი უნდა მომეწერა, აღარ მხვდებოდა: მოესწროთ და უკვე წაეღოთ.

„კვირა როგორ გაატარეთ? — მეკითხება ჟაკი. — კარგად გაერთეთ?“

„იმდენი ვიცინე, მუცელი მეტკინა“.

ჟაკი ცოლიანია. ცოლთან ერთად კინოში სიარული მისთვის მოსაწყენი იყო, ერჩივნა მარტო წასულიყო ან ვინმე სხვა ქალთან ერთად. მე კი მარტოდ სიარული მქონდა მობეზრებული. მაგრამ ეკრანის წინ დავჯდებოდი თუ არა, ეს მავიწყდებოდა. გამიძნელდება ჩემ მიერ ნანახი ფილმისა თუ ფილმების შინაარსის გადმოცემა. ვიჯექი დარბაზში, მოძრავ სურათებს ვუყურებდი, ვხედავდი ადამიანებს ერთმანეთს რომ დასდევდნენ, მერე ჩხუბობდნენ, მერე უფრო მეტი ხმაურით, რევოლვერით, ერთმანეთს ხოცავდნენ. ჟაკი კი არჩევაში იყო, რომელი ფილმი ენახა. რაც მოხვდებოდა, იმას არ უყურებდა. განათლებული ადამიანი ბრძანდებოდა. დიდხანს მიყვებოდა ხოლმე იმ ფილმებზე, რომლებიც უკვე ნანახი ჰქონდა. მაგრამ ვიცოდი, ჩემზე არანაკლებ მოწყენილი იყო. ოღონდ საკუთარ თავს არ უტყდებოდა. ორშაბათი კვირის ყველაზე მძიმე დღეა, ყველაზე აუტანელი. მთელი კვირა, რომელიც იწყებოდა, მხრებზე ისე მაწვებოდა, როგორც მთელი სამყარო აწვება ატლასის მხრებს. ორშაბათ საღამოს ტვირთის ერთი მეექვსედით ვთავისუფლდებოდი. და ყოველი დღის გასვლის შემდეგ უფრო და უფრო მსუბუქად ვგრძნობდი თავს. პარასკევ საღამოს კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედნიერი ვიყავი. კიდევ იყო შაბათი დილაც, შუადღის შემდეგ თავისუფალი გახლდით. საკუთარ თავს მხიარულსა და უხვ სადილებს ვუმართავდი. სადილის შემდეგ საწოლზე ვგორაობდი, შაბათ საღამოს კი სევდის მოწოლა იწყებოდა, რადგან ახლა მხოლოდ კვირადღეღა მაშორებდა საზარელ ორშაბათს. ორშაბათი ყველაზე მძიმე და დატვირთული დღე იყო, კვირა კი ყველაზე ცარიელი.

რასაკვირველია, მე ვიყავი დამნაშავე. უნდა მესწავლა. ხუთი წლისა რომ გავხდი, მამა მომიკვდა. დედაჩემი მინახავდა. არ ვიცი, რატომ იყო ნაწყენი თავის ოჯახზე. ვფიქრობ, მამაჩემის გამო, არ უნდოდათ მას ცოლად გაჰყოლოდა. მამაჩემი დიდი ხნის მკვდარი იყო, მაგრამ დედაჩემი ოჯახს მაინც არ შეურიგდა. ბევრს მუშაობდა საწყალი, ისიც კანტორაში დადიოდა, მაგრამ სახსარი საცხოვრებლად მაინც არ გვყოფნიდა. საღამოობით სახლში დაბრუნებული კონვერტებზე მისამართებს აწერდა. ცოტას მეც ვეხმარებოდი, მერე გაკვეთილების მოსამზადებლად მიშვებდა. წიგნებზე და რვეულებზე ჩამეძინებოდა ხოლმე. დედაჩემი ძალიან წუხდა, ზარმაცი რომ ვიყავი. „იშრომე, — მეუბნებოდა, — თუ არ იშრომებ, მერე ინანებ. ხომ ისწავლი, ჩემო პატარავ, ხომ ასეა? მასწავლებელი გახდები, ინჟინერი ან ექიმი. დიდი უფროსი დადგები და გეყოლება ხელქვეითები“.

ძალიან მინდოდა, დედაჩემისთვის სიამოვნება მიმენიჭებინა და მესწავლა, გული ძალიან სტკიოდა, ცუდად რომ ვსწავლობდი. როგორც შეეძლო მეხმარებოდა, მე ვებრალებოდი, საკუთარი თავი კი არა: „ელჩის, აკადემიკოსის, გენერლის ლამაზი მუნდირი გექნება, ორდენებით გაწყობილი. ეს კი შრომით მიიღწევა და ბევრმაც მიაღწია. შენ სხვაზე ნაკლები ხომ არა ხარ. აბა მიდი, ეცადე...“ სკოლიდან მხოლოდ ცუდი ნიშნები მომქონდა. ჩემი გულისთვის მუშაობით თავს იკლავდა. ვიმსახურე ჯარშიც. ეს სამსახურიც უცბად მიშოვა იმ უფროსის წყალობით, რომლისთვისაც კონვერტებზე მისამართებს აწერდა და რომელიც მეგობარი იყო იმ სამსახურის უფროსისა, მერე ჩემი უფროსი რომ გახდა. „დრო კიდევ გაქვს, — მითხრა დედაჩემმა, — დრო კიდევ გაქვს ბაკალავრის გამოცდები ჩააბარო. საღამოს შეგიძლია ისწავლო“. კანტორაში რამდენიმე კვირა ვიმუშავე და დედაჩემი უცბად ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. თავისი მოვალეობა შეასრულა, გამზარდა, ჩემი თავი ხელიდან ხელში გადასცა მეპატრონეს და როგორც იტყვიან, როგორღაც ცხოვრება მომიწყო.

სინდისის ქენჯნისა და უღონობისგან ვსკდებოდი. სინდისის ქენჯნისგან იმიტომ, რომ ცხოვრებაში ორჯერ განიცადა მარცხი, პირველად მამაჩემის გამო, მეორედ — მე ვერ გავუმართლე იმედი, ვერ დავეხმარე, კვლავ მოეწყო თავისი ცხოვრება. აღარ მინდოდა ამ ბნელ ოროთახიან, სამზარეულოიან ბინაში ცხოვრება, სადაც იგი ჩემ თვალწინ შრომით წელს იწყვეტდა. ამიტომაც ერთი უბრალო, პირქუში სასტუმრო ავირჩიე საცხოვრებლად. აი, ასე აღმოვჩნდი ჟაკ დიუპონის პირისპირ, რომელიც საათობით მიყვებოდა ერთი და იგივე ხუმრობებს. საღამოობით, სამუშაოს შემდეგ, ვიდრე მე ბისტროდან ბისტროში დავეხეტებოდი, ჟაკი თვითგანათლებით იყო დაკავებული. კითხულობდა რომანებსა და იდეოლოგიურ წიგნებს. რევოლუციონერთა რომელიღაც პარტიის წევრიც იყო. საღამოობით საკუთარ თავს იდეოლოგიურად დაამუშავებდა, ძილში, ალბათ, გადახარშავდა და მეორე დღეს დილით გაცოფებული თავს ესხმოდა საზოგადოებას. და რადგან მისი ერთადერთი თანამოსაუბრე ვიყავი, მისი გამოხედვა მეხად მატყდებოდა, თითით მემუქრებოდა, რაც ჩემში სინდისის ქენჯნის გრძნობას იმდენად აღვიძებდა, რომ „სისტემის“ მიერ შექმნილი ყველა ბოროტების გამო პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ეს მე ვიყავი ცუდი საზოგადოება, ცუდი სისტემა, განტევების ვაციც. მართალია, ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, ერთი საათი ან ცოტა მეტი, რადგან პატრონი ან მისი მდივანი, რომლებსაც გვერდით ოთახში საუბრის ნაწყვეტები ესმოდათ, გამოდიოდნენ, უახლოვდებოდნენ ჩვენს მაგიდას და მოითხოვდნენ, გვემუშავა. სრული სიმშვიდე ისადგურებდა, შუადღისას კი მე და ჟაკი მეგობრულად აპერიტივის დასალევად ჩვენს ბისტროში მივდიოდით. შუადღის შემდეგ ისე იყო დაღლილი, თავი აღარ ჰქონდა თავისი მრისხანე დიატრიბების გასაგრძელებლად, და რაც მთავარია, ღაქლაქში დაკარგული დროის ასანაზღაურებლად ბევრი მუშაობა გვიწევდა. შემოდგომობით, სამსახურიდან გამოსვლისას, მე და ჟაკი ვამბობდით, რომ ყოველი დღე წინა დღეზე ცოტა პატარა არისო. იანვრიდან დაწყებული ხან მე, ხან ის აღვნიშნავდით, რომ ამ დღეს წინა დღესთან შედარებით ერთი წუთით მოიტანა.

აღშფოთებული არ ვიყავი, მაგრამ არც მორჩილებას გამოვხატავდი, რადგან არ ვიცოდი, ვისთვის უნდა თანამეგრძნო, ან რომელ საზოგადოებაში ვიქნებოდი კარგად. არც მოწყენილი ვიყავი, არც მხიარული, მთლიანად, თავიდან ფეხამდე კოსმოგონიაში ვიყავი ჩართული, რომელიც მხოლოდ ისეთი შეიძლება ყოფილიყო, როგორიც იყო და არანაირ საზოგადოებას არ შეეძლო იმის შეცვლა, რაც უკვე იყო. სამყარო ერთხელ და სამუდამოდ არის მოცემული თავისი ღამეებით, დღეებით, თავისი ვარსკვლავებით და მზით, მიწითა და წყლით, და ყოველგვარი ცვლილება იმაში, რაც უკვე მოცემულია, ჩვენი წარმოსახვის შესაძლებლობებს აღემატება. ზევით ცა იყო, მიწა ჩემს ფეხქვეშ, იყო მიზიდულობის კანონები და სხვა კანონები, მათ ემორჩილებოდა მთელი კოსმიური წესრიგი; და ჩვენ, ჩვენ მისი ერთი ნაწილი ვიყავით. ოღონდ, ორ-სამჯერ მაინც აღვშფოთდი. ზოგჯერ კანტორაში საქმიანი სადილების შემდეგ კომანდიდისტებინ ან ადმინისტრაციული საბჭოს წევრები მოდიოდნენ შესამოწმებლად. ოცდაოთხი საათით ადრე გვაფრთხილებდნენ. ვგვიდით, ვწმენდდით, სუფთად ვიპარსავდით, ვიცვამდით ახალგარეცხილ, კარგად გაუთოებულ სამუშაო ხალათებს და ამ ბატონებს ველოდით. ჩვენი პატრონის თანხლებით ისინიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე კანტორაში. მათ მისაღებად ფეხზე ვდგებოდით. ისინი არც გვესალმებოდნენ, არც ჩვენს მისალმებაზე გვპასუხობდნენ და ვერც გვხედავდნენ. ამოწმებდნენ არქივებს, საბუთებით სავსე საქაღალდეებს, უსმენდნენ პატრონის ახსნა-განმარტებებს. ბევრი მათგანი ქუდსაც არ იხდიდა. მაგრამ ყველას, ექვსნი იყვნენ თუ შვიდნი, სახე, მშვენიერი სადილის შემდეგ, რომელიც ის-ის იყო დაამთავრეს, აღაჟღაჟებული ჰქონდათ. და ყველას წითელი ლენტები ან ბანტები ეკეთა.

როგორც კი მათ უკან კარი დაიხურებოდა, ჟაკ დიუპონი ყვირილს იწყებდა: „მაგათ ხომ ჩვენ ვაჭმევთ პურს. ჩვენი ოფლითა და წვალებით სუქდებიან“.

ჟაკ დიუპონის განცხადება ფორმით გადაჭარბებული მეჩვენებოდა, რადგან არც ის და არც მე, მუშაობისას რა ვიოფლებოდით, საკმაოდ მოხერხებულად ვისხედით და ჩემი გაცხარებაც სწრაფად ქრებოდა: ისე არიან დაწითლებულები, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, მალე სისხლის ჩაქცევით დაიხოცებიან. აბა, ვინ ვიყავით ჟაკ დიუპონი და მე, ორი ადამიანი, ორი საცოდავი მწერი სამ მილიარდ სხვა ადამიანთა შორის? ან რითი ან ვისით უნდა შეცვალო ისინი? საზოგადოება შეიცვლება თუ არ შეიცვლება, მე იმათ მივეკუთვნები, ვისაც დანარჩენები თან გაიყოლებენ.

და მაინც, ჩემს ტყავში ცუდად ვგრძნობდი თავს. არ ვიცოდი, როგორ გავნძრეულიყავ, რომ ეს აღარ მეგრძნო ან რაც შეიძლება ნაკლებად მეგრძნო. დროდადრო, განსაკუთრებით ჭაბუკობისას, სამყაროს იდუმალება მაღელვებდა. უსაზღვრო სამყარო ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელია. სკოლაში და ყველგან განუწყვეტლივ მეუბნებოდნენ, რომ სამყარო უსაზღვროა. კიდევ მითხრეს, რომ სამყარო დასრულებულიც არის და დაუსრულებელიც, ეს უფრო მიუწვდომელი მეჩვენა, მაშინ შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩნდეს: მაშ, რაღაა მის „შემდეგ“? შეიძლება სამყარო არც დასრულებულია და არც დაუსრულებელი, მაგრამ სიტყვები „დასრულებული“ ან „დაუსრულებელი“ არაფრის მთქმელი გამოთქმებია. თუ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ არც დასრულებულ-დაუსრულებელი, არც არდასრულებულ-არდაუსრულებელი, რაც ასე ელემენტარული და მარტივია, და ზუსტად იმისთვის არის შექმნილი, რომ ჩვენ გავიგოთ, მაშინ უკეთესი ხომ არ იქნება, საერთოდ არ ვიფიქროთ ამ საკითხებზე? მთელი ჩვენი გონება რაღაც ქაოსში მიცოცავს. აბა, რა უნდა ვიცოდეთ სამართლიანობაზე, დედამიწის ფიზიკურ მოწყობაზე, ისტორიაზე, ბუნებისა და სამყაროს კანონებზე, თუ ჩვენი შესაძლებელი გაგების ძირითადი საფუძვლები ჩვენგან დაფარულია? მთავარია, არ ვიფიქროთ. არაფერზე არ ვიფიქროთ. არაფერი განვსაჯოთ. სხვანაირად, ჭკუაზე შევიშლები. მაგრამ რა არის ჭკუაზე შეშლა? კიდევ ერთი კითხვა, რომლის საკუთარი თავისადმი დასმაც არ ღირს. წლიდან წლამდე ასე ვცხოვრობდი, ვცხოვრობდი წუთით, აუხსნელი წუთით, რაღაც გაურკვეველი წუთით. ამ წუთსაც ხომ თავისი ისტორია ჰქონდა, რადგან არსებობდნენ ლიუსიენი, ჯულიეტი და ჟანინი. რადგან არსებობდა დრო, იყო კვირის ბოლო და კვირის დასაწყისი. და იყო ორგანიზმიც, მას ისე შევიგრძნობდი, როგორც რაღაც სიმძიმეს, უსიამოვნოს, ერთი და იმავე დროს, ეს მე ვიყავი და არც ვიყავი. ცხოვრებისადმი ზიზღმა და მოწყენილობამ, არც მე რომ მიწევდა ანგარიშს და არც ჩემს მარტივსა და პრიმიტიულ ფილოსოფიას, მოწყენილობამ და ცხოვრებისადმი ზიზღმა, მინდოდა თუ არ მინდოდა, მთლიანად შთანმთქა, მთელს ჩემს არსებაში შეაღწია. ჩვეულების გამო სამსახურში ყოველდღიური სიარული ძალადობად მექცა. ამის ახსნა საკუთარი თავისთვის ვერაფრით შევძელი. არაფრის ახსნა არ შეიძლება. მაგრამ ვითმენდი. მთავარია, რომ აღარ დავინახავ ჟაკ დიუპონს, პიერ რამბულს, პატრონს, ეს თითქმის მთელი ბედნიერება იყო. წასვლა ჩემს თავისუფლებას ნიშნავდა. ასე რომ, სრულ გაუგებრობებს შორის, გასაგების რაღაც ნამცეცები მაინც იყო. თუ უნარი არა გვაქვს სამყაროს ჩავწვდეთ, შევიცნოთ მისი დიდი კანონები, რომლებიც მას მართავენ, უსაზღვრო სამყაროს ან არდასრულებულ-არდაუსრულებელ სამყაროს, შიგნითა პატარა სამყაროში მანევრირება ხომ მაინც შეგვიძლია.

თარგმნეს ნატო ვარდოშვილმა
და დავით კახაბერმა

რუსუდან ბეჟაშვილი

ხიდი რეალობასა და იდეალს შორის

ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“

ამ რომანზე ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა, მაგრამ მე მსურს ჩემი პირადი დამოკიდებულება გამოვხატო იმ მწერლისა და პიროვნების მიმართ, რომლის მსგავსი ჰუმანისტიც ნაკლებად მეგულება მსოფლიო სააზროვნო სივრცეში. სიცოცხლეში დაახლოებით ასეთ რჩევას აძლევდა ჰესე ახალგაზრდებს: იკითხეთ ჰესე არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ცნობილია ან მოდური, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ეს ლიტერატურა თქვენთვის მართლა საჭიროა და ახლობელი. სპეციალისტთა აზრით, ჰერმან ჰესე დღემდე ის მწერალია, რომელსაც ყველაზე მეტად კითხულობენ და ყველაზე ხშირად თარგმნიან გერმანულენოვან ავტორთა შორის. მისი ნაწარმოებების გახსენებისას პირველი, რაც აზროვნებაში ამოგიტივტივდება, აზრის სიღრმე და ენის სიმარტივეა. თითქოს შენს პრობლემებზე გესაუბრება, სწორედ იმ კითხვებზე გცემს პასუხს, რაც ასე გაწვალებდა. მის მოთხრობებსა თუ რომანებში სიმპათიის გამომწვევი ყველა ადამიანი ხომ არანებაყოფლობითი აუტსაიდერია, საზოგადოებისგან გარიყული ადამიანი. ასეთივეა ამ წიგნის მთავარი გმირი ჰარი ჰალერიც; გარკვეულწილად, საკუთარ დროსა და საკუთარ თავში დაეჭვებული ადამიანი — ორმოცდაათიოდე წლის კაცი, რომელიც საკუთარ თავს „ტრამალის მგელს“ უწოდებდა. გულჩათხრობილი, მარტოსული, ველური, მფრთხალი კაცი. მისი ჩანაწერებიდან ჩანს, თვითშთაგონების წყალობით, თუ როგორ ცდილობდა, ამ სიმარტოვეში განგების ძალა დაენახა. უცხო ქალაქში ბინა რომ იქირავა, დიასახლისს სთხოვა, პოლიციაში ნუ განაცხადებთ ჩემს შესახებ, იქ სიარულის თავი არა მაქვსო. თქვენს ქალაქში სიძველეების გაცნობა და ბიბლიოთეკაში მუშაობა მსურსო.

ჰარი ჰალერს ტყავის ჩემოდანზე მრავალი ქვეყნის სამოგზაურო კომპანიის იარლიყი და სასტუმროს ნიშანი ეკრა. გონიერი კაცის დახვეწილი ნაკვთები ჰქონდა. ტრამალის მგლის მზერაში მთელი ჩვენი დროის ამაო ორომტრიალი არეკლილიყო, რაც აშკარად გვამცნობდა ჩვენი ზერელე ცხოვრების მოჩვენებითობას. ჰალერი ტანჯვის გენია იყო, მაგრამ ეს პესიმიზმი სამყაროს სიძულვილით არ იყო გამოწვეული, უპირველეს ყოვლისა, მას საკუთარი თავის ზიზღი ედო საფუძვლად.

აღმზრდელებსა თუ მასწავლებლებს მისი „ნებისყოფის დათრგუნვა“ უცდიათ, რაც ვერ მოახერხეს – ანუ, პიროვნების დათრგუნვა – მაგრამ თავი კი შეაძულეს. ის ყოველგვარი სისასტიკისა თუ ბოროტების ფესვებს სულ საკუთარ თავში ხედავდა და ჯავრსაც საკუთარ თავზევე იყრიდა.

ცდილობდა, სხვების მიმართ სიყვარული გამოეჩინა და სამართლიანი ყოფილიყო.

მაგრამ საკუთარი თავის სიძულვილი ხომ ადამიანთა მოდგმის სიძულვილს ნიშნავს. ეს კაცს ისეთსავე სასოწარკვეთაში აგდებს, როგორც თავკერძობა. ასე ფიქრობს ავტორიც და წიგნის გმირიც. მათ შორის ბევრია საერთო თვისებები. მაგალითად, ჰარის ჰქონდა აკვარელით შესრულებული ნახატები (ისევე, როგორც ჰესეს), ბევრი წიგნი: გოეთე, ლესინგი, ჟან პოლი, იაკობი, ლიხტენბერგი, დოსტოევსკი – სწორედ ის მწერლები, რომლებიც ჰესეს უყვარდა, რაც ასევე წიგნის ავტობიოგრაფიულობაზე მიანიშნებს. წიგნის გმირს სულიერი ინტერესით აღსავსე ცხოვრება გააჩნდა, მაგრამ უწესრიგობის ნიშნით აღბეჭდილი.

„კაცი უნდა ამაყობდეს ტკივილით: ყოველგვარი ტკივილი ჩვენი მაღალი დანიშნულების შეხსენებაა მხოლოდ!“ – შესანიშნავია, არა? და ეს ნიცშემდე ოთხმოცი წლით ადრე ითქვა! ტკივილის მნიშვნელობას კვლავ შეგვახსენებს ავტორი.

თუმცა ჰესეს ეს პერსონაჟები სამყაროს გამაკეთილშობილებელნი არიან თავიანთი ძიებებითა და სულიერი წინააღმდეგობებით. ეს წიგნი, როგორც ზემოთ ვივარაუდეთ, ავტობიოგრაფიულია და კომპოზიციურად საკმაოდ რთულადაა აგებული. აქ იგი ძირითადად ადამიანური ბუნების გაორებაზე გვესაუბრება, ხან რომ ადამიანად გრძნობს თავს, ხან კი – ტრამალის მგლად. ადამიანურში მოიაზრება სული, მგლურში – ინსტინქტები. მაგრამ ავტორი იქვე გვეუბნება, რომ ამგვარი აზროვნებით ჰარი ჰალერი იმ ველურს ჰგავდა, რომელმაც მხოლოდ ორამდე იცის თვლა, რადგან ადამიანს მხოლოდ ორი კი არა, ხახვის ფურცლებივით, უამრავი შრე აკრავს გარსო. ასე რომ, ადამიანის მხოლოდ ორბუნებოვნად განხილვა, მისი აზრით, ძალზე მარტივია და პრიმიტიული.

მთავარი გმირი დროსა და სივრცეში მოგზაურობს, ეკამათება გოეთეს და მუსიკაზე ესაუბრება მოცარტს.

წიგნის დასაწყისში მოცემულია ჰარი ჰალერის ჩანაწერები, რომელსაც ქვესათაურად აწერია: „მხოლოდ შეშლილთათვის.“ უიმედო და სნეული კაცი თითქოს თვითმკვლელობაზეც ფიქრობს, მაგრამ იმავდროულად თავს ინუგეშებს. ჰარის

დაავადება მხოლოდ ერთი კაცისა როდი გახლავთ, ეს თავად დროის დაავადებაა; ნევროზი იმ თაობისა, რომელსაც ჰარი ჰალერი მიეკუთვნებოდა. ის სჭირდათ არა მხოლოდ სუსტ პიროვნებებს, არამედ ძლიერებსაც – სულიერებსა და ნიჭიერებს. ეს დაავადება რომანში გმირის მერყევ პოზიციად ვლინდება სიცოცხლესა და თვითმკვლელობას შორის, მოწესრიგებულ ბიურგერულ ცხოვრებასა და გაუცხოების გრძნობას შორის. რომანტიკული ჰალერი არის თანამედროვე მოხეტიალე, რომელმაც ნიცშეს მოძღვრება გაითავისა. ის დაუნდობელი კრიტიკოსია იმ საზოგადოებისა, რომელმაც ერთი ომი უკან მოიტოვა და ახალი კონფლიქტისთვის ემზადება.

თავისი ბიურგერული ბინიდან, რომელიც ერთი სახლის სხვენში იყო შეყუჟული (ტრამალის მგელი კი ვარ, მაგრამ ბიურგერული ცხოვრებაც თავისკენ მეწევაო), პირდაპირ უცხოეთისკენ გაუყვება გზას – ეს ხომ სულიერი მოგზაურობაა სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ამ დროს წააწყდება წარწერას მოცეკვავე ასოებით „მაგიური თეატრი“. დაეხეტება ბაზრის მოედანზე, ათვალიერებს აფიშებს, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს მხოლოდ ნორმალური ადამიანებისთვისაა, მისთვის – არა. მის მახსოვრობაში სადღაც მოსმენილი მუსიკის ჰანგი გაიელვებს და ხვდება, რომ ამ ჰანგს მის სულში მშვენიერი ყვავილი გაუშლია. და მიუხედავად იმისა, რომ გზაკვალარეული ნადირი ერქვა, მაინც ხედავდა აზრს ამ „სულელურ“ არსებობაში: „ჩემს სულში რაღაც ეხმიანებოდა მიღმა სამყაროდან მიღწეულ შორეულ ძახილს, იჭერდა მას და გონებაში უთვალავ სურათს ბადებდა.“ ყუთჩამოკიდებული კაცი, ხალხს მაგიური თეატრისკენ რომ მოუხმობდა, ყუთიდან პატარა წიგნს ამოიღებს და ჰარის ჩუქნის, რომელიც აღმოჩნდება „ტრაქტატი ტრამალის მგელზე“ და მთელ მის ცხოვრებას ასახავს: კაცისა, რომელიც ორ ფეხზე იდგა, ადამიანივით ეცვა, მაგრამ მაინც ტრამალის მგელი იყო. „წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენდა, რომ თავისუფლება ფულზე ან კეთილდღეობაზე გაეცვალა. ტრამალის მგლის ცდუნება არც ქალებს შეეძლოთ და არც ძლიერთ ამა ქვეყნისა.“

საინტერესოა ჰესეს აზრი იუმორზე. ამ ორბუნებოვნებაში ხეტიალისას აღმოაჩენს, რომ ადამიანს საუკეთესო რამ გამოუგონია იუმორის სახით: „იუმორი უბედურ, მაგრამ მაღალნიჭიერ ადამიანთა გამოგონებაა, მხოლოდ მას ძალუძს ქმნა შეუძლებლისა; იგი თავს უყრის და საკუთარი სხივებით აცისკროვნებს ადამიანური ბუნების ყველა კუთხე-კუნჭულს. ...და თუ ტრამალის მგელი მოახერხებს საკუთარი სულის ჯოჯოხეთიდან გამოწრიტოს ეს ჯადოსნური სასმელი, ხსნის გზაც ეს იქნება მისთვის.“

ერთი სიტყვით, ეს არის წიგნი ღირებულებებზე, ცხოვრებისეულ პოლარობებზე, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ჰუმანიზმი და ვერაგობა, ბიურგერული ცხოვრება და გიჟური სწრაფვა კოსმიური საიდუმლოებებისაკენ, ომი და მშვიდობა...

წიგნში დასამახსოვრებელია მისი აღშფოთება, როცა პროფესორთან სტუმრობისას, გოეთეს ზედმიწევნით ოსტატურად შესრულებულ პორტრეტს წააწყდება. რაოდენ გაღიზიანდება მწერლის გაზულუქებული სახის ხილვით. მას ხომ სხვაგვარი გოეთე უყვარდა!

ასევე ომის სიძულვილსაც დიდი ადგილი უკავია ნაწარმოებში. როცა ეუბნებიან: „თქვენს მოგვარეზე, ვიღაც პუბლიცისტ ჰალერზე სტატია არისო დაბეჭდილი; ეტყობა ერთი უთვისტომო არაკაცი უნდა იყოს, კაიზერს დასცინის და ბრძანებს, ჩემს სამშობლოს ჩვენ მტრებზე ნაკლები დანაშაული როდი მიუძღვის ომის გაჩაღებაშიო!“ ჰესეს ომისადმი ამგვარი განწყობა ხომ ცნობილია, რის გამოც იგი სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს და პირველი მსოფლიო ომის დროს, მწერალი შვეიცარიაში გადასახლდა. მხოლოდ 1946 წლიდან, მას შემდეგ, რაც ნობელის პრემია მიიღო, კვლავ გაიხსენეს სამშობლოში და ისევ დაიწყეს მისი წიგნების გამოცემა.

ამ ნაწარმოების ფილმად გადაღებისას, ასევე ერთ-ერთი მოტივი ომის წინააღმდეგ გზავნილი უნდა ყოფილიყო; ამერიკელებმა ხომ სწორედ ვიეტნამის ომის დროს განიზრახეს მასზე ფილმის გადაღება. „...არავინ ცდილობს, საკუთარი თავი და შვილები იხსნას მომავალი ომისა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტისგან; ...განა ასე ძნელია, შენსავე სულს ჩაუღრმავდე და ჰკითხო — აბა, რამდენად ურევია ჩემი ხელი ამ არეულ-დარეულობასა და ბოროტებაში, ამქვეყნად რომ სუფევს?!“

ძნელია, სიუჟეტურად გადმოსცე ეს ფერწერული ნაზრევი და მოდით, ისევ თავად ავტორს მივუგდოთ ყური: „...თუმცა წიგნი სულიერ ტანჯვაზე მოგვითხრობს, იგი მაინც სასოწარკვეთილი კი არა, რწმენასთან წილნაყარი კაცის ნაღვაწია. ...მეამებოდა, თუ მკითხველი ყურად იღებდა ჩემს შეგონებას და ირწმუნებდა, რომ მართალია, ტრამალის მგელზე დაწერილი ეს წიგნი მის სულიერ სენსა და შინაგან ხელმოცარულობას აღწერს, მაგრამ ეს ის სატკივარია, რომელიც სიკვდილს კი არა, განკურნებას ელტვის.“

მეგობარი ქალი ჰერმინე ცდილობს ამ ცხოვრებაზე იმედგაცრუებულ ჰარის სიცოცხლის ხალისი დაუბრუნოს: ასწავლის ცეკვას, ტრამალის მგლის აღზრდა, ესეც სამყაროსადმი მიდგომის ახალი ჟღერადობაა: „როგორ იტყვი, რომ ცხოვრებაში რაიმე ძალისხმევა გამოიჩინე, თუ ცეკვაც კი არ გინდა სცადო.“ ჰერმინე ასევე გააცნობს საქსოფონისტ პაბლოს, რომელიც სრულიად საპირისპირო სამყაროს და გემოვნების ადამიანია, ვიდრე თავად ავტორი. მაგრამ ერთი მხრივ შურით ამბობს მასზე: „მე რომ დაკვრა მცოდნოდა, ან საქსოფონის წრიპინი ჯაზში, ამ ქვეყნად უცხო არ ვიქნებოდი.“ შინაგანი ტანჯავა ამ უსაშველო გაორების გამო, მაინც არ ასვენებს ტრამალის მგელს და ნაწარმოების ბოლოს კლავს ჰერმინეს. რაც ეტყობა ჰესეს იუმორის ნაწილია; აღმოჩნდება, რომ მან ნახატს ჩაასო დანა (რომელიც ასევე ანარეკლი აღმოჩნდება) და მაგიური თეატრის ადმინისტრაცია მას მარადიულ სიცოცხლეს მიუსჯის. „...ამ საქციელით მან მარტოოდენ ჩვენი მაღალი ხელოვნება როდი შეურაცხყო! იგი არაიუმორისტული გზით შეეცადა, ჩვენი თეატრი თვითმკვლელობის იარაღად გამოეყენებინა!“

მოვლენათა მსვლელობისას ისიც ირკვევა, რომ ჰერმინე იგივე ჰერმანია ერთდროულად, ანუ ჰარის ალტერ ეგო, მისი არსებობის მეორე მხარე.

„მაგიური თეატრი“ კი მწერლის გადახურებული ფანტაზიის ნაყოფად კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ, როგორც პროცესის აქტუალურობის საბოლოო წერტილი. რეალობის კომპლექსურად ჩვენების უნარი ზოგადად ჰესეს პოეტიკიდან მომდინარეობს, რათა ხიდი გასდოს რეალობასა და იდეალს შორის.

იმ ირონიის წყალობით, ცხოვრებას რომ თვალს შეავლებ და საპირისპირო მოვლენას მიიღებ, პაბლო და მოცარტი ერთმანეთის მოწინააღმდეგენი კი აღარ გამოდიან, არამედ პოლუსები, რომლებსაც სინამდვილის ამგვარ ასახვაში, მუსიკალური თვალსაზრისით, საკუთარი გამართლება აქვთ ამ თანაარსებობაში.

ბიურგერული დეკადანსისადმი ჰესეს კრიტიკას, რომელიც მაგიურ თეატრში ირონიულადაა გამოყვანილი, მხოლოდ ერთმანეთის საწინააღმდეგო ფენომენების შეხვედრით შეეძლო ფორმის მიღება, როგორიცაა, მაგალითად, მოცარტის გარდასახვა პაბლოში, რითაც საკმაოდ პრობლემატურად და ღიად სრულდება რომანი.

ამგვარი მოულოდნელობებისა და მრავალწახნაგოვან მოვლენათა ოსტატურად ასახვის გამო გვიყვარს ჰესეს შემოქმედება, სადაც თავისუფლებისაკენ სწრაფვას არა აქვს საზღვარი; და სწორედ ამგვარი „შეშლილების“ წყალობით ვითარდება და წინ მიიწევს სამყარო.

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com